ბიბლიოთეკა

ყველა სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 080 (12 455) 5 აპრილი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## ლივერპული არსენალთან მესამე მატჩისთვის ემზადება

ევროუიქენდის წინ

8-9

## მესი რომ არა, ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა

ინტერვიუ რობერტო ბაჯოსთან

9





დავით ზირაქაშვილს კლერმონი არ ათავისუფლებს

რაგბი. ერთა თასი. 12 აპრილი. კრასნოიარსკი. რუსეთი-საქართველო. საჩემპიონო მატჩი

# რუსეთთან პრობლემებია!

ზირაქაშვილი, ლაბაძე, გიორგაძე, მაჩხანელი და ურჯუკაშვილი გვაკლდებიან

ნაკრების შემადგენლობა 7

## ლოკომოტივს ცქიტიშვილის დაბრუნებამაც ვერ უშველა



საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური 2-3

## ათი კანდიდატი და არცერთი იტალიელი

ფედერაცია ძებნას აგრძელებს




ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XX ტური

# დინამომ დინამო დასცა



ხუციშვილმა ანგარიში ამ დარტყმით გახსნა

**ბათუმი-დინამო**

**1:4**

**4.04. ბათუმი. ადელი**
**500 მაყურებელი**

0:1 ხუციშვილი (17. დილმელაშვილის პასით), 0:2 ხუციშვილი (20), 1:2 კაკალაძე (62. ქებაძის პასით), 1:3 სპასოევიჩი (72. ოდიკაძის პასით), 1:4 ხმალაძე (82. ოდიკაძის პასით)

ბათუმი: თოთლაძე - კუნჭულია, თედორაძე (60. ბ. მახარაძე), გალოგრე, მარკარიანი, ცანავა (65. ჩელებაძე), ქებაძე, ჩხეტიანი (72. ფარტენაძე), ბაბუნაშვილი - კაკალაძე, გ. ნოდ. ჭელიძე.

*სათადარიგოები: ლ.მახარაძე, ქუთათელაძე, ტულუში, სტურუა.*

თბილისი: ოვონი - შ. კაშია (84. თომაშვილი), გ. კაშია (58. ნერგაძე), კრშკო, გველესიანი - დილმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი, მერებაშვილი - აკირემი (70. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, ფირცხალავა, ქანთარია, დობეში.*

არბიტრი: ო. ხეცაძე

ეროვნული ჩემპიონატის ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრამ ბათუმში დიდი ინტერესი გამოიწვია და სწორედ ამან განაპირობა სტადიონზე გულშემატკივართა სიმრავლე. თუმცა ბათუმელ ქომაგთა შორის ოპტიმისტებს პესიმისტები სჭარბობდნენ და ამბობდნენ, რომ „დინამო" (თბილისის) აუცილებლად მოიგებდა. თავად მატჩი საწყის 15 წუთში თანაბრად წარიმართა. თუმცა სამწუთიან მონაკვეთში ყველაფერი თავდაყირა დადგა ბათუმელთათვის. მე-17 წუთზე კუთხური დაინიშნა, რომელიც **დილმელაშვილმა** ჩააწოდა. მცველთა სიმრავლის მიუხედავად, **ხუციშვილმა** მაინც იპოვა თავისუფალი ადგილი და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ორიოდ წუთში მანვე დუბლი მიითვალა. დაახლოებით 30-33 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი **თოთლაძის** კარის ცხრიანში გაახვია. გაშვებული გოლების შემდეგ ბათუმმა ნელ-ნელა დათმო ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მასპინძლები მარცხს შეეგუენ. თუმცა ტაიმის ბოლო წუთს ვითარება **ჭელიძის** მიერ მოგერიებულმა რთულმა ბურთმა გამოაცოცხლა. შეირგო რა **ცანავას** პასი, ბურთი წინ გამოსულ **ოვონოს** თავზე გადაუგდო და რომ არა **კრშკო**, სხვაობა ანგარიშში პირველ ტაიმშივე შემცირდებოდა. „დინამოს" ლეგიონერმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

მატჩის მეორე ნახევარი ანალოგიური სცენარით წარიმართა. სტუმრები უტევდნენ, თუმცა მასპინძლები თანდათან გამოცოცხლდნენ და 62-ე წუთზე **კაკალაძემ ქებაძის** პასი კარგად მიიღო, წინ გამოსულ მეკარეს გასცდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

გოლის შემდეგ ბათუმელთა მწვრთნელმა ცვლილებას მიმართა და თავდასხმის ხაზის გაძლიერება სცადა, რისთვისაც მოედანზე დებიუტანტი, **რევაზ ჩელებაძის** ვაჟი **გიორგი** შეუშვა. მიუხედავად ასეთი მანევრისა, ბათუმმა გოლი საკუთარ კარში მიიღო. 72-ე წუთზე **ოდიკაძემ**, რომელიც საჯარიმოს ხაზთან შორიახლო იმყოფებოდა, **სპასოევიჩის** მანევრი შენიშნა და კარგი პასიც მიაწოდა. სერბმა ფეხბურთელმა შეირგო საჩუქარი და ბურთთან პირველივე შეხება გოლად აქცია — 1:3. წერტილი კი მატჩში **ხმალაძემ** დასვა, ასისტენტობა მასაც ოდიკაძემ გაუწია - მარჯვენა ფლანგზე გარღვევა ოდიკაძემ საჯარიმოში გასწვრივი პასით დაასრულა, ბურთი მიწაზე დაუშვებლად ხმალაძემ კარში გადაგზავნა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. 85-ე წუთზე სტუმრებს მეხუთე გოლის გატანაც შეეძლოთ, **მერებაშვილმა** თოთლაძეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ **ბორის მახარაძემ** მიუსწრო და თავით კარის ხაზიდან გამოიტანა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან
გურამ ტურაშვილის ფოტო

# ფავორიტის რთული გამარჯვება

**ზესტაფონი-სიონი**

**3:1**

**4.04. ზესტაფონი. ცენტრალური**
**4000 მაყურებელი**

1:0 ვიეირა (15. პენ.) 1:1 ბაჯელიძე (39), 2:1 ბიტოო (40. კვასხვაძის პასით), 3:1 იონანიძე (90. ბენაშვილის პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია – თოდუა, ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა – ონიანი, ვიეირა (73. ხიდეშელი), დაუშვილი (81. იონანიძე), ნ. კვასხვაძე – ბიტოო, გოცირიძე (67. ბენაშვილი)

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ლონდაძე, გელაჭეიშვილი, ყონატასი*

სიონი: ბობლიაშვილი – ბოიომო, კობაური, ოქროპირიძე - შავგულიძე, ავალიანი (51. კეტაშვილი), სანიკიძე, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, ნოზაძე (85. ნოზაძე) – ჩასემი

*სათადარიგოები: იაშვილი, ვაშაკიძე, ნაყოფია, ნაკანი, ქურასბედიანი*

გაფრთხილება: ლობჟანიძე (22), კობაური (69)

გაძევება: კვიტაიშვილი (20)

არბიტრი:

**15.** 1:0 - ვიეირამ მარცხნიდან მოაწოდა კუთხური, ბიტოო თავით ურტყამდა კარში, მაგრამ ბურთი კობაურს მოხვდა. მსაჯმა ხელით თამაში დააფიქსირა და სტუმართა პროტესტის მიუხედავად პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი გოლად ვიეირამ აქცია და ოთხი ისეთი ყირამალა მიაყოლა, კარგ ტანმოვარჯიშესაც კი შეშურდებოდა.

**20.** კვიტაიშვილი გვერდითი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გააძევეს.

**35.** საჯაიას ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთმა მარცხენა ძელს ჩაუქროლა

**37.** ბაჯელიძემ ძლიერად გაისროლა, თუმცა მიზანში ვერ მოახვედრა.

**39.** 1:1 - ავალიანმა კარგად მოძებნა ბაჯელიძე, ამ უკანასკნელმა კი ოთხ ზესტაფონელს თავბრუ დაახვია და ლამაზი გოლით გაათანაბრა.

**40.** 2:1 - ბოლნისელთა სიხარულმა რამდენიმე წამს გასტანა... კვასხვაძის ფლანგური გადაცემა ბიტოომ სამიოდე მეტრიდან გოლად აქცია.

**64.** ონიანის ძლიერი დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს.

**65.** კვასხვაძემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოს ხაზისკენ შეიწია და ძლიერად დაარტყა, ბობლიაშვილმა აკრობატულ ნახტომში კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**77.** ბაჯელიძის დარტმა ჭანტურიამ იოლად მოიგერია.

**87.** ხიდეშელმა ძლიერად გაისროლა, მეკარეს ბურთი გაუვარდა, თუმცა დამატებაზე ვერავინ იმარჯვა.

**88.** შავგულიძის ჯარიმას ოქროპირიძემ სახიფათო თავური მიაყოლა, თუმცა ხარიხას გადააცილა.

**89.** კვასხვაძემ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა, ბობლიაშვილმა კვლავ ნახტომში მოიგერია ბურთი.

**90.** კუთხურის შემდეგ აკუასაგამ თავით ააცილა.

**90+1** 3:1 - ბენაშვილის პასისი შემდეგ იონანიძემ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

ძნელი წარმოსადგენი იყო, ბოლო დროს ფორმააკრეფილ „ზესტაფონს" თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში 10 კაცით მოთამაშე „სიონის" დამარცხება ასე თუ გაუჭირდებოდა. როგორც ჩანს, **ვიეირას** პენალტის შემდეგ მასპინძლებმა ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვებისა და ამისთვის კინალამ დაისაჯნენ. პენალტს რაც შეეხება, ამ ეპიზოდში მსაჯის გადაწყვეტილება ცოტა საკამათო იყო, თუმცა ვიდეოფირის ნახვის გარეშე რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. გოლის შემდეგ უპირატესობას კვლავ ზესტაფონელები ფლობდნენ, მაგრამ ბოლნისელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს და შეტევებისთვისაც იცლიდნენ. ამ მხრივ სტუმართაგან ყველაზე მეტად გუნდის კაპიტანი **ლევან ბაჯელიძე** გამოირჩეოდა. იგი რამდენჯერმე შორეული დარტყმით დაემუქრა ზესტაფონელთა კარს, პირველი ტაიმის ბოლოს კი მშვენიერი გოლიც გაიტანა. ოღონდ ეგაა, მასპინძლებმა მას სიხარულიც არ აცალეს და ცენტრიდან გათამაშებული ბურთი **ბიტოოს** გოლით დასრულდა.

„ზესტაფონის" აფეთქებას მეორე ტაიმში ველოდებოდით, თუმცა ეს ვერ ვიხილეთ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს საგოლე შანსები მაინც ჰქონდათ. მეორე ტაიმში მარჯვენიდან მარცხენა ფლანგზე გადანაცვლებული **ნიკა კვასხვაძე** კარგად ათამაშდა და ორჯერ მისი უძლიერესი დარტყმების მოსაგერიებლად **ბობლიაშვილს** მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა.

ინერტული იყო ზესტაფონელთა ფორვარდი **ბექა გოცირიძე**. მეორე ტაიმში როცა იგი **ბენაშვილით** შეცვალეს, თავდამსხმელმა უკმაყოფილება ვერ დაფარა და გასახდელში შესვლამდე ბურთს გამომწვევად დაჰკრა ფეხი.

მატჩის ბოლოს სტუმრებს გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ **ოქროპირიძის** თავურმა ხარიხას გადაუფრინა. სანაცვლოდ უბერებელ **იოანანიძეს** არ უმტყუნა საგოლე ალღომ და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**მატჩის შემდეგ:**

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** *„ასეთ პენალტებს თანამედროვე ფეხბურთში არ დებენ. ადგილობრივი გულშემატკივრებიც გაოცებული იყვნენ ეს რა პენელტი დაინიშნაო. 10 კაცით "ზესტაფონთან" თამაში ურთულესია. მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა ბოლო წუთებამდე გვქონდა ქულის გადარჩენის შანსი. ვფიქრობ, რომ „სიონმა" ღირსეულად იბრძოლა."*

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** *„სიონი" კარგი გუნდია და ვიცოდი რომ რთული თამაში გვექნებოდა, მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია და ბოლო წუთებამდე გაგვიძალიანდა."*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან



ვიეირამ ამჯერადაც გაიტანა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამძლე ოლიმპი

## ცქიტიშვილის უქულო დებიუტი




ლევან სილაგაძე (მარცხნივ) და რატი ალექსიძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ლოკომოტივი-ოლიმპი**

**0:1**

4.04. თბილისი. გ. მესხი
500 მაყურებელი

0:1 სილაგაძე (3. დევდარიანის პასით)

ლოკომოტივი: ალავიძე - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა (66. ქუცურუა), ფარულავა - გილაური (55. ალავერდაშვილი), ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, ბარბაქაძე (39. სამხარაძე) - ალექსიძე, დარასელია.

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ბუდალაშვილი, დ. ჩადელიშვილი.*

ოლიმპი: შეყრილაძე - ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, სებისკვერაძე - კახელიშვილი, ხუბუა, დევდარიანი (82. ჯოჯუა), გეწაძე, - კოვალევსკი (46. მგელაძე), ომელიანოვი (67. სტეფანიშვილი).

*სათადარიგოები: კალანაძე, იმედაძე, რეხვიაშვილი.*

გაფრთხილება: ალავერდაშვილი (61), სებისკვერაძე (77), ჩხეტიანი (90)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**3.** 0:1 - გეწაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა დევდარიანმა საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა. იქ სილაგაძემ ყველას დაასწრო და თავურით ანგარიში გახსნა.

**10.** დარასელიას მიერ ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმა მცირედით ასცდა სტუმართა კარს.

**20.** გეწაძემ მარცხენა ფრთაზე გაილალა, კოვალევსკიც კარგად მონახა საჯარიოში, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩაწოდებულს ვერ შესწვდა.

**25.** ცქიტიშვილმა მცველები ჩამოიშორა და ფოფხაძეს გაუკეთა გადაცემა, მაგრამ მან კარში დარტყმა ვერ მოახერხა.

**49.** ცქიტიშვილი-დარასელია-ალექსიძის სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის უზუსტო თავური დარტყმით დასრულდა.

**50.** ხიფათი სტუმართა საჯარიმოში. არეულობაში ალექსიძემ ისარგებლა და გაიტანა, მაგრამ მანამდე არბიტრმა გუშარაშვილზე ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა.

**52.** დარასელიას მიერ შესრულებული ჯარიმა ამჯერად მეკარე შეყრილაძემ კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ფარულავამ თავით კარში გადაგზავნა. ბურთი მცირედით ასცდა მიზანს.

**75.** დარასელიას პასით ალექსიძემ დაარტყა, მაგრამ მეკარე შეყრილაძემ იმარჯვა.

**80.** ალექსიძის თავური შეყრილაძემ მოიგერია, ისევ რატიმ დაამატა, მაგრამ ამჯერად მცველებმა მოასწრეს და დაუფარეს.

**81.** კახელიშვილის დარტყმა მცირედით ასცდა მიზანს.

**88.** კახელიშვილის დარტყმა ამჯერად ალავიძემ მოიგერია.

**89.** ალავიძემ ახლა უკვე გეწაძეს აუღო.

**90.** დარასელიას მიერ ჩაწოდებული ბურთი ალექსიძემ "მაკრატელათი" გაუშვა კარისკენ - მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**90.** მასპინძლები ცენტრში შეცდნენ და სტუმართა 3 ფეხბურთელი პირისპირ გადიოდა ალავიძესთან. თუმცა ფარულავა წამოეწია მათ და სტეფანიშვილს ბურთი მოჰპარა.

მეორე ტაიმში "ოლიმპმა" მართლაც რომ გაუძლო "ლოკომოტივს". **გიორგი კიკნაძის** გუნდმა, რომელიც ჯერაც გასავარდნ ზონაშია, მეორე ტაიმში აჯობა რუსთაველებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმრები კონტრშეტევებზე მწვავედ იკბინებოდნენ და არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში **ფარულავას** რომ არ ემარჯვა, რუსთაველები მეორე გოლსაც გაიტანდნენ.

გუშინ "ლოკომოტივში" **ლევან ცქიტიშვილს** დებიუტი ჰქონდა. წლების შემდეგ ის ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა. მან მოედანზე 90 წუთი დაჰყო. ძნელია იმის თქმა, რომ ლევანი გუშინ მოედანზე ბრწყინავდა, მაგრამ ურიგოდ ნამდვილად არ გამოყურებოდა. თვალშისაცემი იყო ისიც, რომ ცქიტიშვილს თანაგუნდელები ვერ უგებდნენ. არა და შეტევების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი სწორედ ის გახლდათ.

თამაშის სტარტზე სტუმრები დომინირებდნენ და მათი პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. მიღებულმა გოლმა მასპინძლები გაააქტიურა და ტაიმის მეორე ნახევარი უკვე სხვა სცენარით წარიმართა. მთელი მეორე ტაიმი "ლოკომოტივი" დომინირებდა, "ოლიმპი" კი თავს იცავდა და კონტრიერიშებით იკბინებოდა. საბოლოოდ, რუსთაველებმა მასპინძლების დაწოლას გაუძლეს და შინ 3 ქულა წაიღეს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ **რატი ალექსიძის** ჩინებული თამაში. ალექსიძე გუშინაც გამორჩეული იყო, არა მარტო მასპინძელთა შორის, არამედ ორივე გუნდში.

დავით ცაბაძე

**4 აპრილი, პარასკევი**

| | |
|---|---|
| ბათუმი-დინამო | 1:4 |
| ზესტაფონი-სიონი | 3:1 |
| ამერი-სპარტაკი | 2:0 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51-11 | 54 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 19 | 16 | 1 | 2 | 37-10 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43-11 | 48 |
| 4. ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36-21 | 38 |
| 5. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18-15 | 34 |
| 6. ბორჯომი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-22 | 28 |
| 7. მესხეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-23 | 25 |
| 8. მგლები | 19 | 7 | 3 | 9 | 16-20 | 24 |
| 9. სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-27 | 23 |
| 10. მერანი | 19 | 5 | 1 | 13 | 11-32 | 16 |
| 11. სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8-23 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11-27 | 14 |
| 13.ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10-37 | 12 |
| 14. დილა | 19 | 1 | 5 | 13 | 8-35 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 13 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8* |
| სპასოევიჩი (დინამო) | 8 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| 16:00 | მესხეთი-ბორჯომი | |
| 16:00 | მგლები-დილა | |
| 16:00 | ვიტ ჯორჯია-მერანი | *Live მზეზე* |

**მომდევნო ტური**

**12 აპრილი, შაბათი**

| | |
|---|---|
| 16:00 | მერანი-მესხეთი |
| 16:00 | ბათუმი-მგლები |
| 16:00 | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია |
| 16:00 | სიონი-ლოკომოტივი |

**13 აპრილი, კვირა**

| | |
|---|---|
| 16:00 | დინამო-ამერი |
| 16:00 | ოლიმპი-დილა |
| 16:00 | ბორჯომი-ზესტაფონი |

ეროვნული ნაკრები

# ფედერაციამ კანდიდატთა ათეული შეადგინა

## ვისი სული გვსურს?

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემას გუშინ გერმანული პრესა, "ბილდი", "შპიგელი", "ფაინენშელ თაიმსი" და სხვა გამოცემები გამოეხმაურნენ. "საქართველოს ტოპმიოლერის შემდეგ ისევ გერმანელი გაწვრთნის, არჩევანი ფინკეზე", "ფინკე - ქართველების არჩევანი?"... ეს და სხვა მსგავსი სათაურები ამშვენებდა ამ თემაზე გამოქვეყნებულ მასალებს.

სხვა წყაროები ჩეზარე მალდინისა და სხვა იტალიელ მწვრთნელებსაც ასახელებენ. თუმცა ჩვენს მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, ნაკრების თავკაცობის კანდიდატთა სავარაუდო სიაში, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია ადგენს, ჯერჯერობით, არცერთი იტალიური გვარი არაა.

საქართველოს ნაკრები თავკაცის ძიების საკითხს შეეხო რუსული პრესაც. თუმცა რუსი მიმომხილველები კლაუს ტოპმიოლერის პოტენციურ მემკვიდრედ ფამაგუსტას "ანორთოსისის" მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას** ასახელებენ.

დაბოლოს, სარწმუნო წყაროს ცნობით, ნაკრების კანდიდატთა სიაში უკვე 10 მწვრთნელის გვარ-სახელია. კანდიდატთა რაოდენობა კიდევ შეიცვლება, გაიზრდება და დაიკლებს კიდეც. აპრილის შუა რიცხვებისთვის კი ფედერაცია გაცხრილულ სიას წარმოადგენს, სავარაუდოდ, არაუმეტეს 4-5 კანდიდატით და ნაკრების ახალი თავკაციც მათში ერთ-ერთი იქნება.

დავით ცაბაძე

# ამას როგორ უნდა შევებრძოლო?

**ამერი-სპარტაკი**

**2:0**

4.04. თბილისი. ამერი
300 მაყურებელი

1:0 გოცირიძე (34. შალამბერიძის პასით), 2:0 (45. დობროვოლსკი)

ამერი: ნადირაშვილი — კაკშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე — დოლიძე (66. ელბაქიძე), დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, შალამბერიძე (75. მემარნიშვილი) — რ. გოცირიძე (80. ჩიმაკაძე), დავითაშვილი

*სათადარიგოები: ქვაჩახია, მესხი, ალავიძე, სილაგავა*

სპარტაკი: ქვილითაია — ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი — კუპრეიშვილი (65. დარბაიძე), თარხნიშვილი, ძარია (76. თექთურმანიძე), გოგოხია (65. ხიზანიშვილი), გ.ხიდეშელი — მ. ლონლაძე

სათადარიგოები: კოდალაევი, ქორიძე, მედოევი, დათუნაშვილი

გაფრთხილება: შალაბერიძე (38), ქემოკლიძე (40), დავითნიძე (72)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**34.** 1:0 - კობა შალამბერიძემ მარცხნიდან ჩააწოდა, რევაზ ქემოკლიძე მაღალ! ბურთზე ბრძოლისას შეცდა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა რევაზ გოცირიძემ თავურით გაიტანა.

**36.** მარცხნიდან ისევ შალამბერიძემ ჩააწოდა და სულიკო დავითაშვილის სუსტი თავური მაქსიმე ქვილითაიამ მოიგდო ხელებში.

**37.** გიორგი დეკანოსიძემ კარიდან გამოსულ ქვილითაის ბურთი თავზე გადაატარა და "სპარტაკი" გოლისგან ხარიხამ იხსნა.

**43.** აკაკი კუპრეიშვილმა ჩინებული პასი გაუქრა მამუკა ლონლაძეს, რომელიც ორ მცველს კი დაუსხლტა, მაგრამ კარიდან გამოსულ ლადო ნადირაშვილს არაზუსტად გადაუგდო ბურთი თავზე.

**45.** 2:0 - დენის დობროვოლსკიმ ოსტატურად ჩამოიცილა მეტოქე და ოცდახუთიოდე მეტრიდან ეფექტური გოლი გამოაცხო.

**57.** გივი დიდავას შორეული დარტყმა ქვილითაიამ კუთხურზე მოიგერია.

დახეთ სტენოგრამას და კარგად გამოჩნდება, რომ 34 წუთი ცხინვალის "სპარტაკი" წარმატებით უძალიანდებოდა გლდანელებს. "ამერი" აუჩქარებლად, შეიძლება ითქვას, აუღელვებლადაც თამაშობდა, ალბათ, საკუთარ თავში დარწმუნებული იყო.

საჩემპიონატო ქულები "ამერზე" უფრო "ცხინვალისთვისაა" აუცილებელი - ამერელები თასისთვის იბრძვიან, ცხინვალელები არგავარდნისთვის, მაგრამ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი თავის კბილა მეტოქეებთან თუ გამოიდებს თავს, რადგან მეტი რესურსი არ გააჩნია.

თუმცა ბურთი მრგვალია და ეს პრინციპი ყველგან და ყოველთვის მუშაობს — **მამუკა ლონლაძეს** პირველ ტაიმში რომ გაეტანა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. "ცხინვალი" მებრძოლი გუნდია, თასის მეოთხედფინალში ნერვები დააწყვიტა "დინამოს" და მას სხვა მოწინავე გუნდებიც უფრთხიან.

მეორე ტაიმში "ამერმა" რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანა მაქსიმე ქვილითაიას კართან, მაგრამ გლდანელებს საქმე უკვე მოთავებული ჰქონდათ და, ცოტა არ იყოს, უჯიგროდ უტევდნენ.

ბოლოსკენ ამერელთა შეტევებთან ერთად წვიმაც შეწყდა, აპრილის მზემ ტრიბუნა შეათბო და თამაში უფრო კომფორტულად სანახავი გახდა.

საინტერესო გახლდათ სპარტაკელი **გიორგი თექთურმანიძის** შემოსვლა. ჩია ალნაგობის ჭაბუკთან ამერელთა ჯანმაგარი კაპიტანი **გიორგი დავითნიძე** უნდა შესულიყო ორთაბრძოლაში, მაგრამ გაბრაზებულმა მოედანზევე დაიჩივლა, ამას როგორ უნდა შევებრძოლოო.'

... **დობროვოლსკის** გოლი კი მართლაც ძვირი სანახაობაა.

დავით თავართქილაძე




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერები

# გიორგი ადამიას აზერბაიჯანიდან წასვლა სურს



ბაქოს "ნეფთჩის" ქართველი ფორვარდი სეზონის დასრულების შემდეგ უფრო ძლიერ ლიგაში შეეცდება გადასვლას. თუმცა მანამდე გიორგი ადამია მთლიანად ამჟამინდელ კლუბზე ფიქრობს და იმედოვნებს, რომ "ნეფთჩისთან" ერთად, აზერბაიჯანის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდება. ეს მცირე ინტერვიუ ადამიამ "აზერისპორტს" მისცა.

**- ჩემპიონობას უფრო უმიზნებთ თუ თასს?**

- ჩვენთვის ეს ორივე ჯილდო ერთნაირად მნიშვნელოვანია. შევეცდებით, "ნეფთჩის" გულშემატკივრები დუბლის შესრულებით გავახაროთ. ჩვენს გუნდს ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი "ბაქის" დამარცხება იყო. პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში ავიღეთ.

**- ჩემპიონობის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად ვის მიიჩნევთ?**

- ჩემპიონატს "ოლიმპიკი" ლიდერობს და შესაბამისად, ოქროს მედლების მოპოვების ყველაზე დიდი შანსი ამ გუნდს აქვს. თუმცა შანსი არც "ნეფთჩის" დაუკარგავს.

**- როგორც ჩანს, ოქროს მედლების ბედს "ნეფთჩი"-"ოლიმპიკის" მატჩი გადაწყვეტს...**

- შეიძლება ასეც მოხდეს. მთავარია, რომ მანამდე ქულები არ დავკარგოთ და "ოლიმპიკს" უპირატესობის გაზრდის საშუალება არ მივცეთ.

**- ზაფხულში "ნეფთჩისთან" კონტრაქტი გეწურებათ. სხვა ქვეყანაში წასვლას ხომ არ აპირებთ?**

- ამის სურვილი ნამდვილად მაქვს, მაგრამ კარგად უნდა დავფიქრდე. მთავარია, უკეთესი ჩემპიონატიდან და უკეთესი გუნდიდან მქონდეს შემოთავაზება.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

# ასათიანი მზადაა

**მალხაზ ასათიანი** მოედანს, სავარაუდოდ, დღეს დაუბრუნდება. მოსკოვის "ლოკომოტივი" სტუმრად რამენსკოეს "სატურნს" ეთამაშება. ქართველ მცველს წელის ტრავმის გამო სეზონის სტარტი გაუცდა. *"უკვე ნორმალურად ვარ, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და თუ მწვრთნელმა ისურვა, "სატურნთან" ძირითადში ვიქნები"*, - ამბობს ასათიანი.

# დვალიშვილი წარადგინეს

გუშინ რიგის "სკონტომ" საზოგადოებას გუნდის ახალწვეულები წარუდგინა. მათ შორისაა **ვლადიმერ დვალიშვილიც**, რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი რუსთავის "ოლიმპის" შემადგენლობაში გაატარა. დვალიშვილს უკვე ჰქონდა დებიუტი "სკონტოს" შემადგენლობაში. მან ბალტიის ლიგაზე "სუდუვას" გაუტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დასანანი ფრე

ავსტრიის ერსტე ლიგაში 24-ე ტურის მატჩები გაიმართა. ლუსტენაუს "აუსტრიამ" შინ ორი ქულა დაკარგა "გრაკტორნთან" - 2:2. "აუსტრიის" ნახევარმცველი **მირზა ბუალავა** მოედანზე **ზიგერის** ნაცვლად 53-ე წუთზე გამოჩნდა. სამწუხაროდ, სწორედ ამის შემდეგ გაუშვა "აუსტრიამ" ორი გოლი. ლუსტენაუს გუნდი 41 ქულით მეორე ადგილზეა და ხუთი ქულით ჩამორჩება პირველზე მყოფ "კაპფენბერგს". ავსტრიულ ბუნდესლიგაში ერთი გუნდი გადადის, ასე რომ, ამ ფრით "აუსტრიამ" უმაღლესის საგზურის მოპოვების შანსი შეიმცირა.

წუხელ "თუნმა", რომლის ღირსებასაც **სანდრო იაშვილი** იცავს, სტუმრად 0:3 დათმო "არაუსთან". "თუნი" 22 ქულით უკანასკნელია შვეიცარიულ სუპერლიგაში და უახლოეს გუნდებს 7-7 ქულით ჩამორჩება. "თუნის" ქართველმა ათიანმა 59-ე წუთზე **ლუკაშ დოშეკი** შეცვალა.

მეორე ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენმა" სტუმრად 1:3 დათმო "ფიურტთან". მათე ტრავმირებულია და სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს, "მიუნხენმა" კი ბუნდესლიგის საგზური საბოლოოდ დაკარგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# თარხნიშვილი წინ გაიჭრა

მოლდოვაში 25-ე ტურის მატჩები გაიმართა, ამ ტურში **ლევან კორღალიძის** და **ჯაბა დვალის** "დაჩია" ისვენებდა (მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში 11 კლუბი თამაშობს). ლიდერმა და ჩემპიონმა ტირასპოლის "შერიფმა" ატაკიში "ნისტრუ" 1:0 დაამარცხა. მატჩის 53-ე წუთზე **ალექსეი კუჩუკმა** დნესტრისპირელებს მოაგებინა. გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. "შერიფს" 57 ქულა აქვს და შვიდი ქულით უსწრებს "დაჩიას". კიშინოვის "ზიმბრუმ" 0:0 ითამაშა შინ "პოლიტექნიკასთან", რაც მოულოდნელი შედეგია. **მამუკა ლომიძემ** შეუცვლელად ითამაშა "ზიმბრუს" რიგებში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აზერბაიჯანელები ფოგტსს ცხადაძემ დააკავშირა

## ნემსაძის მხარდაჭერამ, ყველაზე მეტად მე დამაზარალა

**დღეს გთავაზობთ შეპირებულ ინტერვიუს კახა ცხადაძესთან. რა ხდება კახას თავს და რა პერსპექტივები გააჩნია, ამის გარკვევა ყოველთვის პირადად ჯობია.**

**ასე მაგალითად, აზერბაიჯანულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, აზერბაიჯანის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა კახა ცხადაძეს ასისტენტობა შესთავაზა. ამის შესახებ კახას კომენტარს გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით.**

**თუმცა ინტერვიუ გვიან ჩავიწერეთ და სრულად დღეს ამიტომ გთავაზობთ. კახა ცხადაძეს სათქმელიც დაუგროვდა, სატკივარიც...**



კახა ცხადაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- კახა, უკვე სამი თვეა, "სტანდარდში" მუშაობთ და როგორც აზერბაიჯანული პრესა იუწყება, ქვეყნის ნაკრებში მუშაობას გთავაზობენ.**

- არა, ასე არაა. ყოველდღე მიკავშირდებიან და ამაზე მეკითხებიან. ეტყობა, გერმანული რომ ვიცი და ფოგტსთან ურთიერთობა რომ მქონდა, ჭორებიც აქედან აგორდა.

**- ურთიერთობა გერმანიაში თამაში დროს გქონდათ?**

- არა, არა, მაშინ არ ვიცნობდი, მხოლოდ ახლა დავუკავშირდი. ეს თავად აზერბაიჯანელებმა მთხოვეს.

**- მთავარი მწვრთნელობა თქვენი პირით შესთავაზეს?**

- ასე ხმამაღლაც არ მსურს ვთქვა, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამის გამო მთხოვეს დაკავშირება და უარს ხომ ვერ ვეტყოდი.

ხომ გითხარით, ფოგტსი არ მიცნობდა, მაგრამ გერმანიაში ბევრი მეგობარი მყავს და მათი საშუალებით აზერბაიჯანელებს დავაკავშირე. ეს ერთი თვის წინათ მოხდა.

**- მერე, რა გასაკვირია, ასისტენტობა მართლა რომ შემოეთავაზებინა.**

- აზერბაიჯანის ფედერაციის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე ვესაუბრე და თავად ვუთხარი, რომ ეროვნულ ნაკრებში ასისტენტადაც უცხოელის დანიშვნა გაუმართლებელი იქნებოდა.

ფოგტსი გამოცდილი მწვრთნელია და აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა მისგან ბევრი რამ უნდა ისწავლონ. გერმანელი სამშობლოში დაბრუნდება და ადგილზე რაღაც ხომ უნდა დატოვოს? საამისოდ, ადგილობრივი უნდა დაუყენონ და არა ქართველი ან რუსი, ან იგივე გერმანელი. ეს ჩემთვისაც მიუღებელი და უხერხული იქნებოდა.

ფოგტსმაც მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებში ჩამოიყვანა მწვრთნელი, ყველა დანარჩენი ადგილობრივია.

მე კი ისევ "სტანდარდში" ვრჩები და სამუშაოს შეცვლას არ ვაპირებ. ორი დღის წინათ გუნდის პრეზიდენტს შევხვდი და მითხრა, რომ თანამშრომლობა უნდა გავაგრძელოთო. ეს ჩემთვის სასიამოვნო იყო და სიმართლე გითხრათ, მისი სიტყვები გამიკვირდა კიდეც.

**- რატომ გაგიკვირდათ?**

- ფაქტია, წლევანდელ პირველობაზე "სტანდარდი" ვერაფერს მიაღწევს, სასურველი შედეგი არაა. ამის გამო გამიკვირდა, მაგრამ აქ შეგნებული ხალხია და კმაყოფილი ვარ, აქ რომ ვმუშაობ. პრეზიდენტმა მითხრა, რომ ისეთი შედეგი არ გვაქვს, როგორც გვინდოდა, მაგრამ შენი მუშაობა ყველას მოგვწონს და გუნდის პროგრესი აშკარააო. აქედან გამომდინარე, სამომავლო პერსპექტივაზე ვისაუბრეთ.

**- "ბაკის" ძალიან გადაეკიდეთ. "სიონით" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოდან გამოაგდეთ, წლეულს კი ორჯერ მოუგეთ. ჯერ საკონტროლო შეხვედრაში მერე კი აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც. ეტყობა, ამ გუნდთან განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდით.**

- უბრალოდ, ჩვეულებრივი სპორტული ჟინი მაქვს. მოგება ყველასთან სასიამოვნოა, მით უფრო, მდიდარ და ძლიერ გუნდთან. სხვათა შორის, ახლახან ლიდერ "ოლიმპიკთან" დასანანი შეხვედრა წავაგეთ - 0:1. თუმცა პრესკონფერენციაზე ჩვენი მოწინააღმდეგის მწვრთნელმა თქვა, წლევანდელ ჩემპიონატში თამაშით ჯერ ასე არავის დავუჩაგრივართო.

აქ დაინახეს, რომ "სტანდარდი" გუნდად ყალიბდება, შარშანდელივით სამარცხვინოდ აღარ აგებს და დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. უცხო ქვეყანაში ამას ვერ წარმოვიდგენდი.

იცით, რა მიკვირს? თბილისის "დინამო" ჩემპიონობამდე მივიყვანე და გამომაგდეს... გამომაგდეს, აბა, სხვა რა გააკეთეს? არადა, გუნდი დღესაც ჩემგან დატოვებულ საფუძვლებზე დგას. სანდრო კობახიძე სამი ათას დოლარად ვიყიდეთ და დღეს 800 ათასად გაყიდეს. "დინამოს" ლიდერი მერებაშვილი გახდა, რომელიც ჩემამდე დუბლებში თამაშობდა.

საქართველოდან გულდაწყვეტილი წამოვედი, არავის არ ვჭირდებოდი და რა გასაკვირია, ამის შემდეგ, აზერბაიჯანში თანადგომას არ ველოდი.

ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელად ფოგტსმა ბერნარდ ლიპერტი ჩამოიყვანა. მან კანდიდატების შერჩევა დაიწყო და ფიზიკურად ყველა მოუმზადებელი იყო, გარდა ჩვენი ფეხბურთელისა, რომელმაც პირველ წრეში სულ ერთი თამაში ჩაატარა.

საქართველოში ჩემი მუშაობა ვერ დაინახეს, აზერბაიჯანში კი ჯერ შედეგი არ მიჩვენებია და მუშაობას მიფასებენ. თან მიხარია, თან მწყინს. რაც უნდა კარგად იყო უცხოეთში, საკუთარ ქვეყანაში მუშაობა უფრო გინდა და გიხარია.

**- და მაინც, უცხო ქვეყანაში მუშაობა რთულია.**

- რთულია ყველგან, სადაც არ გაფასებენ. აქ იმხელა სიყვარული დავინახე, წარმომიდგენია, ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, რას იზამდნენ. ასეთი დამოკიდებულება უდიდესი სტიმულია.

**- "სტანდარდზე" რას გვეტყვით?**

- ფეხბურთელები არ გვყავს. ისეთ ბურთებს აფუჭებენ, ვგიჟდები, ორი მეტრიდან კარს რომ ააცილებენ, რა უნდა ვილაპარაკო? თუმცა პერსპექტივა არის და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნდობა და თანადგომა. ჩვენს პრეზიდენტს აქაური ფედერაციის ხელმძღვანელმა უთხრა, შედეგის მიუხედავად, "სტანდარდის" მსგავს დალაგებულ ფეხბურთს არც სხვა არ აჩვენებსო.

**- საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი თავისუფალია. ტოპმიოლერის შემცვლელმა ასისტენტობა რომ შემოგთავაზოთ, საქართველოში არ დაბრუნდებით?**

- რა ვიცი, სიმართლე გითხრათ, ასეთი პერსპექტივისა არც მჯერა. უფრო სწორად, მე ზუსტად ვიცი, რომ არავინ შემომთავაზებს და ტყუილად ამაზე საუბარს აზრი არ აქვს. ისიც კარგად ვიცი, ვისი ჩამოყვანა სურთ. ხომ იცით, საფეხბურთო სამყაროში არაფერი იმალება (იცინის), თუ გინდათ, გეტყვით და როდესაც გამართლდება, მხოლოდ მერე დაწერეთ, რომ ასე ვთქვი.

**- თქვენ რატომ არ მიგიწვევენ?**

- რატომ და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შედეგად, უპირველესად, მე დავზარალდი. მას შემდეგ ქართულ ფეხბურთში ამითვალწუნეს ან მერიდებოდნენ - იცოდნენ, რომ ფედერაციასთან მთლად კარგი ურთიერთობა არ მქონდა. არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვისი მიზეზით და რატომ, მაგრამ ასეა. არადა, იქნებ, ვინმემ ამიხსნას, რატომ უნდა დავზარალებულიყავი? იმიტომ, რომ ნემსაძის მხარეს დავდექი? ადამიანის განწირვა ასე არ შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

## საქართველო ოლიმპიაში



1992 წლის 5 ივნისს, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით, საბერძნეთში ჩადის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ძველ ოლიმპიაში, იქ სადაც ტარდებოდა ანტიკური ოლიმპიური თამაშები, საქართველოს საჩუქრის საზეიმოდ გადაცემის ცერემონიალში. საჩუქარი - გიორგი შხვაცაბაიას "მშვიდობის ჩირაღდანი", მადლიერებით მიიღეს ბერძნებმა. რაც მთავარია, ქანდაკებას ადგილი სწორედ ოლიმპიაში მიუჩინეს. ეს იყო პირველი შემთხვევა საბერძნეთის ოლიმპიზმის ისტორიაში, როცა ანტიკური თამაშების ადგილის დედას, მის უამრავ ბერძნულ ქანდაკებას, სხვა ქვეყნისა და სხვა ერის ხელოვნების ქმნილება შეემატა.

### იყო ასეთი შემთხვევა

## მეფე ტურნირის დროს დაიღუპა

საფრანგეთში, XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე ძალზე პოპულარული იყო სხვადასხვა ტურნირები, რომელშიც ქვეყნის დიდებულები და თვით მეფეებიც კი მონაწილეობდნენ. მეფე ანრი II, რომელსაც არაერთი ომი გადაუტანია, თავისი ქალიშვილის ქორწილის აღსანიშნავ ტურნირში ჩაება და... სასიკვდილოდ დაიჭრა. ეს მოხდა 1559 წელს, ანრი II მაშინ 40 წლისა იყო. ამ ტრაგედიის შემდეგ საფრანგეთში ოფიციალურად აიკრძალა ტურნირები, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სიცოცხლეს.

### სპორტის ძალა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის დროზე ჩინეთთან ურთიერთობა აღადგინა და მოაწესრიგა მას შემდეგ, რაც ჩატარდა ამ ორი ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი.

### თაღლითობა

## ადრეც ყოფილა ბინძური გარიგებები

პირსის მეფე ენომაიოსი ქალიშვილს იმას მიათხოვებდა, ვინც ეტლით რბოლაში მას აჯობებდა. 12 სასიძო რბოლის დროს განგმირა შუბით, ვინც გაუსწრო. ზევსის შვილიშვილმა, ლიდიელმა, სახელოვანმა გმირმა პელოპსისმა ენომაოსის მშვენიერი ასულის ჰიპოდამიას ხელში ჩასაგდებად ხრიკს მიმართა: მზაკვრულად გაურიგდა ენომაიოსის მეეტლეს - მირტილეს, ძვირფასი საჩუქრები და სამეფო ნაწილი აღუთქვა. ბორბალში მეეტლეს ჭილები არ ჩასვა (რკინის მანების ნაცვლად, ცვილისა გაუკეთა), რითაც უზრუნველყო პელოპსის გამარჯვება. ეს იყო ბინძური გარიგება შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის. ასე შეირთო თაღლითმა სასიძომ მეფის ასული. ღმერთების საპატივსაცემოდ კი მადლობის ნიშნად პელოპსმა ოლიმპიაში ააგო ტაძარი და დააფუძნა თამაშები. ეს მოხდა 884 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

### 80 წლის წინათ

## პირველი სპორტული ფილმი

XX საუკუნე სპორტული კინოს დაბადების საუკუნედ ითვლება. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით პირველი სპორტული ფილმი "თეთრი სტადიონი" 1928 წელს სანქტ-მორიცის ზამთრის ოლიმპიადაზე გადაიღეს.

## შეკითხვა ლელოს

შეკითხვა: ცნობილია, რომ ცხენთა ჯიშებს შორის ერთ-ერთი უძველესია ახალთექური ჯიში, რომელიც საცხენოსნო ასპარეზობების მშვენებად ითვლება. მაინტერესებს, საიდან წარმოდგება სახელი ახალთექური და აქვს თუ არა რაიმე კავშირი სიტყვა "ახალს" ქართულთან.

**კახა კობერიძე, თბილისი.**

პასუხი: ახალთექური ჯიშის ცხენი, როგორც ეს ენციკლოპედიებშია განმარტებული, ხალხური სელექციით მიღებულია თურქმენეთში არა ახალ დროში, არამედ დიდი ხნის წინათ. რუსულში ინოდება, როგორც "ახალტეკინსკაია პოროდა". ასე რომ, ქართულთან სიტყვა "ახალი" არანაირ კავშირში არ არის. თურქმენეთში არის აგრეთვე ახალთექური ოაზისი, რომლის დაუფლება რუსეთის ჯარს 1879 წელს უშედეგოდ უცდია, თუმცა მეორე ლაშქრობისას (1880-81) შტურმით მაინც ჩაუგდია ხელში.

### არისტოკრატი ოლიმპიელები

## სამეფო ოჯახის სპორტული დინასტია





ზარა ფილიპსი პრინცესა ანნასა და კაპიტან მარკ ფილიპსის ქალიშვილია, რომელიც ინარჩუნებს ძლიერ კავშირებს მის გლოსტერშირულ ფესვებთან.

ცხენებისადმი სიყვარული დედისაგან მოსდგამს, (პრინცესა ანნა ევროპის ჩემპიონია ცხენოსნურ სამჭიდში) დაუმორჩილებელი ხასიათიც თითქოს დედისგან ერგო.

იგი 1981 წლის 15 მაისს პადინგტონის წმინდა მერის ჰოსპიტალში დაიბადა, იმავე წლის 27 ივლისს უინდზორების სასახლის ეკლესიაში ნათლობისას კი ნათლობის სახელი ზარა ანნა ელიზაბეტი მიიღო.

განსხვავებული სახელი ზარა, ბიძამ, პრინცმა ჩარლზმა შეურჩია, რაც ბერძნულად "კაშკაშა აისს" ნიშნავს.

სამეფო ოჯახში, სადაც ტრადიციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ახალგაზრდა პრინცებისა და პრინცესების აღზრდა და ცხოვრების სტილი წინასწარ განსაზღვრულია, მაგრამ ზარას დედას, პრინცესა ანნას სურდა, რომ იგი და მისი ძმა, პრინცი პიტერი აღზრდილიყვნენ და ჩამოყალიბებულიყვნენ, როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები და თავად აერჩიათ საკუთარი ცხოვრებისეული გზა. როგორც მისმა ბიძამ, ედინბურგის ჰერცოგმა, ზარამაც განათლება შოტლანდიურ სკოლა-ინტერნატში, გორდონსტოუნში მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ექსტერის უნივერსიტეტში განაგრძო და ცხენების ფიზიოთერაპევტის პროფესიას დაეუფლა.

უნივერსიტეტის გუნდში ჰოკეისაც თამაშობდა, მაგრამ ცხენები მის პირველ სიყვარულად რჩება. იგი ასევე ტრადიციული ინგლისური ნადირობის დიდი მოტრფიალეა. ზარა სამეფო ოჯახის ახალგაზრდა თაობიდან ყველაზე ახლოს ბიძაშვილ, პრინც უილიამთან არის, რომელიც მასზე მხოლოდ ერთი წლით უმცროსია.

2003 წელს მან პირველად შეასრულა ოფიციალური სამეფო მოვალეობა ბრიტანეთის სანაოსნოში.

როდესაც განათლება მიიღო და შინ დაბრუნდა, გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება იცვლება და იზრდება ბრიტანული ტაბლოიდების ინტერესი მის მიმართ. ქერათმიანი ლამაზმანის შესახებ ბრიტანული გაზეთები პირველ გვერდებზე წერდნენ, რომ "ზარა აკეთილშობილებს უინზორების მოლუშულ სახეებს". განთქმული სტიპილჩეიზის ჟოკეისთვის, რიჩარდ ჯონსონისთვის გამარჯვების მისალოცი მისი ვნებიანი კოცნა ასევე დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა.

ყვითელი პრესა აგრეთვე წერდა ავტოსაგზაო შემთხვევაზე, როდესაც მისი "ლენდ როვერი" თხრილში გადავარდა, ხოლო ალკოტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა და ეს ამბავი მალე დავიწყებას მიეცა.

მიუხედავად ინციდენტებისა, პრინცესას ხალხისა და რეპორტიორების სიყვარული მისმა სპორტულმა კარიერამ მოუტანა, მან ბრიტანეთის ღირსება არაერთხელ დაიცვა საერთაშორისო საცხენოსნო ტურნირებზე, 2005 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო 2006 წელს მსოფლიო საცხენოსნო თამაშებზე (იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ) მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ავტომატურად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც მიიღო. იმავე წელს იგი BBC-იმ ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახელა, მისი დედა პრინცესა ანნა ამ საპატიო ტიტულს 1971 წელს ფლობდა.

პრინცესა ზარა სამეფო ოჯახის ერთადერთი წევრია, რომელიც რეკლამაშია გადაღებული, მას თხოვნით ბრიტანულმა ავტომწარმოებელმა "ლენდ როვერმა" მიმართა და თანხმობაც მიიღო.

31 მარტს ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა პრინცესა ზარას მცირე ინტერვიუ და ფოტოები, რომელზეც იგი სპორტული ცხენების გადასაყვან სატვირთო ავტომობილის საჭესთანაა.

*"იგი ისევე თავდაჯერებული ზის სატვირთოს საჭესთან, როგორც უნაგირში - წერს გაზეთი. - სატვირთოს ლიცენზია სულ ახალი აღებული მაქვს და უნდა აღვნიშნო, რომ დამუხრუჭების მანძილი სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივ ავტოსთან შედარებით." - აღნიშნავს ზარა.*

**ზარა ფილიპსი:** *"დიდი სურვილი მაქვს, ბრიტანეთის სახელით პეკინში ვიასპარეზო"*, საგულისხმოა, რომ ნაკრებში დიდი კონკურენციაა, ლიცენზია 4 მხედარზე (ნაკრები გუნდის კვოტა ოლიმპიადაზე) მეტს აქვს მოპოვებული და სამეფო პრივილეგიები სპორტში კი ნამდვილად არ ვრცელდება".

## კროსვორდი

თარაზულად: 1. ნბა-ს კლუბი, 3. ქართველი მოკრივე ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, 7. ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიელი პირველ მსოფლიო ომამდე, რეი..., 8. ძალოსანთა არენა, 10 ქალაქი, სადაც თბილისის "დინამომ" მოიპოვა ფეხბურთში ევროპის თასების თასი, 12. საკალათბურთო ასოციაცია (შემოკლებით), 13. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ... 16. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, სსრკ ნაკრების კაპიტანი, 20. ბრიტანელი მორბენალი, 1500 მ-ზე ოლიმპიური ჩემპიონი (1980), 21. რიტმული ნაბიჯი, 22. ტანვარჯიშული იარაღი, 23. პროფესიონალი მოკრივე, 24. სამხტომში 1928 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 25. ცნობილი კორეელი ჩოგბურთელის და ფეხბურთელების გვარი, 26. ასპარეზობის დასასრული.

შვეულად: 1. ქართული ცხენოსნური თამაში, 2. კალათბურთელებით განთქმული ესტონეთის ქალაქი, 4. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 5. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 9. წარსულში ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე, ეფიმ... 11. თავდამსხმელი ფეხბურთში, ჰოკეიში, 14. მოჭიდავეებით ცნობილი რაიონი კახეთში, 15. ქალაქი, სადაც ჩატარდა 1964 წლის ოლიმპიური თამაშები, 17. მშვილდით სატყორცნი, 18. ჭადრაკში უმცირესი ფიგურა, 19. პარტია ჩოგბურთში.




### წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ბადრო, 7. ჩირაღდანი, 10. ბუცი, 11. "სტიაუა", 12. გაბელია, 13. კოპა, 15. ტრეკი, 17. "ლიონი", 19. "ზენიტი", 20. ბესკოვი, 24. კირსანი, 26. რეი, 27. ცენტრი, 28. ტაისონი.

შვეულად: 1. ბიატლონი, 2. კანადა, 3. "ოდრა", 4. უნცია, 6. დუბლიორი, 8. გინესი, 9. ფრე, 14. სიეტლი, 16. კომისარი, 17. ლაზიერი, 18. ოინი, 20. ბიაჯო, 21. სპიცი, 22. ოუენი, 25. რაი.

### ვიქტორინა

1. ძველი წელთაღრიცხვით რომელი წლიდან იწყება ოლიმპიური თამაშების აღრიცხვა?
   - ა - 768 წლიდან
   - ბ - 772 წლიდან
   - გ - 776 წლიდან
2. რას უწოდებდნენ ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების მონაწილეს?
   - ა - ათლეტს
   - ბ - ოლიმპიონიკს
   - გ - ოლიმპიელს
3. როგორი შინაარსის იყო ძველბერძნული ოლიმპიური თამაშები?
   - ა - საერთო-სახალხო რელიგიური
   - ბ - საერთო-სახალხო
   - გ - რელიგიური
4. ანტიკურ ოლიმპიადებში მონაწილეობის აუცილებელი პირობა იყო სისტემატური ვარჯიში
   - ა - ერთი წლის განმავლობაში
   - ბ - 10 თვის განმავლობაში
   - გ - 3 თვის განმავლობაში
5. ძველბერძნული თამაშების პროგრამაში თავდაპირველად შედიოდა
   - ა - რბენა
   - ბ - მშვილდოსნობა
   - გ - ცურვა

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ა.

ჭადრაკი. კლასიფიკაცია

# ასეული დატოვეს

1 აპრილს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა.

უპირველესი სათქმელი ის გვაქვს, რომ ასეულიდან გავარდა **ზვიად იზორია** - მან 12 პუნქტი დაიკლო და 2625 ქულით ტოპ-ასეულში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო. იზორია 2005 წლიდან არის ასეულის წევრი და დღემდე არ დაუტოვებია ეს ზონა. აშკარაა, ზვიადს ამერიკაში ცხოვრება საჭადრაკო თვალსაზრისით არ წაადგა, თუმც იმედს ვიტოვებთ, რომ ძველ პოზიციებს უახლოეს სამ თვეში დაიბრუნებს.

ასეული დატოვა **ლევან ფანცულაიამაც** - წინა კვარტალში ის 2629 ქულით 94-ე იყო, ამჯერად 2617 ქულა აქვს. მართალია, ლევანმა ორიოდ დღის წინ საქართველოს ჩემპიონატი მოიგო და ათ პუნქტამდე მოიმატა რეიტინგი, მაგრამ ამ მაჩვენებელმა სააპრილო განაცხადში შესვლა ვერ მოასწრო.

გასულ სამ თვეში არცერთი პარტია არ უთამაშია **მიხეილ მჭედლიშვილს** და ამიტომ 2635 ქულა დაურჩა, რაც დღეისთვის 84-ე ადგილის ტოლფასია.

რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია ჩვენმა პირველმა ნომერმა **ბაადურ ჯობავამ** - ბაადურს თებერვალში "მოსკვა-ოუფენზე" და "აეროფლოტზე" კარგად თამაშმა არგო - 15 პუნქტი შეიმატა, რაც დღეისთვის 2658 ქულას და მესამოცე ადგილს უდრის. ეს მაჩვენებელი ბაადურისთვის საუკეთესოა კარიერაში - ზუსტად ამდენივე ერთი წლის წინათ - 2007 წლის პირველი აპრილისთვის ჰქონდა, თუმცა განსხვავება იმაშია, რომ შარშან ასეთი მარაგი 45-ე ადგილისთვის იყო საკმარისი.

რაც შეეხება ასეულის ლიდერს, იგი ინდოელი **ვიშვანათან ანანდია** - მისი მაჩვენებელი ზე-რეიტინგულია - 2803. 2800-იანი ზღვარი თითო-ოროლას თუ აქვს გადალახული მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში: რუს **ვლადიმირ კრამნიკს**, ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს** და ლეგენდარულ **გარი კასპაროვს**, რომელიც აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდა.



ქეთევან არახამია-გრანტი შოტლანდიის სახელით გამოვა

კრამნიკი დღეისთვის 2788 ქულის პატრონია და მეორეა სიაში. მესამე ასეულ რუსი **ალექსანდრ მოროზევიჩია** - 2774. კიდევ ერთი ადგილით უკან დაიხია ბულგარელმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა **ვესელინ ტოპალოვმა** - 2767 ქულა აქვს და მეოთხეა ცხრილში.

2700-იანი ზღვარი სუპერრეიტინგულად ითვლება. ასეთი 24 მოჭადრაკეა. ამ ზონიდან სომეხი **ვლადიმერ აკოფიანი** გავარდა და მის ნაცვლად ჩინელი **ნი ჰუა** შევიდა - 2703 ქულით. სუპერრეიტინგი გაუხდა მეორე ჩინელსაც - **ბუ სიანგჭის** - 2708. სუპერ-რეიტინგს ინარჩუნებს **იუდით პოლგარიც** - 2709. ეს მისთვის საუკეთესო შედეგი ნამდვილად არ არის - 2005 წლის ივლისიდან 2006 წლის ივნისამდე 2735 ქულას ფლობდა და მსოფლიოში მერვე ადგილზე იყო, ქალთა შორის პირველობას კი უკვე ათეულ წელზე მეტია, ინარჩუნებს.

ფიდე ქალთა 50-ეულში დღემდე ითვალისწინებს იუდითის შედეგს და იქ, ცხადია, უნგრელი დიდოსტატი პირველ ადგილს იკავებს. მეორე ამ ცხრილში ინდოელი **ჰუმპი კონერუა** 2603 ქულით. 2600 ზღვართან ახლოსაა ჩინელი **სიე ძუნი** - 2574 ქულა აქვს, მაგრამ შესაძლოა მან ამ სიმაღლეს ვერ მიაღწიოს, რადგანაც უკვე 38 წლისაა, სამაგიეროდ, ასაკის მატება მხოლოდ თუ წაადგება 14 წლის ჩინელ **ჰოუ იფანს**, რომელიც უნიკალური შესაძლებლობების მქონე მოჭადრაკედ ითვლება და დღეისთვის მეოთხეა ქალთა შორის - 2549.

სამწუხაროდ, სამეულზე ქართველ მოჭადრაკეებს კარგა ხანია, აღარ აქვთ პრეტენზია - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** ელიტაში ძალიან დიდხანს კი იმყოფებოდა, მაგრამ დღეისთვის მხოლოდ მეთხუთმეტეა - 2489. მაიას გასულ კვარტალში არცერთი პარტია არ უთამაშია. სანაცვლოდ ითამაშა ქართველთა შორის მეორე რეიტინგის მფლობელმა **ლელა ჯავახიშვილმა** - 18 პარტია მოუგროვდა, მაგრამ მატებისთვის ამ პერიოდში ნაჩვენები შედეგი საკმარისი არ აღმოჩნდა - 4 პუნქტი დაკარგა, 2466 ქულა აქვს და 26-ეა ცხრილში. მესამე მაჩვენებელი **ქეთევან არახამია-გრანტს** აქვს - 2452, მაგრამ ქეთევანმა ფედერაცია შეიცვალა და ამიერიდან შოტლანდიის სახელით ითამაშებს. შეგახსენებთ, არახამია შოტლანდიაშია გათხოვილი და იქ ცხოვრობს, თუმცა ბოლო დრომდე საქართველოს სახელით გამოდიოდა...

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ **ნანა ძაგნიძეს** 2443 ქულა აქვს და 36-ეა. ძაგნიძემ 14 პუნქტი მოიმატა.

სამწუხაროდ 50-ეულში მეტი ქართველი აღარ გვყავს - **ნინო ხურციძეს** ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს ჩემპიონატში ცუდი თამაში - 28 პუნქტი დაიკლო, 2413 ქულა აქვს. ამდენივე მოაგროვა **სალომე მელიამაც**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე ვერცხლს დასჯერდა, თებერვალში კი მოსკოვში ითამაშა წარმატებულად. მელიას მატება შთამბეჭდავია - იანვრის მერე 51 პუნქტით გაზარდა მაჩვენებელი.

მელიას დარად მნიშვნელოვანი მატება რამდენიმე მოჭადრაკესაც აქვს, მაგრამ ამაზე ამჯერად არ ვისაუბრებთ, რადგანაც საერთო მაჩვენებელი მაღალი მაინც არ არის... ერთადერთი, ვისი გამორჩევაც გვსურს, **ნაზი პაიკიძეა**, რადგანაც ის, გარდა იმისა, რომ 2300-იან ზღვარს საკმაოდ გადასცდა, ჯერ მხოლოდ 15 წლის არის და ერთადერთია ქართველთაგან, ვინც 20-წლამდელთა ოცეულში მოხვდა - ნაზის 2347 ქულა აქვს და მეთექვსმეტეა ამ სიაში.

სამწუხაროდ, ვაჟ ოცწლამდელთა ოცეულში არავინ გვყავს - აქ მოსაზვედრად უბრალოდ კარგი რეიტინგი საკმარისი აღარ არის - ძალიან კარგი უნდა გქონდეს: მეოცე ადგილზე მყოფ ბელარუს **სერგეი ჟიგალკოს** 2568 ქულა აქვს. ქართველთაგან ოცეულში მოხვედრის ყველაზე კარგი პერსპექტივა ალბათ **გიორგი მარგველაშვილს** აქვს, რომელმაც სამიოდ დღის წინ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა. გიორგი 18 წლისაა და დღეისთვის 2455 ქულა აქვს.

ზვიად **შათირიშვილი**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# შენარჩუნებული ინტრიგა და მეკარეების ბენეფისი



გიორგი ნივნივაძე

| ქუთაისი–მამული | 22:20 |
|---|---|

ქუთაისი: შიშინაშვილი, თუთბერიძე, დოლაკიძე (3), დ. გობეჯიშვილი (5), ჯანაშია, სვანიძე, გ. გობეჯიშვილი (1), ჩხაიძე, ცერცვაძე (7), ჩხაიძე, ნიკურაძე (4), ადამია (2), დოლიძე, სიხარულიძე

მამული: ხონელიძე, შონია (3), ი. გელაშვილი (4), ზაქარეიშვილი, ლობჟანიძე, გილიგაშვილი, მ. ქუთათელაძე (5), თეთრუაშვილი (3), სეთურიძე, გველესიანი (4), ჩაჩანიძე (1)

მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

| თბილისი–სტუ/თელავი | 27:19 |
|---|---|

თბილისი: ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე, ქარდავა (4), ნივნივაძე (11), ლალანიძე, ყაველაშვილი, მაისურაძე (2), ლ. გელაშვილი (6), ო. ქუთათელაძე (3), ჯიშკარიანი (1)

სტუ: გ. ტორონჯაძე, გოგალაძე, ქობელაშვილი (5), ა. ყიფიანი (2), ჯორბენაძე, გ. ჩიქოვანი (1), კობახიძე (6), საჯაია, ი. ჩიქოვანი (1), ნიკოლაიშვილი, ტალახაძე (4), ო. ყიფიანი

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

ჟურნალისტებსაც, გულშემატკივრებსაც და თავად ხელბურთელებსაც ერთი სული გვაქვს ხოლმე, როდის მოვა ბოლო ტური, რომელშიც ერთბაშად ორი საინტერესო მატჩის მომსწრენი ვხდებით. აქეთ საჩემპიონოდ შემართული გუნდები - "თელავი" და "თბილისი" ებრძვიან ერთმანეთს, იქით კიდევ აუტსაიდერების - "მამულისა" და "ქუთაისის" თამაშია ხოლმე. ასეთი დღე იყო გუშინ. სტუ-"თელავსა" და "მამულს" დასაკარგი ბევრი არაფერი ჰქონდათ, რადგან უშუალო კონკურენტებს 4-4 ქულით უსწრებდნენ და ნაგებით ქვემოთ ვერანაირად ვერ დაეშვებოდნენ. რაც შეეხება "თბილისსა" და "ქუთაისს", მათ, მინიმუმ, ფრედ უნდა ეთამაშათ, რათა ჩემპიონატისათვის ინტრიგა შეენარჩუნებინათ.

მეორე წრის ბოლოს, "ქუთაისი" - "მამულის" მატჩში მამულელებმა ორბურთიანი სხვაობით იმარჯვეს. იმავე შეხვედრაში რიონისპირელებმა უჩვეულო ანტირეკორდი დაამყარეს, როდესაც ერთბაშად 9 პენალტი ვერ გაიტანეს. ამჯერად ყველაფერი ყირაზე დადგა - "ქუთაისმა" მოიგო ორბურთიანი სხვაობით, "მამულმა" კი იმერლების ანტირეკორდი გააუმჯობესა.

მატჩის გმირად "ქუთაისის" ახალგაზრდა გოლკიპერი **დავით შიშინაშვილი** მოგვევლინა, რომელმაც 20 დარტყმა მოიგერია და აქედან 6 (!) პენალტის ნიშნულიდან დარტყმული. თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1 მატჩში 6 პენალტი ჩვენს ჩემპიონატში აქამდე არავის მოუგერიებია. ამას გარდა, "მამულმა" 4 შვიდმეტრიანი ააცილა და საბოლოოდ, 12-დან 10 გამოუყენებელი პენალტით საქართველოს ჩემპიონატის ახალი ანტირეკორდი დაამყარა.

მატჩის პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ქუთაისელები ტაიმის ბოლომდე მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდნენ და ამის მერე აჭრილი მეტოქისათვის დაწევის საშუალება აღარ მიუციათ. მეორე ტაიმში ისინი 5 ბურთითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე ცოტა მოეშვნენ და 22:20 იკმარეს, რაც მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვებისათვის საკმარისი აღმოჩნდა.

აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ საბედნიეროდ, "მამულის" ხელბურთელი **ირაკლი კვერნაძის** გუშინწინ მიღებული თვალის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. ირაკლის მხედველობა არ დაკარგავს, მაგრამ ტვინის შერყევა მიიღო და ცოტა ხნით იძულებითი შესვენება მოუწევს.

დაახლოებით პირველი მატჩის მსგავსი სცენარით წარიმართა "თელავი" - "თბილისის" თამაში. ქვეყნის 17-გზის ჩემპიონი თავიდან 4:1 დაწინაურდა, მაგრამ შესვენების შემდეგ "თბილისი" იგებდა 4-ბურთიანი სხვაობით.

"თბილისმა" მაქსიმალურად მობილიზებული დაცვა დაუყენა მეტოქეს და შეტევაში ხშირად ცვლიდა ტაქტიკას. პირველ ტაიმში **ტიტე კალანდაძის** შეგირდების თამაში, ძირითადად **გიორგი ნივნივაძეზე** იყო აგებული, რომელიც ტანკივით არღვევდა სტუ-ელების დაცვას და ხან თავად გაჰქონდა, ხანაც თანაგუნდელებს ურიგებდა პასებს.

მეორე ტაიმში კი ხან **ქარდავამ** გამოიდო თავი, ხან **ქუთათელაძემ** - მარცხენა კუთხიდან და ხანაც ვეტერანმა **ლევან გელაშვილმა**. აქვე აღსანიშნავია "თბილისის' მეკარე **კორნელი ანდრიაძის** უაღრესად დამაჯერებელი გარჯა. მან 19-ჯერ გააწბილა მეტოქე. კარგად გამოიყურებოდა **უჩა მაისურაძეც**, რომელიც ახალ ამპლუას მშვენივრად მოერგო და ხაზზე დიდებულად ირჯებოდა.

რაც შეეხება სტუ-"თელავს", დაცვაში სუსტი თამაშის გარდა, **ირაკლი კეკელიძის** გუნდის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ვერ გამოინახა ხელბურთელი, რომელიც კრიტიკულ მომენტებში თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა. ლიდერობა ხან **გიორგი კობახიძემ** სცადა, ხან **გიორგი ქობელაშვილმა** და ხანაც **აკაკი ტალახაძემ**, მაგრამ "თბილისის" მწყობრ დაცვასა და ანდრიაძეს გასალები ვერ მოარგეს.

საბოლოოდ, 27:21 "თბილისის" სასარგებლოდ და ინტრიგა აქაც შენარჩუნდა. თუკი "თბილისი" შემდეგ წრეშიც იმარჯვებს, რეგულარული სეზონის გამარჯვებული და ფლეი ოფში მოედნის უპირატესობის მქონე გუნდის ვინაობა ბოლო წრეში გაირკვევა. მეოთხე წრე 17 აპრილს დაიწყება.

კობა **ხატისაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 9 | 8 | 0 | 1 | +156 | 16 |
| თბილისი | 9 | 7 | 0 | 2 | +175 | 14 |
| მამული | 9 | 2 | 0 | 7 | -137 | 4 |
| ქუთაისი | 9 | 1 | 0 | 8 | -194 | 2 |

ბომბარდირები

ომარ ყიფიანი (სტუ-თელავი, 101)

ვანო ქარდავა (თბილისი, 74)

გიორგი ნივნივაძე (თბილისი, 73)

ჰოკეი

# შემადგენლობა დნეპროპეტროვსკისთვის

14-26 აპრილს, საქართველოს ნაკრები უკრაინაში, დნეპროპეტროვსკის საერთაშორისო ტურნირზე 7 მატჩს გამართავს. აქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადაწყდება, გაიგზავნოს თუ არა საერთაშორისო ფედერაციაში განაცხადი მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის თაობაზე.

ნაკრებში სამი სრული ხუთეული, ორი მეკარე და რამდენიმე სათადარიგო მოთამაშეა. აი, შემადგენლობაც:

მეკარეები: **კონსტანტინე სანიკიძე** (მგლები), **კახა ამბროლავა** (მიმინო).

პირველი ხუთეული: **მიხეილ დავითაშვილი** (მგლები), **ირაკლი დავითაია** (რაინდები), **გიორგი ჯეირანაშვილი** (მიმინო), **მიხეილ ხუციშვილი** (მიმინო), **ჯაბა ჩალათაშვილი** (რაინდები).

მეორე ხუთეული: **ამირან გეფერიძე** (მიმინო), **ვახტანგ გოგიჩაიშვილი** (მიმინო), **გოჩა ჯეირანაშვილი** (მიმინო), **დენის დავიდოვი** (რაინდები), **შალვა ოგანეზოვი** (მიმინო).

მესამე ხუთეული: **პაატა კავკასიძე** (რაინდები), **გია ოგანესიანი** (კაპიტანი; მიმინო), **გენადი კოსიცკი** (ჯვაროსნები), **ზურაბ ნადირაშვილი** (ჯვაროსნები), **ლევან ზედგენიძე** (მიმინო).

სათადარიგოები: **სერგო აკოფიანი** (მიმინო), **ლაშა მეტრეველი** (მიმინო), **დავით მინასიანი** (მიმინო).

დავით **ჩუბინიძე**

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# ენერჯის იოლი გამარჯვება

**ენერჯი ინვესტი–დინამო 87:70**

24:14, 25:20, 24:18, 14:18

ენერჯი: გამყრელიძე (7 ქ, 5 პ), ბაბიაშვილი (15 ქ), სტეფანოვი (10 ქ, 13 მ), ჩიტაშვილი, დიდია (7 ქ, 7 მ), ლეჟავა (13 ქ, 5 პ), ცეკვავა (8 ქ), მაჭავარიანი, დანელიანი (2 ქ), გოგობერიშვილი (13 ქ), ტუჯანი (9 ქ), ჭოჭუა (3 ქ)

დინამო: გულისაბედაშვილი (6 ქ, 7 მ, 7 ჩ), ნანიტაშვილი (8 ქ), ჟლენტი (11 ქ), კუჭავა (2 ქ), სიგუა (6 ქ), მაისურაძე (1 ქ), ათანელიშვილი (21 ქ, 9 მ), ახალკაცი (10 ქ), ფაიქრიძე (5 ქ)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, ზაზა მაჩალაძე

გუშინ, რუსთავში დაიწყო საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის მორიგი ტური. რეგულარულ სეზონში უკვე პირველადგილგანაღდებულმა "ენერჯი ინვესტმა"' იმ "დინამოს" უმასპინძლა, რომელსაც პლეი ოფში თამაშის მიზერული შანსილა ჰქონდა და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა. შედარებით ნაკლები მოტივაციის მიუხედავად, რუსთაველებმა საკუთარი გულშემატკივარი არ გააწბილეს, თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და უშანსოდ დაამარცხეს მეტოქე.

ტური დღეს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდება. 13:15 საათზე "ავიამშენი" ეთამაშება "მაკაბს", ხოლო 15:15 საათზე თსუ "ვითას" დაუპირისპირდება

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 24 | 20 | 4 | 44 |
| ავიამშენი | 23 | 13 | 10 | 36 |
| თსუ | 23 | 12 | 11 | 35 |
| ვითა | 23 | 12 | 11 | 35 |
| დინამო | 24 | 9 | 14 | 33 |
| მაკაბი | 23 | 4 | 19 | 27 |

**კობა ხატისაშვილი**

# ვითასთან თამაში პლეი ოფზე ფიქრით

**კვირას სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატის 24-ე ტურის ორი მატჩი გაიმართება - "მაკაბი" თსუ-ს დაუპირისპირდება, ხოლო "ვითა"-"ავიამშენს". როგორც მიხვდით, ტურის ცენტრალურ შეხვედრად "ვითა"-"ავიაა" მონათლული, რომელსაც გუშინ კლუბ "12 მაგიდაში" პრესკონფერენცია მიეძღვნა.**

**შეხვედრა "ვითას" ერთ-ერთმა მწვრთნელმა თემურ აბულაძემ გახსნა:**

- გუნდი "ავიამშენთან" მატჩისთვის მზადაა. გამარჯვების შემთხვევაში პლეი ოფში მოხვედრის შანსებს კიდევ უფრო განვიმტკიცებთ, ამიტომ ვცდილობთ კვირის მატჩს მაქსიმალურად მობილიზებულები შევხვდეთ. კალათბურთელთა უმეტესობა ჯანმრთელადაა, მხოლოდ ბუბა ბერიშვილი და ბექა ნივნივაძე დაგვაკლდება. მათ ახლახან ოპერაციები გადაიტანეს და ვარჯიში ჯერ არ დაუწყიათ."

**კალათბურთელებზე ისაუბრა "ავიამშენის" მთავარმა მწვრთნელმა ლევნა მოსეშვილმა:** - გუნდი ნელ-ნელა ფორმას კრეფს. უკანახაზელებს კარგად ეხმარებიან მეფარეები. ბოლო დროს საქმეს სერიოზულად ეკიდება თორნიკე ნინიაშვილი და ეს მის გარჯაზეც ისახება. მაგალითად "ვითასთან" წინა შეხვედრისას პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მოედანზე თორნიკეს გამოჩენამ სიტუაცია გამოასწორა. ჯერ სათანადო ფორმაშია ვახტანგ მინაშვილიც. მას წელს საკმარისი სათამაშო დრო აქვს და იმედებს არ გვიცრუებს. ფობის (მინაშვილის მეტსახელი) პლუსი ისაა, რომ შეტევაში საჯარიმოებსაც და ორქულიანებსაც მაღალი პროცენტული სიზუსტით ისვრის. "ვითასთან" შეხვედრისთვის დაგვაკლდება ლუკა შანიძე, რომელიც ტრავმის გამო გუნდს დიდი ხანია ვერ ეხმარება. კვირას ვერც დავით იმნაძე ითამაშებს. მან მაღალი სიცხის გამო ერთი კვირა დაისვენა და მხოლოდ ორი ვარჯიშია, რაც შემოგვიერთდა."

ლევან მოსეშვილს ისიც ვკითხეთ, "ავია" ჩემპიონი რომ გახდეს, უფროსობა ევროტურნირებზე თუ გაიყვანსო. მწვრთნელმა განგვიმარტა, რომ ამ საკითხზე ხელმძღვანელობასთან საუბარი ჯერ არ ყოფილა, რუსეთის საზღვრის ჩაკეტვამ "ავიამშენის" ქარხანასაც დაატყო ხელიო.

**"ავიას" თავკაცისგან სიტყვა კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ გადაიბარა:** - მართალია, ჯერ რეგულარული ჩემპიონატი გვაქვს ჩასამთავრებელი, მაგრამ უკვე პლეიოფზე ვფიქრობთ. მთავარი ბრძოლები სწორედ ნახევარფინალში იქნება. ამიტომ ბოლო ორი კვირაა დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, რათა პლეიოფისთვის სათანადო ფიზიკურ კონდიციებში ვიყოთ. აქცენტის ნახევარფინალებზე გადატანამ შეიძლება ახლა გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონიოს, მაგრამ პლეიოფში წარმატება ამ მცირე რისკად ნამდვილად ღირს.

# ბექა ნივნივაძე: სიარული თუ ვარჯიშია?!

**პრესკონფერენციას ესწრებოდა "ვითას" გამთამაშებელი ბექა ნივნივაძე, რომელმაც მარტის დასწაყისში ბრმანაწლავის ოპერაცია გადაიტანა და ჯერჯერობით გუნდთან ერთდა ვერ ვარჯიშობს. ბექას გუშინ რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

- ბრმანაწლავის ოპერაცია 4 მარტს გავიკეთე. მანამდე ვირუსული გრიპი შემხვდა და ერთი კვირა ვიწექი. შემდეგ მოულოდნელად მუცელში ტკივილი ვიგრძენი და სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა. მას მერე ორი კვირა მკაცრ დიეტაზე ვიყავი და 12 კილოგრამი დავიკელი.

**- ახლა თავს როგორ გრძნობ?**

- 2 კგ მოვიმატე და ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. თუმცა ძნელია, კუს ტბაზე დილაობით სიარულს ვარჯიში დაარქვა.

**- ვითას" საწვრთნელ პროცესში აქტიურად როდის ჩაერთვები?**

- 10 დღეში ვარჯიშს დავიწყებ, დატვირთვებს ნელ-ნელა გავზრდი და ვიმედოვნებ, პლეი ოფებისთვის მწყობრში ვიქნები.

**- "ავიამშენთან" კვირის მატჩზე რას იტყვი?**

- "ავიას" დამარცხების შემთხვევაში პრაქტიკულად პლეი ოფის საგზურს ვინაღდებთ, ამიტომ ძალიან მინდა, ჩემმა თანაგუნდელებმა ბოლო დროის ტრადიცია განაგრძონ და "ავიაც" დაამარცხონ. მე მათ გვერდიდან ფსიქოლოგიურად დავეხმარები.



ბექა ნივნივაძე

**ვაჟა სიმონიშვილი**




რაგბი. ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# პრობლემებია!

## რუსეთთან ზირაქაშვილი, ლაბაძე, გიორგაძე, მაჩხანელი და ურჯუკაშვილი გვაკლდებიან



დავით ზირაქაშვილს კლერმონი არ ათავისუფლებს

**კვირის თავზე, 12 აპრილს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები შორეულ ციმბირში, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ყველაზე მნიშვნელოვან, საჩემპიონო შეხვედრას გამართავს რუსებთან. კრასნოიარსკული დაპირისპირების მნიშვნელობაზე და ეროვნული ნაკრების შემდაგენლობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე გვესაუბრება.**

- რუსებთან მატჩში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე დაგვაკლდება. მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი გიორგაძე და გია ლაბაძე ტრავმირებულები არიან. დავით ზირაქაშვილსა და ირაკლი მაჩხანელს კლუბები არ უშვებენ. რა არ ვცადეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ოფიციალურად 12 აპრილი ღია ფანჯარა არაა და კლუბს უფლება აქვს, მოთამაშე ნაკრებში არ გამოუშვას. ზირაქაშვილის შემთხვევაში "კლერმონის" ხელმძღვანელებთან წინასწარი შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ გუნდის პირველხაზელებს ტრავმები აწუხებთ და ზირაქას ვერაფრით უშვებენ.

**- შემადგენლობასთან ერთად პრობლემატურია თვით მატჩის გამართვის ადგილი. კრასნოიარსკში ყინვა ხომ არაა?**

- კრასნოიარსკი რუსებს შემთხვევით არ შეურჩევიათ. აქამდე ყველა მატჩი კრასნოდარში ტარდებოდა და სულ ვამარცხებდით. კრასნოიარსკი კრასნოდარისგან განსხვავებით, მოსკოვთან ერთად რუსეთის სარაგბო ცენტრია. რაგბი ამ ქალაქში საკმაოდ პოპულარულია. თანაც ჩვენგან ძალიან შორსაა. სხვაობა დროში ოთხი საათია. ამას დაუმატეთ კლიმატური პირობებიც. წესით, მათი გათვლით ყოველივე ამან ხელი უნდა შეგვიშალოს, დაგვასუსტოს.

**- რა კონტრზომებს მიმართავს საქართველოს რაგბის კავშირი?**

- გადავწყვიტეთ, იმისთვის, რომ მორაგბეებს აკლიმატიზაციის პრობლემა არ შეექმნათ, კრასნოიარსკში ადრიანად ჩავიდეთ. უკვე მოძებნილია მოედანი, სადაც გუნდი თამაშისთვის მოემზადება. ერთი სიტყვით, ადგილზე ყველა საორგანიზაციო საკითხი გადაჭრილია.

თამაში ძალიან რთული, დაძაბული იქნება. ჩვენი ვარაუდით სტადიონზე 15 ათასამდე მაყურებელი მოიყრის თავს. რუსებს ოცნებად აქვთ გააქცეული ჩვენი დამარცხება. თუმცა, გარწმუნებთ, ბიჭები ციმბირშიც და იმის იქითაც მხოლოდ მოსაგებად წავლენ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ შეხვედრაზე თქვენც მიემგზავრებით. რუსული რაგბის ხელმძღვანელებთან კი ჩვიდმეტწლამდელთა შორის ტურნირის ორგანიზებაზე გექნებათ მოლაპარაკება...**

- დიახ, ასეთი ტურნირის გამართვა პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. ის 29 ივნისს აიღებს სტარტს. შეჯიბრი FIRA AER-ის ეგიდით გაიმართება და მასში ოთხი გუნდი, საქართველო, რუმინეთი, უკრაინა და რუსეთი იასპარეზებს. რაგბის კავშირს განზრახული აქვს, ტურნირი ფოთში ჩაატაროს. რისთვისაც აუცილებლად დაგვჭირდება როგორც სახელმწიფოს, ისე სპონსორების დახმარებაც. უწინარესად ფოთში მოსაგვარებელია სტადიონის საკითხი. აქ არსებული "ცენტრალური" სტადიონი შესაკეთებელია და კარგი იქნება, თუ სახელმწიფო პროგრამიდან, რომელიც ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს, საამისოდ თანხა გამოიყოფა.

ვფიქრობ, ფოთელებს საკმაოდ კარგ საჩუქარს გავუკეთებთ. ეს შეჯიბრი ტრადიციული გახდება და კარგი იქნება თუ მცოცავი გრაფიკით, რიგრიგობით გაიმართება მონაწილე ქვეყნებში. ამასთან შესაძლებელია მონაწილე ქვეყნების რაოდენობა დროთა განმავლობაში გაიზარდოს კიდეც. ყოველივე კი რაგბის განვითარებას, პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

**საქართველო კრასნოიარსკში:**

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **დავით ქუბრიაშვილი** (მონპელიე), **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული);

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **კახა უჩავა** (ფარული);

მესამე ხაზი: **შალვა სუთიაშვილი** (ბობინი), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **რატი ურუშაძე** (ენისეი), **დიმიტრი ბასილაია** (კლერმონი), **სიმონ მაისურაძე** (კლერმონი);

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული);

10: **ლაშა მალაღურაძე** (კრედო), **მერაბ კვირიკაშვლი** (პო);

12-13: **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ენისეი), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო);

11-14: **გიორგი შკინინი** (ხულიგანა), **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია);

15: **ოთარ ბარკალაია** (ანდორა).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ტამპერე, მეორე ნაწილი

ფინურ ტამპერეში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობებში, რომელიც "თავისუფლებმა" და ქალებმა უკვე მოილიეს, დღეს და ხვალ კი "ანტიკოსები" იასპარეზებენ. ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: ირაკლი ჭოჭუა (55), რევაზ ლაშხი (60), მუხრან მაჭუტაძე (66), შმაგი გულიაშვილი (74), ბადრი ხასაია (84), რამაზ ნოზაძე (96), გურამ ფერსელიძე (120). დღეს ჭოჭუა, მაჭუტაძე, ხასაია და ფერსელიძე იჭიდავებენ. გუშინ გამართულმა წილისყრამ მათი მეტოქეებიც გამოავლინა. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ ნაკრების აქტივში ჯერ მხოლოდ სამი ლიცენზიაა 60, 84 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში, სხვებისთვის კი ერთ-ერთი შანსი ეს ჩემპიონატიცაა, სადაც ყოველ წონაში თითო საგზური გაიცემა.

## ირაკლი ჭოჭუა

შეიძლება ითქვას, ნაკრების ვეტერანს ერთ-ერთი ბოლო შანსი ეძლევა. იგი სულ უფრო მძაფრად გრძნობს კონკურენტთა სუნთქვას და ნაკრებში მოხვედრაც თანდათან უფრო უჭირს - შარშან მსოფლიოზე წამსვლელი გუნდიდან **მამუკა ხოზრევანიძემ** ამოაგდო, წლეულს კი საქართველოს ჩემპიონატის ფინალში **ლაშა გოგიტაძემ** მოუგო. გოგიტაძეს საერთაშორისო ტურნირებშიც წარმატებით რომ ეჭიდავა, ევროპაზეც ის წავიდოდა, მაგრამ ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** მისი არასტაბილური გამოსვლით უკმაყოფილო დარჩა და 28 წლის ჭოჭუას მორიგი შანსი მისცა. ვფიქრობთ, საბოლოო, რადგან გაისად მწვრთნელმა რომც დაუთმოს, ახალგაზრდა კონკურენტები არ დაუთმობენ. ჭოჭუა ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონია. ეროვნულშიც დიდი იმედებით გადმოვიდა და სადებიუტო ტურნირშივე - კონტინენტის პირველობაზე ვერცხლი მოიპოვა. სამწუხაროდ, პირველხარისხოვან ტურნირებში ეს მისი ბოლო მედალი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, წონის პრობლემების გამო, თუმცა ათენის ოლიმპიადაზე მისი უმედლოდ დარჩენა მთლიანად მსაჯთა ნამუსზეა. მას ოლიმპიადაზე მოხვედრის მეორე და, ალბათ, უკანასკნელი შანსი ეძლევა, იმდენად ნიჭიერი კონკურენტების გარემოცვაშია. დღეს იგი პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი პოლონელ **პაველ კრამარცის** ხვდება. ამათში მოგებულის მეტოქე ებრაელ **მეხმან ალაევსა** და ნორვეგიელ **თომას რონინგენს** შორის გაირკვევა.

## რევაზ ლაშხი

ამ წონის გამოკვეთილი ლიდერი მსოფლიო ჩემპიონი **დავით ბედინაძეა**, რომელიც ახლა ისვენებს. ეს მისი სურვილიც იყო და არც მწვრთნელებს დაუძალებიათ, რადგან საერთაშორისო ტურნირებზე ძალზე კარგად ისპარეზა. მისმა დასვენებამ ნაკრების კარი ლაშხს გაუღო, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ამას. იგი ადრე 55-ში გამოდიოდა და ახალ წონასთან ადაპტაცია ცოტა გაუგრძელდა. ამას ეროვნულში გადმოსვლაც დაემატა, რამაც ახალგაზრდა ფალავანი უფრო დიდი ბარიერის წინაშე დააყენა. იმედია, ამ პრობლემებსაც მოუვლის და ბედინაძეს სერიოზულ კონკურენტად ექცევა, თუმცა მას წინააღმდეგობები არც ახლა აკლია და არა მხოლოდ ლაშხისგან.

## მუხრან მაჭუტაძე

26 წლის ფალავანი ეროვნულში 2005 წელს გამოჩნდა და ერთხელ მსოფლიოზეც იჭიდავა, ევროპირველობაზე კი მესამედ ცდის ძალას. ცოტა არ იყოს, ამ წონას გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, წლეულს კი მაჭუტაძემ ივარგა. ამ ტურნირებში მისი საუკეთესო შედეგი შარშან, ევროპაზე დაკავებული მეხუთე ადგილია, როცა ნახევარფინალამდე დამაჯერებლად მისული ზედიზედ ორჯერ დამარცხდა. ტამპერეში მისი სავარაუდო მეტოქე და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **არმენ ვარდანიანია**. თუ პირველ წრეში ის თავის წილ შეხვედრას მოიგებს, ხოლო მაჭუტაძე ბერძენ **ევგენი პენტორეტსის** დაამარცხებს, ერთმანეთსაც შეხვდებიან. ბადის ამავე ნახევარშია ძალიან ძლიერი თურქი, ევროპის რამდენიმეგზის და მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **სერეფ ეროღლუ**.

## შმაგი გულიაშვილი

მანუჩარ კვირკველიას არყოფნაში მას ნაკრებში მოხვედრა არ გასჭირვებია. ბოლო ხანებში იგი მართლაც რომ თვალსაჩინო პროგრესს განიცდის და წონის ლიდერს ტოლს არაფერში უდებს. იგი ამ რანგის ტურნირების დებიუტანტია, თუმცა როგორც არ უნდა იასპარეზოს ფინეთში, ნაევროპევს ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრად მასა და კვირკველიას შორის ნამდვილად საინტერესო ბრძოლა წარიმართება. თუმცა მანამ ოლიმპიადის ლიცენზიაა მოსაპოვებელი.

## ბადრი ხასაია

ამ თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ნაქები წარმომადგენელი, რომელმაც ბევრსაც მიაღწია, მაგრამ ბევრიც დაკარგა და წინა ოლიმპიადაზე ეს ერთადერთი წონა იყო, სადაც მონაწილე არ გვყავდა. ამჯერად ხასაიამ ეს პრობლემა მოაგვარა - საგზური შარშან მსოფლიოზე მოიპოვა, სადაც მესამეზე გავიდა, და წლეულს ოლიმპიადისთვის მშვიდად ემზადება.

ტამპერეში მას ბედმა გაუღიმა და წონის ყველა ლიდერი საპირისპირო მხარეს დააჯგუფა: სომხური წარმოშობის შვედი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **არა აბრაჰამიანი**, პოლონელი ევროპის ჩემპიონი **არტურ მიხალკიევიჩი**, თურქი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ნაზმი ავლუჯა**, ფრანგი ევროპის ორგზის ბრინჯაოსანი **მელონენ ნუმონვი**, უტიტულო რუსი **ოლეგ შოკალოვი** - ამათგან მხოლოდ ერთი თუ შეხვდება და ისიც ფინალში, მის მხარეს კი ჩეხი **ვოიტეჟ კუკლას** დონის ფალავნები მართლაც რომ თოჯინასავით შეხვდნენ. ხასაია პირველ წრეში ნორვეგიელ **მატს როლფსენს** ხვდება. წესით, აქედან ფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

## რამაზ ნოზაძე

მასზე ბევრი ლაპარაკი უადგილოდ მიგვაჩნია, რადგან ახალს ვერაფერს ვიტყვით. ოლიმპიადის ვიცე, ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი წონის გამოკვეთილი ფავორიტია. იგი ნებისმიერ ტურნირზე გამარჯვების უპირველესი კანდიდატია და გამონაკლისი არც ეს პირველობაა.

## გურამ ფერსელიძე

20 წლის ბათუმელმა ფალავანმა ნაკრებში პირველად მარტში, მსოფლიო თასზე იჭიდავა, ეს კი მისი მეორე ტურნირია. მისი ბედი, არსებითად, იმ მსოფლიო თასმა და უნგრეთის საერთაშორისო ტურნირმა გადაწყვიტა, სადაც იქნებ ფურორი არ მოუხდენია - მეტ-ნაკლებად სტაბილურად გამოვიდა და უშუალო კონკურენტ **რევაზ ჭელიძეს** აჯობა. არადა, საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ფერსელიძე ჭელიძესთან დამარცხდა, თუმცა მისი ბედი დიდწილად მონეტამ გადაწყვიტა. ამიტომ დარჩიამ უნგრეთში - მსოფლიო თასზეც და ტურნირზეც შანსი ორივეს მისცა, იქ კი ფერსელიძემ რამდენიმე დამაიმედებელი შეხვედრა ჩაატარა. დარჩიაც ამიტომ ენდო. ტამპერეში მისი პირველი მეტოქე მასპინძელი **იარი კორტესმაკია**.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ. გიორგი გოგშელიძესთან

# რუბიკონი გადალახულია

გიორგი გოგშელიძემ (96) ფინურ ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით ოცნება თავადაც აისრულა და ჩვენც აგვისრულა. ვოცნებობდი, ოლიმპიადაზე ან სხვა პირველხარისხოვან ტურნირზე წარმატებული სპორტსმენის რანგში საქართველოს ღირსება დამეცვაო, მითხრა გიორგიმ ჯერ კიდევ 2001 წელს, როცა რუსეთის სახელით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეს სიტყვები მან უკვე წარმატებული სპორტსმენის - მსოფლიო ჩემპიონის რანგში გააკეთა, მალე სამშობლოშიც დაბრუნდა, მაგრამ პირველხარისხოვან ტურნირებზე ოქროს აქამდე ელოდა. მასთან ერთად ველოდით ქომაგებიც და, როგორც იქნა, ფინეთში ეს გაჭიანურებული მოლოდინიც დასრულდა.

ვფიქრობთ, გოგშელიძემ რუბიკონი სწორედ ტამპერეში გადალახა. შარშან მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. აქ ყველაფერი ჯაჭვური რეაქციით წარიმართა - როგორც იქნა, თბილისში ბინა დაუქირავეს და საცხოვრებლად აქ გადმოსვლის საშუალებაც მიეცა. ამას ნაკრების საშეკრებო ციკლზე გადასვლაც დაემატა, როცა გუნდი თვიდან თვემდე შეკრებებზე იმყოფებოდა, რამაც გოგშელიძეს სპარინგების პრობლემა საბოლოოდ მოუხსნა. არადა, გორში ყველაზე მეტად ეს აკლდა, ამის გამოსწორების შემდეგ კი თვალსაჩინო პროგრესმაც არ დააყოვნა. ევროპის ჩემპიონატი ამ წინსვლის ლოგიკური დასტური გამოდგა - იქ ძველებურად ძლიერი და შეუჩერებელი გიორგი გოგშელიძე ვიხილეთ, რომელიც უკვე ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტი იქნება. მათ შორის - ოლიმპიადაზეც.

გოგშელიძის ტრიუმფის კულმინაცია ნახევარფინალში **ჰაჯიმურატ გაცალოვთან** მოგება იყო. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი გაცალოვი ბოლო წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანია და გოგშელიძისთვის უხერხული მეტოქე იყო. ამ მეტოქეობიდან გამომდინარე, მათი ურთიერთობა ნამდვილად არაა ჰარმონიული. პირიქით - ძალზე დაძაბულია და ზოგჯერ ლეიბსაც სცილდებოდა, ეს ყველაფერი კი მათ შეხვედრას დამატებით ტვირთად აწვა. მაგრამ გოგშელიძემ იმდენად დამაჯერებლად მოუგო და, მთლიანობაში, იმდენად ძლიერად ჩაატარა ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება, ვფიქრობთ, გაცალოვის კომპლექსი საბოლოოდ ჩამოიშორა. გაცალოვიც ღირსეულად მოქცეულა - დაჯილდოების ცერემონიალზე გასვლამდე გოგშელიძისთვის წარმატება მიულოცია.

მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები გუშინ დაბრუნდა ფინეთიდან, გოგშელიძე კი დაუყოვნებლივ მშობლიურ გორში გაემგზავრა, მონატრებულ ცოლ-შვილთან. ჩვენი საუბარი ტელეფონით გაიმართა.

**- გიორგი, შარშანდელთან შედარებით ბევრად უკეთეს ფორმაშიც იყავით და ფინეთში წასვლამდეც ამბობდით, რომ მხოლოდ საჩემპიონოდ მიდიოდით. ცხადია ისიც, რომ ტურნირზე ყველა მოსაგებად და წარმატებისთვის მიდის და მით უფრო - თქვენი შესაძლებლობების, თქვენი ამბიციების მქონე კაცი, მაგრამ იმხელა პაუზის მერე მაინც ასე მტკიცედ გჯეროდათ ჩემპიონობისა?**

- ტყუილი დაპირებები არ მიყვარს, მაგრამ ბევრი რამ ბედსა და იღბალზეცაა დამოკიდებული - ყველაფერი ისე მოხდება, რასაც ღმერთი გარგუნებს. თუმცა ჩემი ბოლოდროინდელი ფორმიდან, ჩემი ჭიდაობიდან გამომდინარე იმდენად კარგად ვიყავი განწყობილი, ნამდვილად მეიმედებოდა.

**- ჩემპიონობა და ოქრო რომ წარმატებაა, გასაგებია, მაგრამ საკუთარ გამოსვლას როგორ შეაფასებთ - ხართ მომზადებით, ჭიდაობის ხარისხით კმაყოფილი?**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ უძლიერესი შემადგენლობა შეიკრიბა და ნამდვილად კარგი ტურნირი გამოდგა, მაგრამ ზოგჯერ მართლაც ხდება ხოლმე, იმარჯვებ, მაგრამ შენი თავით მაინც უკმაყოფილო ხარ. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში ჩემი ჭიდაობით ბოლომდე კმაყოფილი დავრჩი. მწვრთნელთა დავალებები, დასახული გეგმები სრულად განვახორციელე. დავრწმუნდი, რომ ოლიმპიადისკენ სწორი გზით მივდივარ, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. ცხადია, საოლიმპიადოდ კიდევ ბევრ რამეს დავამატებ და გაცილებით მეტი დატვირთვით მოვემზადები, მაგრამ ამ ეტაპზე რაც მევალებოდა და რა მიზნებსაც ვისახავდი, შევასრულე.

**- გაცალოვთან შეხვედრა რომ ყველაზე რთული იქნებოდა, ამაზე არც გეკითხებით...**

- ცხადია. ეს ნახევარფინალი იყო და მას მართლაც მეტი დაძაბულობა, მეტი პასუხისმგებლობა ახლდა თან. ბუნებრივია, იოლი არც ერთი ბრძოლა არ ყოფილა და ყველა ძნელი იყო, მაგრამ ეს მაინც გამორჩეული გახლდათ.

**- როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოუგეთ?**

- ვინაიდან წინა წლებში სათანადოდ ვერ ვემზადებოდი, მასთან შეხვედრებში ჩემი თავის რწმენა სულ მაკლდა. ამიტომ სულ იმას ვცდილობდი, რაც შეიძლება მარტივი მოძრაობები გამეკეთებინა, არ გამერისკა, არ შევმცდარიყავი და მესარგებლა მისი შეცდომებით. ვინაიდან ახლა თავსაც კარგად ვგრძნობდი და უკვე ჩემი თავისა მეიმედებოდა, ჩავთვალე საჭიროდ, რომ მე უნდა შემეტია, მე უნდა ამეღო ინიციატივა და აქტიურად უნდა მეჭიდავა. ამ ტაქტიკამ გაამართლა და გამარჯვებაც მომიტანა.

**- ანუ, მასთან ადრე წაგებული შეხვედრები უკვე ტვირთად არ გაწვათ და მოგების იმედით გახვედით საჭიდაოდ? არ გეშინოდათ ადრინდელი ისტორიების განმეორებისა?**

- წინასწარ ვერასოდეს ვერაფერს იტყვი გადაჭრით, რადგან ზუსტად არავინ იცის, როდის რა მოხდება. მაგრამ გაცალოვთან შეხვედრამდე ფსიქოლოგიურად მოსაგებად ვიყავი განწყობილი, თუმცა არა მხოლოდ მასთან. მე ჩემი მიზანი მაქვს, ჩემი - ამოცანა და მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ ყველა შეხვედრა აუცილებლად უნდა მომეგო. ყურადღება არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა მეტოქე - ნებისმიერი უნდა დამემარცხებინა. გაცალოვთან შეხვედრაშიც ამ შეგნებით გავედი. კენჭისყრისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმიქცევია და მასთანაც მოსაგებად გავედი. წაგების შესაძლებლობას, დამარცხების ვარიანტს ფიქრშიც არ ვუშვებდი.

**- ანუ, ადრე მასთან აგებდით იმიტომ, რომ სათანადოდ ვერ ემზადებოდით... არავინ იცის, რამდენი დაკარგეთ იმით, რომ ადრე მოსამზადებლად ასეთი პირობები არ გქონდათ.**

- მე ფინეთში წასვლამდეც გითხარით, რომ გორში სათანადო სპარინგპარტნიორები არ მყავდა, უამისოდ ვარჯიში კი ფიზკულტურას ემსგავსება. სამწუხაროდ, იქ დატვირთვებს ვერ ვიღებდი, თბილისში გადმოსვლის შემდეგ კი ეს პრობლემა მომეხსნა და საერთო სპორტული მდგომარეობაც ბევრად გაუმჯობესდა.

**- მაგრამ რუსეთში ხომ არ გაკლდათ სპარინგები და დატვირთვები? იქ რა მოხდა, იქაური ნაკრებიდან რატომ ამოგაგდოთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ გაცალოვმა რუსეთის ნაკრებიდან ამომაგდო. ოფიციალურ ტურნირებში არასოდეს შევხვედრივართ ერთმანეთს, მხოლოდ შეკრებებზე თუ გვიჭიდავია, ნაკრებიდან კი მის გვერდით მდგომმა ხალხმა ამომაგდო. მას მთელი რესპუბლიკა, მთელი დაღესტანი ეხმარებოდა.

**- საინტერესოა, გაცალოვმა ეს მარცხი როგორ მიიღო? კვარცხლბეკი ნაჩქარევად დატოვა... ხალიჩის მიღმა რაიმე შეხება ხომ არ გქონიათ, ან - ადამიანური თვალსაზრისით, სასიკეთოდ ხომ არ შეცვლილა რამე - თუ მოვიდა, გამოგელაპარაკათ ან მოგილოცათ?**

- კვარცხლბეკიდან მისი ნაადრევად წასვლა არ გამკვირვებია. მესმის, რატომაც მოიქცა ასე - ის გამარჯვებებსაა მიჩვეული და ამ ბრინჯაოთი კმაყოფილი ვერ დარჩებოდა.

უშუალოდ დამოკიდებულებას და შეხვედრას რაც შეეხება, იგი ძალზე კორექტულად, ყოველგვარი უხეშობის გარეშე წარიმართა. იქ არც ექსცესები ყოფილა და არც - სიტყვიერი ურთიერთობა. მოგვიანებით, დასაჯილდოებლად რომ გამოგვიძახეს, დარბაზში გამოსვლამდე რატომღაც მის უკან ჩამაყენეს. აი, მაშინ მომიბრუნდა და გამარჯვება მომილოცა. კარგი საქციელია!

**- რუსეთის ნაკრების სხვა წევრებმა თუ მოგილოცეს? მაგალითად, ნაკრების თავკაცმა ჯამბულათ თედეევმა, რომელთანაც ვარჯიშობდით. მათ გუნდში როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს გამარჯვებას? იქ ხომ ბევრი მეგობარი გყავთ და უმეტესობას პირადად იცნობთ.**

- აბსოლუტურად ყველამ მომილოცა. მათ შორის - თედეევმაც, მინდიაშვილმაც, ვარაევმაც და ყველამ... მილოცავდნენ და ამბობდნენ, რომ ძველი გოგშელიძე დაბრუნდაო.

**- ცხადია, რუსთა ნაკრების ლიდერი გიორგი კეტოევიც მოგილოცავდათ და რუსეთიდან სლოვაკეთში გადასული დავიდ მუსულბესიც, რომელიც ისედაც ქართველობს და თქვენთანაც მეგობრობდა, როცა რუსეთის ნაკრებში ერთად ჭიდაობდით.**

- ცხადია, მაგათაც მომილოცეს. მუსულბესმა მითხრა, მე ძველი დრო დავინახე შენი ფეხში შესვლებითო...

**- ბუნებრივია, გაცალოვთან მოგების შემდეგ ფინალში ბევრად მშვიდად გახვიდოდით უკრაინელ გიორგი ტიბილოვთან. თანაც, ის შედარებით ახალი სახეა, თუმცა ფინალი მაინც სხვაა და იოლი არასოდეს იქნება.**

- ცხადია, ფინალს იოლად ვერასოდეს მოიგებ და ადვილი არც ჩემთვის ყოფილა. შეიძლება ტიბილოვი ახლა კი გამოჩნდა, მაგრამ ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არაა, კარგი ფალავანია. მასთან შეხვედრაშიც ჩემი ამოცანა იყო, რომ ინიციატივა ხელიდან არ გამეშვა და მთელი შეხვედრა მეაქტიურა, რასაც გავართვი კიდეც თავი.

**- მოკლედ, შეიძლება ითქვას, რუბიკონი გადალახეთ და საოლიმპიადოდ სერიოზული სტიმული მიიღეთ...**

- ეს გამარჯვება ფსიქოლოგიურად მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამან უდიდესი სტიმული მომცა, საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნა.

**- თან, ოცნებაც აისრულეთ, რადგან როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდით, ჯერ კიდევ მაშინ ნატრობდით ასეთი რანგის ტურნირებზე საქართველოსთვის ჩემპიონის ტიტულის მოტანას.**

- კი, ოცნება მართლაც ავისრულე. ოქროს მედალი საერთაშორისო ტურნირებზეც მომიპოვებია, მაგრამ ეს განცდა სულ სხვა იყო. გულწრფელად ვამბობ, ამხელა სიხარული 2001 წელსაც არ განმიცდია, როცა მსოფლიო ჩემპიონი გავხდი.

**- ოლიმპიადისთვის მზადებას როდიდან და რა განრიგით განაახლებთ?**

- ჯერ 2-3 დღე დავისვენებ, მერე კი ვარჯიშებს განვაახლებ. მოსამზადებელ განრიგზე კი რა გითხრათ - მოვემზადები ნაკრებთან ერთად, მის სავარჯიშო გეგმას კი ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე და მწვრთნელთა საბჭო ადგენს. როგორც ისინი გადაწყვეტენ, ისე იქნება.

**- დაბოლოს, თქვენი ბინით უზრუნველყოფაზე ახალი ხომ არაფერია? იმედია, ანი მაინც მოგცემენ ბინას თბილისში... ამ თემაზე დაგელაპარაკათ ვინმე ან - ფინეთში, ან - აქ დაბრუნების მერე?**

- ჯერჯერობით არავინ. ფინეთიდან ახალი დაბრუნებული ვარ და ასე უცებ ვერც იქნებოდა მაგაზე ლაპარაკი. იმედია, დამიკავშირდებიან და ყველაფერი მოგვარდება.

**ირაკლი თავაძე**





გიორგი გოგშელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ ნოზაძე:

# იბრაჰიმი გამოჩნდა? ძალიან კარგი!

რამაზ ნოზაძე (96) და ბადრი ხასაია (84) ამ უქმეებზე ფინურ ტამპერეში ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებენ და გვჯერა, წარმატებითაც. ასეთი ოპტიმიზმის უფლებას ორივე სპორტსმენი სრულიად გვაძლევს. ნოზაძე, რამდენი პრობლემაც უნდა შეხვდეს მოსამზადებელ პერიოდში, ბუნებრივი მონაცემებიდან გამომდინარე, მაინც ნებისმიერი ტურნირის ფავორიტია. არადა, სამწუხაროდ, ტრავმები, პრობლემები და ფათერაკები მისთვის იშვიათობა არაა. ახლაც, საევროპოდ მოსამზადებელ ციკლში ტრავმების გამო რამდენიმე ტურნირი გაუცდა, თუმცა ფინეთში მაინც იმედიანად და უმაღლესი მიზნებისთვის საბრძოლველად გაემგზავრა. ჩანს, ბადრი ხასაიამაც საბოლოოდ დაძლია ის ჩავარდნა, რაც აქეთ წონის შეცვლამ, იქით კი მოხშირებულმა ტრავმებმა გამოიწვია. შარშან მან წააგო ევროპირველობა, თუმცა იმის მერე საგრძნობლად მოუმატა და სტაბილურ მოჭიდავედ ჩამოყალიბდა - მსოფლიოზე ბრინჯაო და ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა, წლეულს კი მისი პროგრესი კიდევ უფრო აშკარაა. სპორტსმენებს ბოლო შეკრებაზე შევხვდით ბორჯომში და ეს მცირე ინტერვიუებიც მაშინ ჩავიწერეთ.





რამაზ ნოზაძე და ბეგი დარჩია

**- რამაზ, მოსამზადებელ პერიოდში იყო გარკვეული პრობლემები, რის გამოც ტურნირებიც კი გაგიცდათ. კმაყოფილი ხართ თქვენი მომზადებით?**

- ამ ეტაპისთვის კმაყოფილი ვარ. ჩემთვის ეს ევროპის ჩემპიონატი მაინც ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი და ამ ციკლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ძალზე მნიშვნელოვანია, ოლიმპიადამდე ერთი ისეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული ტურნირი გავიარო, როგორიც ევროპის ჩემპიონატია. ცხადია, წარმატებისთვის თავს არ დავზოგავ და საამისოდ ყველაფერს გავიღებ, მაგრამ ეს ტურნირი იმდენს არაფერს ნიშნავს. მთავარი ოლიმპიადაა და აქცენტი იმაზეა გადატანილი, ეს კი სასტარტოდ გამომადგება. აქედან გამომდინარე, ოპტიმალურ ფორმაში არა ვარ, რადგან პიკს საოლიმპიადოდ უნდა მივაღწიო. სადღეისოდ კი მზად ვარ იმდენად, რაც ამ ეტაპისთვის მომეთხოვება.

**- რამდენადაც ვიცი, მწვრთნელთა საბჭოში ამ ტურნირზე თქვენს ჭიდაობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ თქვენი და პირადი მწვრთნელი - ოთარ ტატიშვილი ფინეთში გამოსვლას ემხრობოდით. თქვენი არგუმენტები?**

- მოსამზადებელ ციკლში ტრავმებისა და ავადმყოფობების გამო ტურნირებში ვერ ვიჭიდავე და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დიდი პაუზა გამომივიდა. მინდა, ეს ბარიერი გადავლახო და რწმენის განსამტკიცებლად ერთი სერიოზული ტურნირი მაინც ვიჭიდაო. მსოფლიო თასზეც ამიტომ მსურდა გამოსვლა, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო ვერ ვიჭიდავე.

**- ევროპაზე მოსალოდნელ მეტოქეებზე გაქვთ ინფორმაციები? საინტერესოა, ყველა სერიოზული კონკურენტი იჭიდავებს?**

- რამდენადაც ვიცი, ყველა იჭიდავებს. თუმცა მეტოქეებს მნიშვნელობა არა აქვს - ყველასთან ბოლომდე უნდა დაიხარჯო, იოლად არავინ არაფერს დაგითმობს.

**- რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, ეგვიპტელი ქარამ იბრაჰიმი ისევ გამოჩნდა. მასზე რას იტყვით?**

- გამოჩნდა და ძალიანაც მიხარია, რადგან ისევ მინდა მასთან შეხვედრა.

**- გასაგებია, რომ რევანში ასე ძალიან გინდათ...**

- მგონი, რევანში მარტო მე კი არა, მთელ ქართველ ხალხს უნდა. ძალიან მინდოდა, ისე არ წასულიყო სპორტიდან, კიდევ ერთხელ არ შევხვედროდი.

**- და როგორ ფორმაშია, ამაზეც გექნებათ ცნობები?**

- მან უნგრეთში იჭიდავა, სადაც მე არ ვყოფილვარ და არ მინახავს, მაგრამ თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ ნორმალურ ფორმაშია, ჩვეულებრივად ჭიდაობს და ვნახოთ. მოხარული ვიქნები, მასთან შეხვედრის საშუალება თუ მომეცემა.

**- იქნებ ჯერ ცოტა ადრეა ამაზე ლაპარაკი, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატია, მაგრამ ნაევროპევს ოლიმპიადისთვის ისევ დაგეგმილი გრაფიკით გააგრძელებთ მზადებას თუ ცვლილებებიც იქნება?**

- მთავარია, ტრავმებმა არ შემაფერხოს და ოლიმპიადისთვის მეტი დატვირთვებით გავაგრძელებ მზადებას. მინდა, ამ ოლიმპიადას ყოველმხრივ მზადყოფნაში შევხვდე - ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, ტექნიკურად, რადგან ეს თამაშები ჩემთვის გადამწყვეტია.

ბადრი ხასაია:

# 84 უკვე ჩემი წონაა

**- ბოლო ხანებში აშკარა პროგრესს განიცდით. ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების გეგმა რამდენად სრულყოფილად შეასრულეთ?**

- იმით, რომ მთელი მოსამზადებელი ციკლი თავისი შეკრებებით კარგად გავიარე და თანდათან შევდივარ ფორმაში. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატს მომზადებული ვხვდები და ფინეთში მხოლოდ ოქროსთვის ვიბრძოლებ.

**- ლიცენზია შარშან მოიპოვეთ, ტურნირებშიც წარმატებით იჭიდავეთ და თითქოს ამ ტურნირზე ჭიდაობის აუცილებლობა არ გედგათ. საინტერესოა, რა სტიმულია თქვენთვის ეს ჩემპიონატი?**

- საქმე ისაა, რომ ტურნირის დატვირთვა სხვაა და ჩემპიონატისა - სხვა, ტურნირზე ბევრად მეტი. თანაც, სეზონის მთავარ შეჯიბრებად სწორედ ოლიმპიურ თამაშებს მივიჩნევ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ ევროპის ჩემპიონატს ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ შეჯიბრებად განვიხილავ და ამიტომ მივიჩნიე აქ გამოსვლა საჭიროდ. ვფიქრობ, ოლიმპიადისთვის ეს ჩინებული სტარტი იქნება. შესაბამისად, იქ მაქსიმალური მონდომებით ვიჭიდავებ. პეკინამდე ერთ ტურნირში კიდევ გამოვალ, მაგრამ ძირითადი სტარტი მაინც ევროპის ჩემპიონატი იქნება.

**- მაგრამ ფიქრობთ, ბოლოდროინდელი პროგრესი რისი დამსახურებაა? მხოლოდ იმისი, რომ ბედმა გაგიღიმათ და ტრავმებისგან დაგიფარათ, თუ სხვა მიზეზიცაა?**

- ცხადია, ეგეც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც არანაკლებია, რომ ამ წონას მოვერგე. შეიძლება ითქვას, ადაპტაციის პერიოდი უკვე დამთავრდა და შედეგებიც მოვიდა. ამჟამად ოპტიმალურ წონაში ვარ, ძალიან ცოტას ვიკლებ, რაც ნამდვილად არ მიჭირს.

**- მეტოქეებზე გაქვთ ცნობები, ვინ იჭიდავებს ტამპერეში და ვინ შეიძლება გამოტოვოს ეს ტურნირი?**

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, ამ მხრივ სერიოზული სიახლეები იყოს. ვფიქრობ, ახლაც ძველ კონკურენტებთან მომიწევს ჭიდაობა. ამ წონაში უკვე რამდენიმე მსოფლიო ჩემპიონატი თუ სხვა უმნიშვნელოვანესი ტურნირი ვიჭიდავე და სულ ერთსა და იმავე ხალხთან მაქვს საქმე. ყველა მეტოქეს კარგად ვიცნობ...

**ირაკლი თავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტურის წინ

# ლივერპული არსენალთან მესამე მატჩისათვის ემზადება

## მანჩესტერ იუნაიტედი პოზიციების განმტკიცებას აპირებს...

**დღეს**

არსენალი-ლივერპული
ასტონ ვილა-ბოლტონი
ბლექბერნი-ტოტენჰემი
ფულჰემი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
ნიუკასლი-რედინგი
ვიგანი-ბირმინგემი

**ხვალ**

მიდლსბრო-მანჩესტერ იუნ.
ევერტონი-დერბი

ჩემპიონთა ლიგაში ერთკვირიანი პაუზაა. ინგლისის დიდ ოთხეულს კვლავ პრემიერლიგაზე გადააქვს ყურადღება. ალბიონზე საჩემპიონო მარათონი გრძელდება. "მანჩესტერ იუნატედი" ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნებას აპირებს. "ჩელსისა" და "არსენალს" - სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება სურთ. "ლივერპული" მარათონს ჩამოშორდა. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ის ლიდერს 14 ქულით ჩამორჩება. მერსისაიდელები იმ "არსენალს" შეხვდებიან, რომელთანაც სამი დღის წინ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ფრედ ითამაშეს (1:1). შეხვედრის ადგილი უცვლელია: ლონდონის "ემირიტს სთედიუმი". ამ მატჩზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მიმოხილვა ლიდერზე საუბრით დავიწყოთ.

"მანჩესტერ იუნაიტედი" საუცხოო ფორმაშია. "ეშმაკებმა" ჩემპიონატის ბოლო ოთხი მატჩი ისე მოიგეს, რომ გოლი არ გაუშვიათ. დღეს მათი მეტოქეა "მიდლსბრო". რივერსაიდელებს მწყობრში ჰყავთ ბრაზილიელი თავდამსხმელი **აფონსო ალვეში**. ის იანვრის ტრანსფერებისას დიდი ამბით შეიძინეს ("ჰერენვეენიდან" 12 მილიონ გირვანქად). ალვეშმა "ჩელსისთან" ბოლო ტურში ერთი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა და ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი. საეჭვოა, მისი მშრალი სერია მაინც და მაინც "იუნაიტედთან" დასრულდეს.

"მანჩესტერი" ფავორიტია, მაგრამ **სერ ალექს ფერგიუსონი** შეგირდებს მოდუნების საშუალებას არ მისცემს. ფერგის დაცვაში პრობლემა აქვს. ვერ ითამაშებს **ნემანია ვიდიჩი**. მას სამი კვირა გაუცდება. სერბი მცველის ადგილს **მიკაელ სილვესტრი** დაიკავებს. ფრანგმა მცველმა მუხლის ტრავმა მოიშუშა. მას სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია. საეჭვოა პორტუგალიელი გარემარბის **ნანის** ასპარეზობა. მას ბარძაყის კუნთი აწუხებს. სტუმრებს ეგვიპტელი თავდამსხმელი **მიდო** დააკლდებათ. ფეხბურთელმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და ხანგრძლივი შევბულება აიღო.

შთამბეჭდავი სერია აქვს "ჩელსისაც". მას პრემიერლიგაში 15 მატჩია, არ წაუგია. სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალში "ფენერბაჰჩესთან" დამარცხდა. პირველ წრეში, "არისტოკრატებმა" "მანჩესტერ სიტის" ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს. ლონდონელები ამჯერადაც ფავორიტები არიან. **სვენ გორან ერიქსონის** შეგირდებმა ბოლო 11 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგეს. წარმატების შემთხვევაში, "სიტის" მოსისხლე თანაქალაქელის, "იუნაიტედის" წისქვილზე დაასხამს წყალს. "ჩელსის" კარს ისევ **კარლო კუდიჩინი** დაიცავს. **პეტრ ჩეხმა** კოჭის ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო. "სიტის" ორი წამყვანი მცველი - **მაიკლ ბოლი** და **მიკა რიჩარდსი** არ ეყოლება. ორივეს მუხლის ტრავმა აწუხებს.



რაფა ბენიტესი და არსენ ვენგერი სამშაბათის მატჩზე უფრო მეტს ფიქრობენ

"არსენალისა" და "ლივერპულის" დაპირისპირებაში მეტოქეებს განსხვავებული ამოცანები აქვთ. "მეთოფეები" ჩემპიონობის იმედს არ კარგავენ, "ლივერპული" კი მეოთხე ადგილზე დამკვიდრებას ცდილობს. ერთი კვირის წინათ მერსისაიდელებმა თანაქალაქელი "ევერტონი" დაამარცხეს და ხუთი ქულით გაუსწრეს.

"არსენალის" რიგებში საეჭვოა **ემანუელ ადებაიორისა** და **რობინ ვან პერსის** თამაში. ერთიცა და მეორეც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩისას დაშავდნენ. ვან პერსის ტრავმა უფრო სერიოზულია. მისი თამაშის ალბათობა 20 პროცენტია. უნდა ვივარაუდოთ, რომ **არსენ ვენგერი** რობინის ძირითადში დაყენებას არ გარისკავს.

"ლივერპულს" დისკვალიფიცირებული **ხავიერ მასკერანო** ვერ დაეხმარება. **რაფა ბენიტესი** "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალზე უფრო მეტს ფიქრობს. ამიტომ შემადგენლობის გადახალისებას აპირებს. **ფერნანდო ტორესსა** და **სტივ ჯერარდს** დასვენების საშუალება მიეცემათ. შესაძლოა, **დირკ კუიტმაც** არ ითამაშოს. ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **პიტერ კრაუჩსა** და **ანდრეი ვორონინს**. თადარიგში გამწესება ელით **სემი ჰიპიას, ჯეიმი კარაგერსა** და **რაიან ბაბელსაც**. თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ მათ, ვინც სტაბილურად არ ასპარეზობს — **სტივ ფინენს, ალვარო არბელოას, ჯონ არნე რიისეს, ჯერმეინ პენანტსა** და **ლუკას ლეივას**.

დაძაბული მდგომარეობაა ცხრილის ქვედა ნაწილში. "დერბი ქაუნთი" პრემიერლიგას უკვე გამოეთხოვა. დღეს ის "ევერტონს" ესტუმრება. მასპინძლებს წამყვანი თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი** ვერ დაეხმარება. ევერტონელებს ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა სურთ, მაგრამ "ლივერპულს" (როგორც ზემოთ ალვნიშნეთ) ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

გავარდნის კიდევ ერთი რეალური კანდიდატი "ფულჰემი" "სანდერლენდთან" სამკვდრო-სასიცოცხლო მატჩს გამართავს. ლონდონელებს უსაფრთხო ზონისაგან ექვსი ქულა ჰყოფთ. "ბოლტონი" "ასტონ ვილას" ესტუმრება, ხოლო "ვიგანი" მისი მთავარი მწვრთნელის, **სტივ ბრუსის** ყოფილ კლუბ "ბირმინგემ სიტის" ეთამაშება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 32 | 24 | 4 | 4 | 68-15 | 76 |
| 2. ჩელსი | 32 | 21 | 8 | 3 | 56-23 | 71 |
| 3. არსენალი | 32 | 20 | 10 | 2 | 62-26 | 70 |
| 4. ლივერპული | 32 | 17 | 11 | 4 | 56-24 | 62 |
| 5. ევერტონი | 32 | 17 | 6 | 9 | 48-27 | 57 |
| 6. პორტსმუთი | 32 | 15 | 8 | 9 | 46-33 | 53 |
| 7. ბლექბერნი | 32 | 13 | 11 | 8 | 42-38 | 50 |
| 8. ასტონ ვილა | 32 | 13 | 10 | 9 | 52-44 | 49 |
| 9. მანჩესტერ სიტი | 32 | 13 | 10 | 9 | 37-37 | 49 |
| 10. ვესტ ჰემი | 32 | 12 | 8 | 12 | 35-39 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 32 | 10 | 9 | 13 | 61-55 | 39 |
| 12. ნიუკასლი | 32 | 9 | 8 | 15 | 37-58 | 35 |
| 13. მიდლსბრო | 32 | 8 | 10 | 14 | 28-45 | 34 |
| 14. სანდერლენდი | 32 | 9 | 6 | 17 | 29-49 | 33 |
| 15. რედინგი | 32 | 9 | 5 | 18 | 37-58 | 32 |
| 16. ვიგანი | 32 | 8 | 7 | 17 | 28-47 | 31 |
| 17. ბირმინგემი | 32 | 7 | 9 | 16 | 38-49 | 30 |
| 18. ბოლტონი | 32 | 6 | 8 | 18 | 30-48 | 26 |
| 19. ფულჰემი | 32 | 4 | 12 | 16 | 29-53 | 24 |
| 20. დერბი | 32 | 1 | 8 | 23 | 16-67 | 11 |

იტალია. სერია A. XXXII ტურის წინ

# რანიერი იმედს არ კარგავს

## ხუთმატჩიანი პაუზის შემდეგ სამპდორიას კასანო უბრუნდება

**დღეს**

რომა-ჯენოა
მილანი-კალიარი

**ხვალ**

ატალანტა-ინტერი
კატანია-ნაპოლი
ფიორენტინა-რეჯინა
პარმა-ლაციო
სამპდორია-ლივორნო
სიენა-უდინეზე
ტორინო-ემპოლი
პალერმო-იუვენტუსი

"იუვენტუსი" ჩემპიონატის ლიდერ "ინტერს" 11 ქულით ჩამორჩება. ტურინელთა თავკაცი **კლაუდიო რანიერი** სკუდეტოს დაუფლების იმედს არ კარგავს. ჩემპიონატის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი. "ბებერი ქალბატონს" ერთი თამაში თადარიგში აქვს (გასულ უქმეებზე, პარმელი გულშემატკივრის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, "პარმისა" და "იუვენტუსის" თამაში გადაიდო). თუ რანიერი "ინტერის" გადასწრებას აპირებს, დარჩენილ მატჩებში და მათ შორის, "პალერმოსთან" ხვალინდელ შეხვედრაში, მაქსიმალურად მეტი ქულა უნდა დააგროვოს. რანიერის ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს "ინტერთან" ორი კვირის წინანდელი მატჩიც. შეგახსენებთ, "იუვემ" ჩემპიონი მისსავე მოედანზე 2:1 დაამარცხა. ტურინელთა თავკაცი ჯიუტად ამბობს - სანამ ჩემპიონობის მათემატიკური შანსი იარსებებს, ბრძოლას გავაგრძელებთო. პალერმოში სტუმრობისას "ქალბატონს" ნახევარმცველი **კრიატიანო ძანეტი** არ ეყოლება. მას ბარძაყის ტრავმა აქვს. კარს **ჯანლუიჯი ბუფონი** დაიცავს. იტალიის ნაკრების გოლკიპერმა მტკივანი ზურგი მოიშუშა.

ლიდერი "ინტერი" ბერგამოში მიემგზავრება. მილანელები მეორე ადგილზე მყოფ "რომას" ოთხი ქულით უსწრებენ. მათ ბევრი ქულა გაანიავეს. თებერვლის შუა რიცხვებში სხვაობა 11 ქულას შეადგენდა. გასულ თვენახევარში "ინტერმა" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნაც მოახერხა. კლუბი კრიზისში აღმოჩნდა. კრიზისს სპეკულაციების ტალღა მოჰყვა: **რობერტო მანჩინის** გუნდიდან დათხოვნა ემუქრებაო. გასულ უქმეებზე "ინტერმა" "ლაციოსთან" ვერაფერი გააწყო, 1:1. "ატალანტასთან" მატჩში მას არგენტინელი ნახევარმცველი **ესტებან კამბიასო** დაუბრუნდება. სამაგიეროდ, ვერ ითამაშებს დაშავებული ფორვარდი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. მას მუხლი აწუხებს. პალერმოში ვერ გაემგზავრნენ "ინტერის" გულშემატკივრებიც. მილანელ ტიფოზებს სიცილიელებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. უსაფრთხოების მიზნით, ფეხბურთის ფედერაციამ "ინტერის" ქომაგებს ბილეთების მიყიდვაზე უარი განუცხადა.



კლაუდიო რანიერის სკუდეტოს დაუფლების იმედი ჯერ არ დაუკარგავს

დღეს "რომა" "ჯენოას" უმასპინძლებს. "ჯალოროსის" "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხებისათვის ჯავრის ამოყრის საშუალება ეძლევა. **ფრანჩესკო ტოტი** ისევ ვერ ითამაშებს. კაპიტანმა ბარძაყის ტრავმის გამო "მენიუსთან" მატჩიც გამოტოვა. ლუჩანო სპალეტი იმედოვნებს, რომ ტოტი ინგლისში გამგზავრებამდე გამოჯანმრთელდება. გენუელებთან შეხვედრაში რომაელებს **დავიდ პისაროც** ვერ დაეხმარება. ის დასჯილია.

გასაჭირში მყოფი "მილანი" გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერ "კალიარის" უმასპინძლებს. წინა ტურში "როსონერიმ" შინ ატალანტასთან წააგო. ეს მისი მეოთხე საშინაო მარცხი გახლდათ. მილანელები მეექვსე ადგილამდე დაქვეითდნენ. მათ ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა ემუქრებათ. "მილანს" "ფიორენტინისაგან" ოთხი ქულა აშორებთ. ხელმძღვანელობა ირწმუნება, **კარლო ანჩელოტის** იმ შემთხვევაშიც არ გავათავისუფლებთ, თუ გუნდი უეფას თასზე მოხვდებაო.

მილანელთა ძირითად შემადგენლობაში **პაოლო მალდინის** გამოჩენას ელოდებიან. ვეტერანი **ალესანდრო ნესტას** ადგილზე ითამაშებს. ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებულია. ნესტა ბერგამოელებთან მატჩისას გააძევეს. გუშინ პაოლომ ინტერვიუ მისცა "გაძეტა დელო სპორტს", სადაც განაცხადა, რომ პენსიაში გასვლის საკითხი ჯერ არ გადაუწყვიტავს. ის სეზონის დასრულებას დაელოდება.

მეოთხე ადგილზე მყოფი "ფიორენტინა" აუტსაიდერ "რეჯინას" მიიღებს და შეეცდება, "ეინდჰოვენთან" უეფას თასზე ფრის შემდეგ გული გადააყოლოს. "სამპდორია", რომელიც ევროპული საგზურისათვის იბრძვის, "ლივორნოს" უმასპინძლებს. გენუელთა შემადგენლობაში **ანტონიო კასანოს** ვიხილავთ. თავდამსხმელმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, რომელიც არბიტრისათვის მაისურის სროლის გამო მიუსაჯეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 31 | 20 | 9 | 2 | 57-21 | 69 |
| 2. რომა | 31 | 19 | 8 | 4 | 55-30 | 65 |
| 3. იუვენტუსი | 30 | 16 | 10 | 4 | 51-25 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 8 | 8 | 45-32 | 53 |
| 5. უდინეზე | 31 | 14 | 8 | 9 | 42-39 | 50 |
| 6. მილანი | 31 | 13 | 10 | 8 | 45-27 | 49 |
| 7. სამპდორია | 31 | 14 | 7 | 10 | 44-37 | 49 |
| 8. ჯენოა | 31 | 11 | 9 | 11 | 38-43 | 42 |
| 9. ატალანტა | 31 | 10 | 11 | 10 | 46-44 | 41 |
| 10. ნაპოლი | 31 | 11 | 7 | 13 | 41-44 | 40 |
| 11. ლაციო | 31 | 9 | 11 | 11 | 37-39 | 38 |
| 12. სიენა | 31 | 8 | 12 | 11 | 33-38 | 36 |
| 13. პალერმო | 31 | 9 | 9 | 13 | 39-49 | 36 |
| 14. ტორინო | 31 | 6 | 16 | 9 | 32-38 | 34 |
| 15. პარმა | 30 | 6 | 11 | 13 | 35-47 | 29 |
| 16. კატანია | 31 | 6 | 11 | 14 | 25-38 | 29 |
| 17. ლივორნო | 31 | 6 | 11 | 14 | 29-45 | 29 |
| 18. კალიარი | 31 | 7 | 8 | 16 | 28-47 | 29 |
| 19. რეჯინა | 31 | 5 | 12 | 14 | 27-45 | 27 |
| 20. ემპოლი | 31 | 6 | 8 | 17 | 24-45 | 26 |

სკანდალი

# ინგლისში თამაში გაიყიდა

## საფეხბურთო ასოციაცია ადასტურებს, რომ გამოძიება დაიწყო...

გუშინ გაზეთმა "ინდეპენდენტმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: პრემიერლიგის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა თამაში 50 ათას გირვანქად გაყიდაო. პოპულარული გამოცემის მტკიცებით, ამ ფეხბურთელმა განზრახ გააძევებინა თავი. მან კიდევ სამი თანაგუნდელი დაიყოლია, რათა ყვითელი ბარათები განზრახ მიეღოთ. სანაცვლოდ კი, ერთ-ერთმა ტოტალიზატორმა 50 ათასი გირვანქის ვალი ჩამოაჭრა. "ინდეპენდენტს" თუ დავუჯერებთ, ეს ამბავი ბოლო ორი წლის განმავლობაში მოხდა. ცნობაში არც ეჭვმიტანილი ფეხბურთელის გვარია მითითებული, არც მისი კლუბის ვინაობა და არც მატჩი, რომელშიც წინასწარ დადგმული სცენარი გათამაშდა.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ გამოძიება დაიწყო. მოქრთამვა და კორუფცია ინგლისურ ფეხბურთში იშვიათი მოვლენაა. თუმცალა ისტორიას არაერთი ადგილობრივი მოთამაშე ახსოვს, რომლებიც მთელ თავისუფალ დროს ტოტალიზატორებში ატარებდნენ. ასეთი იყო მაგალითად "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **პოლ მერსონი**. ასეთია დღევანდელი "ვესტ ჰემის" ვარსკვლავი **მეტიუ ეთერინგტონიც**. არც ერთი და არც მეორე ფეხბურთელი რაიმე უკანონო საქმიანობაში შემჩნეულნი არ ყოფილან.

ინგლისში მოქრთამვის უკანასკნელი შემთხვევა 1960-იანი წლების დასაწყისში დაფიქსირდა. ამ საქმეში მონაწილეობის გამო 10 ფეხბურთელს სხვადასხვა ვადით პატიმრობა და სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა. მათ შორის იყვნენ "შეფილდ უენსდეის" მოთამაშეები - **პიტერ სვონი, ტონი კეი** და **დევიდ ლეინი**. საინტერესო დეტალი: შორეულ 1915 წელს, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" მატჩში მანჩესტერელებმა 2:0 გაიმარჯვეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ შედეგი ჩაწყობილი იყო. ორივე გუნდის ოთხ მოთამაშეს სამუდამო დისკვალიფიკაციები მიესაჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტურის წინ

# დროა, კარლსრუე გაცოცხლდეს!

## თუ ლევერკუზენი დორტმუნდში წააგებს, სკიბეს საქმე ცუდად იქნება...

| გუშინ | |
|---|---|
| დუისბურგი-კოტბუსი | 0:1 |
| **დღეს** | |
| შალკე-ჰანზა | |
| არმინია-კარლსრუე | |
| შტუტგარტი-ჰამბურგი | |
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | |
| ჰერტა-ვერდერი | |
| აინტრახტი-ნიურნბერგი | |
| **ხვალ** | |
| ბაიერნი-ბოხუმი | |
| ბორუსია (დ)-ლევერკუზენი | |


ლევერკუზენის მწვრთნელ მიხაელ სკიბეს პრობლემები აქვს

ამ ტურში, უმთავრესი ბატალიები ცხრილის ქვედა ნაწილშია. „ნიურნბერგმა“ წინა ტურში, „ბაიერნთან“ შეხვედრაში დაამტკიცა, რომ გადარჩენისთვის ბრძოლა შეუძლია (1:1). ფრანკებს ამჯერად ფრანკფურტში, „აინტრახტთან“ ექნებათ საქმე. ხოლო ბილეფელდის „არმინია“ კი „კარლსრუეს“ უმასპინძლებს. „აინტრახტმა“ ბოლო 4 თამაშში 10 ქულა მოიპოვა და უეფას თასის საგზურს უმიზნებს. „ნიურნბერგს“ დღეს **ვოლფი** და **ენგელჰარდტი** არ ეყოლება – ორივე მათგანი დისკვალიფიცირებულია.

„არმინიას“ შედარებით უკეთესი შანსი აქვს, რადგან საკუთარ მოედანზე თამაშობს. ბილეფელდელთა მეტოქე **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუეა“. აღსანიშნავია, რომ „არმინიას“ **მიხაელ ფრონტცეკის** ხელში ჯერ არცერთი თამაში არ მოუგია. ბილეფელდელებმა ბოლო სამი თამაში ფრედ დაამთავრეს და საინტერესოა, რომ სამივე შეხვედრაში იგებდნენ. “კარლსრუეს” ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, რაც ბადენური კლუბისთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ არის. ასე რომ, დროა, “კარლსრუემ” ისევ გაიმარჯვოს. **ედი ბეკერის** ამჯერად **ფრანცი** და **ბუკი** არ ეყოლება, რომლებიც ტრავმირებულები არიან. მათ ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **შტოლი** და **ადუბე** ითამაშებენ.

ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხის შემდეგ (0:1 “ბარსელონასთან”), რის შემდეგაც გელზენკირხენულ კლუბს ნახევარფინალში გასვლის ძალიან მცირე შანსი აქვს, “შალკე” ბუნდესლიგის ყოველდღიურობას უბრუნდება. **ლევან კობიაშვილის** გუნდი ისე, როგორც არასდროს, ვალდებულია, დღეს როსტოკის “ჰანზა” დაამარცხოს, რათა შეინარჩუნოს იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგაში გაისადაც ითამაშოს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მეკლენბურგელები გასვლით შეხვედრებში ნიურნბერგელებთან ერთად ყველაზე სუსტები არიან (1 მოგება, 2 ფრე, 9 წაგება), წესითა და რიგით, **მირკო სლომკას** სამწყსოს სამი ქულის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ “ჰანზამ” გელზენკირხენში ბოლო სამი სტუმრობიდან, 2 შემთხვევაში შინ 3 ქულა წაიღო, ერთხელ კი ფრეს მიაღწია.

“შტუტგარტმა” მეორე წრის დაწყებისთანავე გამოისწორა მდგომარეობა და შვაბებმა იმდენი მოახერხეს, რომ ახლა უკვე მეხუთე ადგილზე არიან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქმედ ჩემპიონს იმის შანსიც გაუჩნდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს - **არმინ ფეეს** გუნდმა ბოლო 7 შეხვედრიდან 5 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. დღეს, “შტუტგარტი” მეორე ადგილზე მყოფ “ჰამბურგს” მასპინძლობს და ეს მატჩი ტურის მთავარი დაპირისპირებაა. თუკი შვაბები ჰამბურგელების დამარცხებას მოახერხებენ, სამეულისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ. თუმცა ფაქტია, რომ ტრავმირებული **მარიო გომესის** გარეშე გამარჯვება გაუჭირდებათ. HSV-ს **ივიცა ოლიჩი** და **დავიდ იაროლიმი** აკლია. პირველი დაშავებულია, მეორე კი ტრავმირებული.

“შტუტგარტს” ცხრილში ერთი საფეხურის შემდეგ “ვოლფსბურგი” მოსდევს. “მგლებს” დღეს ქვემოსაქსონიური დერბი აქვთ “ჰანოვერთან”. იმ დროს, როცა **ფელიქს მაგათის** გუნდი მეორე წრეში საუკეთესოა (20 ქულა) და უეფას თასის საგზურს უმიზნებს, “წითლებმა” სეზონის მეორე ნახევარში მხოლოდ 8 ქულას მოუყარეს თავი. “ჰანოვერის” თავკაც **დიტერ ჰეკინგს** შარშან ამ პოსტზე დებიუტი სწორედ “ვოლფსბურგთან” ჰქონდა და მაშინ “წითლებმა” 2:1 მოიგეს. იქნებ წრე შეიკრას...

დედაქალაქში “ვერდერი” ჩადის. ბრემენული კლუბი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. “მუსიკოსებს” სასწრაფოდ გამარჯვება სჭირდებათ - **თომას შააფის** გუნდმა ბოლო 6 თამაშში მხოლოდ 4 ქულას (!) მოუყარა თავი და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვინლა ჩივის, უეფას თასზე მოხვედრაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. იქნებ, “ჰერტასთან” მატჩის “ვერდერისთვის” მისწრებაც კი იყოს, რადგან ბრემენელებმა ბერლინში ჩატარებული ბოლო 5 თამაშიდან 4 მოიგეს და 1 ფრედ დაასრულეს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ “ჰერტას” შეფებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ “ვერდერის” ფორვარდ **ივან კლასნიჩის** გადაბირება სურთ, რომელსაც სეზონის ბოლოს “მუსიკოსებთან” კონტრაქტი უმთავრდება. თუკი ხორვატი დღეს კარგად ითამაშებს (თუ შააფმა ათამაშა), “ჰერტას” ინტერესს გაუორმაგებს, “ვერდერს” კი მასთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილს.

ხვალ, “ბაიერნი” “ბოხუმს” მასპინძლობს და რეკორდმაისტერს ხასიათი წამხდარი აქვს, რადგან **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა უეფას თასის მეოხედფინალში (ხუთშაბათს) საკუთარ “ალიანს არენაზე” “ხეტაფესთან” ოდენ მიაღწიეს. ბოხუმელებს **ჟდებელი** (დისკვალიფიკაცია) და **დაბროვსკი** (ტრავმა) არ ეყოლებათ. ერთი შეხედვით, “ბაიერნმა” 3 ქულა უპრობლემოდ უნდა მოიპოვოს. ხვალვე, უეფას თასზე შერცხვენილი (1:4 ზენიტთან) “ლევერკუზენი” დორტმუნდის “ბორუსიას” სტუმრობს. **მიხაელ სკიბეს** გუნდს ბუნდესლიგაში ბოლო ორი თამაში წაგებული აქვთ და რაკი უეფას თასიდანაც ფაქტობრივად, გავარდნილები არიან, თუ “ბაიერი” დორტმუნდშიც დამარცხდა, სკიბეს სკამი გვარიანად მოირყევა.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 26 | 15 | 9 | 2 | 44-15 | 54 |
| 2. ჰამბურგი | 26 | 12 | 11 | 3 | 37-19 | 47 |
| 3. შალკე | 26 | 12 | 9 | 5 | 40-26 | 45 |
| 4. ლევერკუზენი | 26 | 13 | 5 | 8 | 46-28 | 44 |
| 5. ვერდერი | 26 | 13 | 5 | 8 | 53-38 | 44 |
| 6. შტუტგარტი | 26 | 13 | 3 | 10 | 44-40 | 42 |
| 7. აინტრახტი | 26 | 11 | 9 | 6 | 32-31 | 42 |
| 8. ვოლფსბურგი | 26 | 11 | 7 | 8 | 42-36 | 40 |
| 9. კარლსრუე | 26 | 10 | 8 | 8 | 30-33 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 26 | 9 | 8 | 9 | 36-42 | 35 |
| 11. ბოხუმი | 26 | 8 | 9 | 9 | 40-41 | 33 |
| 12. ჰერტა | 26 | 9 | 5 | 12 | 28-33 | 32 |
| 13. კოტბუსი | 27 | 6 | 8 | 13 | 29-43 | 26 |
| 14. ბორუსია (დ) | 26 | 8 | 7 | 11 | 39-44 | 31 |
| 15. ჰანზა | 26 | 6 | 6 | 14 | 22-37 | 24 |
| 16. დუისბურგი | 27 | 6 | 4 | 17 | 27-42 | 22 |
| 17. არმინია | 26 | 5 | 7 | 14 | 25-51 | 22 |
| 18. ნიურნბერგი | 26 | 4 | 8 | 14 | 27-42 | 20 |

უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# სირცხვილი გერმანიას!

## რუსეთის ჩემპიონმა ლევერკუზენი გაანადგურა, ესპანეთის მე-12 გუნდმა ბაიერნთან ფრე გაახერხა, იტალიელებსაც ცუდად აქვს საქმე...

უეფას თასის მეოთხედფინალში ერთზე მეტი გუნდი მხოლოდ გერმანიას ჰყავს – “ბაიერნი” და “ლევერკუზენი”. პირველი თამაშების შემდეგ დიდი შანსია, რომ ნახევარფინალში ვერცერთი მათგანი ვერ გავიდეს. უფრო სწორად, “ლევერკუზენი” ფაქტობრივად, გამოვარდნილია, რადგან მიხაელ სკიბეს შეგირდებმა საკუთარ მოედანზე “ზენიტთან” 1:4 (!) წააგეს, “ბაიერნს” კი კიდევ აქვს შანსი (1:1 შინ, “ხეტაფესთან”). რეკორდმაისტერის დარად, გამარჯვების შანსი ხელიდან გაუშვა “ფიორენტინამაც” (1:1 ეინდჰოვენთან), ასევე ფრე დაფიქსირდა “რეინჯერსისა” და “სპორტინგის” მატჩშიც (0:0). ასე რომ, ამ ეტაპზე მასპინძლები ხახამშრალნი დარჩნენ.

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ზენიტი | 1:4 |
| რეინჯერსი-სპორტინგი | 0:0 |
| ბაიერნი-ხეტაფე | 1:1 |
| ფიორენტინა-ეინდჰოვენი | 1:1 |



დენისოვს გააქვს მეოთხე გოლი რენე ადლერის კარში

ლევერკუზენის “ბაი არენაზე” სენსაცია მოხდა - „ბაიერმა“ დრამატული მარცხი განიცადა და შეუძლია, ნახევარფინალზე აღარც კი იოცნებოს. ბუნდესლიგაში განცდილი ორი მარცხის შემდეგ, “ფარმაცევტები” უეფას თასზეც შერცხვნენ: 1:4 “ზენიტთან” - ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სირცხვილი. საპასუხო მატჩს კი (10 აპრილს) არანაირი დატვირთვა აღარ აქვს, გარდა იმისა, რომ ლევერკუზენელები სანკტ პეტერბურგს დაათვალიერებენ. რუსეთის მოქმედი ჩემპიონი ნახევარფინალში დამსახურებულად გადის და მომდევნო ეტაპზე ან “ბაიერნს” გადაეყრება, ანაც “ხეტაფეს”.

რუსებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს, ვიდრე გერმანელებმა და ეს საფეხბურთო გერმანიისთვის უდიდესი შოკია. რა დაემართა “ლევერკუზენს”? ფაქტი ის გახლავთ, რომ “ბაიერის” დაცვამ ისევ საშინლად ითამაშა – განსაკუთრებით, **მანუელ ფრიდრიხი** მიჰქარავდა. შეტევას კი აშკარად ეტყობოდა, რომ **ბერნდ შნაიდერი** საშინელ ფორმაშია (სკიბემ ის ერთი საათის შემდეგ შეცვალა). შეცდა მეკარე **რენე ადლერიც**, რომელიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში სტაბილურად უმაღლეს დონეზე თამაშობდა. 61-ე წუთზე მას **ანიუკოვის** დარტყმის მოგერიება მართებდა, მაგრამ შეცდომა დაუშვა. მიუხედავად ამისა, „ლევერკუზენის“ განადგურება ადლერის ბრალი ყველაზე ნაკლებადაა. პირველი გოლის დროს, რომელიც **არშავინმა** გაიტანა (20), **გრეშკო** და **ჰაგი** გამოიყურებოდნენ ძალიან ცუდად. **შტეფან კისლინგის** გოლის შემდეგ, რითაც წონასწორობა აღდგა, უკვე ფრიდრიხმა მიჰქარა, რომელმაც არშავინს თავი მოატყუებინა. ამ უკანასკნელმა კი **პოგრებნიაკი** მონახა და “ზენიტი” ისევ წინ გაიყვანა.

*“ასეთი წაგება ძალიან საშიშია. სასონარკვეთილი ვარ,”* – ასეთი გახლდათ “ფარმაცევტების” სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** კომენტარი.

მორჩა, “ბაიერნის” წარმატებული სვლა დროებით შეწყვეტილია. ტურნირის უმთავრესი ფავორიტი “ხეტაფესთან” მხოლოდ 1:1-ს დასჯერდა. მიუნხენელები **ლუკა ტონის** გოლით იგებდნენ და კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ, რათა დიდი ანგარიშით მოეგოთ, მაგრამ ვერ ივარგეს და მეტიც, ბოლო წუთზე გოლიც გაუშვეს! საპასუხო მატჩი ერთ კვირაში უნდა გაიმართოს და რეკორდმაისტერს ყურადღებით ყოფნა მართებს... წინააღმდეგ შემთხვევაში, “ხეტაფესთან” გავარდნა “ბაიერნს” დიდ სირცხვილში ჩაეთვალა.

მატჩს ბავარიელთა მომავალი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანიც** ესწრებოდა. ფაქტია, რომ მუშაობის დაწყებამდე 88 დღით ადრე, კლინსის თავისმა მომავალმა შეგირდებმა თავი ვერ მოაწონეს – პირიქით. პირველ ტაიმში მიუნხენელებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ. **შვაინშტაიგერსა** და **პოდოლსკისაც** რამდენიმე კარგი სცენა ჰქონდათ, მაგრამ შეტევების დაგვირგვინებას ვერ ახერხებდნენ.

26-ე წუთი: შვაინიმ კუთხური შესანიშნავად ჩააწოდა, ტონი ტრადიციულად ყველაზე მაღლა ახტა და ათი მეტრიდან, ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. “ბაიერნის” რიგებში ეს ტონის რიგით 35-ე გოლი იყო ოფიციალურ შეხვედრებში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მე-13 შემთხვევაა (ითვლება სანაკრებო გოლებიც), როცა ლუკამ ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში კი ბავარიელებმა თითქოს დაიძინეს. ტონიმ (70) და **რიბერიმ** (72) კარგი მომენტები ვერ გამოიყენეს, ხოლო კაპიტანმა **ოლი კანმა** კი მე-80 წუთზე შეცდომა დაუშვა, მაგრამ ესპანელებმა ამით ვერ ისარგებლეს.

...და შოკი ბოლო წუთზე: ბავარიელებმა საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ვერ გამოიტანეს, ამით შეცვლაზე შესულმა რუმინელმა **კოზმინ კონტრამ** ისარგებლა და ბურთი ხარიხის ქვეშ ჩააჭედა.

*“ჰიტცფელდმა შეცდომა დაუშვა, როცა მეორე ტაიმში ბიჭებს კონტრშეტევაზე თამაში დაავალა და დამშვიდებისკენ მოუწოდა. ვფიქრობ, გუნდს ანგარიშის გაზრდაზე უფრო სერიოზულად უნდა ეზრუნა,”* – განაცხადა ნამატჩევს **შტეფან ეფენბერგმა**. ახლა კი, “ხეტაფეს” საპასუხო მატჩში 0:0-იც ჰყოფნის. არადა, **ლაუდრუპის** გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა და წესით, “ბაიერნს” “ხეტაფეს” გაგდება არ უნდა გასჭირვებოდა.

*“1:1 ძალიან ცუდი შედეგია, მაგრამ ამაში მხოლოდ ჩვენ ვართ დამნაშავე, რადგან გოლები ვერ გავიტანეთ. კიდევ მინიმუმ 2 გოლი მაინც უნდა გაგვეტანა და ასეთ შემთხვევაში, მშვიდად ვიქნებოდით. მოკლედ, მივქარეთ და დავისაჯეთ კიდეც,”* – ეს კი ჰიტცფელდის სიტყვებია.

ნახევარფინალში გასვლა გაუჭირდება ფლორენციის “ფიორენტინასაც” – არადა, ეს გუნდი უეფას თასზე იტალიის უკანასკნელი წარმომადგენელია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონთა ლიგიდან “რომა” ვარდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ევროსეზონი იტალიელებისთვის წარუმატებელია. ფლორენციელები “ეინდჰოვენს” მასპინძლობდნენ და დროულად გამოჯანმრთელებული **ადრიან მუტუს** გოლით უგებდნენ კიდეც. რუმინელმა ჰოლანდიელთა მეკარის, **გომეშის** შეცდომით ისარგებლა და იტალიელები დააწინაურა. მაგრამ მეორე ტაიმში **კუვერმანსმა** წონასწორობა აღადგინა. ფლორენციელებს ჰოლანდიაში მოგება გაუჭირდებათ...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXI ტურის წინ

# რონალდინიომ სეზონი დაასრულა

## რობერ პირესს საჩემპიონო შანსები აშინებს

**დღეს**

ოსასუნა-რეკრეატივო
მალიორკა-რეალი

**ხვალ**

ატლეტიკო-ალმერია
ლევანტე-ვალიადოლიდი
სარაგოსა-ბეტისი
ბილბაო-ესპანიოლი
რასინგი-დეპორტივო
მურსია-ვალენსია
სევილია-ვილიარეალი
ბარსელონა-ხეტაფე

**რონალდინიო** თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე უილბლო და ხელმოცარულ მოთამაშედ იქცა. საბრალო ბრაზილიელი თითქმის მთელი სეზონია ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვერ ახერხებდა. გაუჩოს პრობლემების შესახებ ყოველთვის ოპერატიულად მოგახსენებდით. გულშემატკივრებმა შესანიშნავად იციან, რომ სამხრეთამერიკელს უამრავი პრობლემა აქვს. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ რონალდინიო მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ბარსელონას" დატოვებს. მის ფანებს იმედი ჰქონდათ, რომ გაუჩო სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებს უმაღლეს დონეზე ჩაატარებდა და ფორმას მეტ-ნაკლებად მაინც აღიდგენდა... მაგრამ გუშინ რონალდინიომ ვარჯიშზე მუხლის ტრავმა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ბიჭისთვის მიმდინარე სეზონი ნაადრევად დასრულდა. კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბის მესვეურები აცხადებენ, რომ მის გამოჯანმრთელებას მინიმუმ ორი თვე დასჭირდება. პრიმერა დივიზიონის დასრულებამდე კი სულ რაღაც რვა ტურია დარჩენილი. გამორიცხული არ არის, გაუჩომ "ბარსას" შემადგენლობაში ველარასოდეს ითამაშოს. ვიმეორებთ, ექსპერტთა უდიდესი უმრავლესობა ბრაზილიელის სხვა გუნდში გადაბარგებას წინასწარმეტყველებს.

**ფრანკ რაიკაარდს** იმედი ჰქონდა, რომ "ხეტაფესთან" მატჩში **დეკუ** დაუბრუნდებოდა, თუმცა გუშინ საღამოს პორტუგალიელ ნახევარმცველს მორიგი სამედიცინო ტესტი ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ არის მოშუშებული. ამიტომ, რაიკაარდს ურჩიეს შეგირდის ჯანმრთელობით არ გარისკოს და დასვენების საშუალება მისცეს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ექიმების მითითებას, ალბათ, დაემორჩილება. რაიკაარდს **ლეო მესის** მწარე მაგალითი ძალიან კარგად ახსოვს. "სელტიკთან" მატჩში ტრავმამოუშუშებელ არგენტინელს ბარძაყის კუნთი გაუწყდა და თვენახევრით ლაზარეთში ამოყო თავი. რა თქმა უნდა, ბატენო ფრანკს არ სურს რომ ეს ბედი ახლა დეკუმაც გაიზიაროს. კატალონიური გრანდის პრესსამსახურის ინფორმაციით, ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აქვს, რის გამოც მათ პარასკევის ვარჯიშის სრულფასოვნად ჩატარება ვერ მოახერხეს. საუბარი **იაია ტურეს, სილვინიოს, ინიესტასა** და **პუიოლს** შეეხებათ. შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ "ბარსას" მესვეურთა მტკიცებით, მომდენო ტურის შეხვედრის გამოტოვება არც ერთ მათგანს არ ემუქრება. ექიმები დარწმუნებულები არიან, რომ ხვალამდე ყველაფერი კარგად იქნება და რაიკაარდს საკადრო დამატებითი პრობლემები არ შეექმნება.

31-ე ტურის შეხვედრისთვის "ვილიარეალი" არნახული შემართებით ემზადება. მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე **მანუელ პელეგრინის** ბიჭებმა "ბარსელონის" წაფორხილებით ისარგებლეს და კატალონიურ გიგანტს მეორე ადგილი წაართვეს. გუნდის გულშემატკივრებს ახლა მეორე პოზიციაც აღარ აკმაყოფილებთ და ფეხბურთელებისგან საჩემპიონო ტიტულის მოპოვებას ითხოვენ. თავისთავად, აბსოლუტურად ბუნებრივი მოთხოვნაა, მაგრამ "ვილიარეალის" ერთ-ერთი ლიდერი **რობერ პირესი** ასეთ მაქსიმალიზმს ძალიან სახიფათო ტენდენციად მიიჩნევს და გულშემატკივრებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს. ფრანგი გარემარბის აზრით, საზოგადოებამ ფეხბურთელებისგან მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვოს, რადგან პრიმერა დივიზიონში გამარჯვების კატეგორიული ტონით მოთხოვნა, ბიჭებს ფსიქოლოგიურ წნეხში ჩააგდებს. სიმართლე ითქვას, სეზონის დასრულებამდე რვა ტურით ადრე ასეთი სიფრთხილე, ძალიან უცნაურია. "ვილიარეალი" მეორე ადგილზე იმყოფება და ყველა პირობა გააჩნია იმისთვის, რომ მიზნად ამბიციური ამოცანები დაისახოს.

**ბერნდ შუსტერს** "მალიორკასთან" მატჩის მოსამზადებლად საუკეთესო შემადგენლობასთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცა. არა, **ვან ნისტელროი** არ გამოჯანმრთელებულა, უბრალოდ იმას მოგახსენებდით, რომ გერმანელ სპეციალისტს ახალი დანაკლისი არ აქვს. პირიქით, **პეპემ** და **გუტიმ** მიკროტრავმები მოიშუშეს და სრული დატვირთვით ივარჯიშეს. შუსტერმა ტაქტიკური მოსაზრებების გამო **მიჩელ სალგადო, როისტონ დრენტე** და **რობერტო სოლდადო** განაცხადში არ შეიყვანა. ბალეარის კუნძულებზე მან შემდეგი შემადგენლობა წაიყვანა: **კასილიასი, კოდინა, რამოსი, პეპე, კანავარო, ჰაინცე, ტორესი, მარსელო, გაგო, დიარა, გუტი, ბაპტიშტა, სნეიდერი, რობენი, რობინიო, იგუაინი, სავიოლა, რაული.**

ილია **ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 21 | 2 | 7 | 64-29 | 65 |
| 2. ვილიარეალი | 30 | 18 | 5 | 7 | 52-37 | 59 |
| 3. ბარსელონა | 30 | 17 | 7 | 6 | 60-29 | 58 |
| 4. ატლეტიკო | 30 | 15 | 5 | 10 | 50-36 | 50 |
| 5. რასინგი | 30 | 14 | 8 | 8 | 34-27 | 50 |
| 6. სევილია | 30 | 14 | 3 | 13 | 58-42 | 45 |
| 7. ესპანიოლი | 30 | 13 | 6 | 11 | 40-42 | 45 |
| 8. ალმერია | 30 | 11 | 9 | 10 | 28-29 | 42 |
| 9. მალიორკა | 30 | 9 | 13 | 8 | 49-42 | 40 |
| 10. ბილბაო | 30 | 10 | 10 | 10 | 30-29 | 40 |
| 11. ხეტაფე | 30 | 11 | 6 | 13 | 37-39 | 39 |
| 12. ვალენსია | 30 | 11 | 6 | 13 | 34-46 | 39 |
| 13. ბეტისი | 30 | 10 | 8 | 12 | 36-43 | 38 |
| 14. ოსასუნა | 30 | 10 | 7 | 13 | 32-33 | 37 |
| 15. დეპორტივო | 30 | 10 | 7 | 13 | 36-42 | 37 |
| 16. ვალიადოლიდი | 30 | 9 | 8 | 13 | 35-50 | 35 |
| 17. სარაგოსა | 30 | 8 | 9 | 13 | 41-51 | 33 |
| 18. რეკრეატივო | 30 | 8 | 9 | 13 | 32-49 | 33 |
| 19. მურსია | 30 | 6 | 8 | 16 | 27-48 | 26 |
| 20. ლევანტე | 30 | 5 | 4 | 21 | 25-57 | 19 |



მეკარე

# გუშინ გმირი, დღეს ანტიგმირი

## რატომაა მანუელ ნოიერი ასეთი არასტაბილური?

"ბარსელონასთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩამდე, ჩვენი გერმანელი კოლეგები "შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერს** აქებდნენ და ადიდებდნენ. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა მეკარემ მერვედფინალში, "პორტუსთან" საპასუხო შეხვედრაში იდეალურად ითამაშა და არაერთი აუღებელი დარტყმა მოიგერია. "ბარსელონასთან" შეხვედრამდე 22 წლის გოლკიპერი გმირი გახლდათ. სამშაბათის მატჩის შემდეგ კი, რომელიც გელზენკირხენულმა კლუბმა 0:1 წააგო, ნოიერი ანტიგმირია.

მომენტი, რომელმაც "ფელტინს არენა აუფ შალკეს" პუბლიკა შოკში ჩააგდო, მე-12 წუთზე დაფიქსირდა: **ტიერი ანრის** დარტყმის შემდეგ, ნოიერმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და ისევ ანრის დაუგდო, რომელმაც კარგ პოზიციაში მყოფი **ბოიან კრკიჩი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი გოლი გაიტანა, რომელმაც კატალონიურ კლუბს ნახევარფინალში გასვლა, ფაქტობრივად, გაუნაღდა - "ბარსა" ცალი ფეხით მომდევნო ეტაპზეა. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ "შალკე" ჩემპიონთა ლიგიდან ვარდება, რადგან თითქმის წარმოუდგენელია, რომ **მირკო სლომკას** გუნდმა "კამპ ნოუზე" მოიგოს. "შალკეს" ფანებისთვის კი ორმაგად მტკივნეულია ის ფაქტი, რომ გელზენკირხენული კლუბი ნოიერის შეცდომის გამო დამარცხდა - მეკარისა, რომელიც ბოლო დროს "შალკეს" გმირი გახლდათ. რაც არ უნდა იყოს, **ლევან კობიაშვილის** გუნდი ევროპის 8 საუკეთესო კლუბს შორის პირველ რიგში მანუელმა მოახვედრა.



მანუელ ნოიერმა ბარსელონასთან მატჩის დროს კატასტროფული შეცდომა დაუშვა

ამ ყველაფერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს ერთი მეტად საინტერესო კითხვის დასმისკენ უბიძგა: ნუთუ ნოიერმა "შალკეს" ყოფილი გოლკიპერის, **ოლივერ რეკის** არასტაბილურობა მემკვიდრეობით მიიღო? ეს ნამდვილად საფუძვლიანი შეკითხვაა, რადგან 43 წლის რეკსა და ნოიერს შორის პარალელების გავლების შემთხვევაში არაერთ მსგავსებას აღმოაჩენთ. თანაც, რეკი დღეს ნოიერის მასწავლებელია - ოლი "შალკეს" მეკარეების მწვრთნელი გახლავთ. რეკიც ძალიან არასტაბილურო გახლდათ, თუმცაღა აქტიურ სპორტულ კარიერაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი რეკორდი დაამყარა - 1987-88 წლების სეზონში, როცა ის "ვერდერის" ღირსებას იცავდა, რეკმა მხოლოდ 22 გოლი გაუშვა, რაც დღემდე საუკეთესო შედეგია. ამასთან, რეკი ორჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი, ოთხჯერ თასის თასის მფლობელი და თასების თასის მოგებაც მოასწრო.

მაგრამ ოლიც ძალიან არასტაბილური გახლდათ და ჯერჯერობით ნოიერიც მის კვალს მიჰყვება - შესაძლოა, ერთ თამაშში სასწაულები აკეთოს და მკვდარი ბურთები მოიგერიოს, მაგრამ მომდევნო მატჩში ისეთი შეცდომა დაუშვას, რომ გუნდს გადამწყვეტი მატჩი წააგებინოს. სწორედ არასტაბილურობის ბრალი იყო ის, რომ რეკმა გერმანიის ნაკრებში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა. ცხადია, ნოიერს უფრო დიდი ამბიციები აქვს და უნდა, რომ ერთხელაც ბუნდესმეკარე გახდეს, მაგრამ ამისათვის, პირველ რიგში, სწორედ სტაბილურობაა საჭირო.

*"ვეთანხმები იმ აზრს, რომ იმ მომენტში შეცდომას ძალიან დაბალი დონის მეკარეც კი არ დაუშვებდა. მაგრამ კარგ მეკარეებს ასეთი შეცდომები ხშირად მოსდით ხოლმე და იცით, შეუძლებელია ახსნა, რატომ ხდება ასე. ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი ხდება,"* - აცხადებს რეკი.

ჰო, მაგრამ თუ ახალგაზრდა მეკარეს არასტაბილურობა დასჩემდა, დიდი შანსია, რომ ეს იარლიყი ველარასოდეს მოიშოროს. თანაც, ნოიერს თითქმის ყველა შეხვედრაში ეტყობა ნერვიულობა. ამჯერად ყველაზე ცუდი ის არის, რომ "ბარსელონასთან" დაშვებული შეცდომა მას ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსს ფაქტობრივად უსპობს. გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მის წაყვანას ისედაც არ გეგმავდა, თუმცა ნოიერს მცირე იმედი მაინც ჰქონდა - რაც არ უნდა იყოს, გამორიცხული არ არის, რომ **იენს ლემანის, ტიმო ჰილდებრანდის** ან **რობერტ ენკეს** სამეულიდან რომელიმე მათგანმა ტრავმა მიიღოს. თუმცა ასეთ შემთხვევაში, ლიოვი არჩევანს ალბათ "ლევერკუზენის" კარის დარაჯ **რენე ადლერზე** გააკეთებს, რომელიც უფრო სტაბილურია.

მაგრამ რეკი მაინც ამბობს, მოდით, ნოიერი საპასუხო მატჩის შემდეგ შევაფასოთ, პირველი თამაშის შემდეგ დასკვნების გაკეთება ნაადრევიაო. *"არ გაგვიმართლა, უფრო სწორად, მე არ გამიმართლა და თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საპასუხო შეხვედრაში ეს შეცდომა გამოვასწორო. ვფიქრობ, ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. "შალკეს" სენსაციის მოხდენა შეუძლია,"* - ამბობს ნოიერი.

*"თუკი ნოიერი "კამპ ნოუზეც" ისე ითამაშებს, როგორც "პორტუსთან" გასვლით შეხვედრაში იასპარეზა, მაშინ "შალკეს" ნახევარფინალში გასვლის იდეალური შანსი ექნება,"* - ეს კი **ფრანც ბეკენბაუერის** სიტყვებია.

გოტფრიდ **ლენცი**

# აზერბაიჯანი ფოგთსს ჩააბარეს

**ბერტი ფოგთსი** აზერბაიჯანის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. გერმანიის, შოტლანდიისა და ნიგერიის ყოფილი დამრიგებელი ჩვენს მეზობლებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისათვის მოამზადებს. 61 წლის სპეციალისტმა კონტრაქტი 2009 წლის ბოლომდე გააფორმა. მისი შეგირდები მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ითამაშებენ. აზერბაიჯანის მეტოქეები იქნებიან ფოგთსის მშობლიური გერმანია, რუსეთი, ფინეთი, უელსი და ლიხტენშტაინი. პერ ბერტიმ აღნიშნა: *„ურთულეს ჯგუფში ვართ. შევეცდებით, გერმანიასთან მატჩებში ბევრი რამ ვისწავლოთ და რუსეთი დავამწუხროთ."* ფოგთსი მაკედონიელი **გოიკო ჰაჯიევსკის** ადგილს იკავებს. ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებისთანავე გაათავისუფლეს.

# მერსედეს ბენც არენა შტუტგარტში

შტუტგარტის „გოტლიბ დაიმლერ შტადიონს" „მერსედეს ბენც არენა" დაერქმევა. ადგილობრივმა საფეხბურთო კლუბმა სახელგანთქმული ავტოკონცერნთან 30-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. პროექტის პრეზენტაცია 30 ივლისს, „არსენალთან" ამხანაგური მატჩისას შედგება. კონტრაქტი ახალი სტადიონის აშენებასაც ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, დღევანდელი არენა 2009 წლის ზაფხულში უნდა დაინგრეს. ახალ სტადიონს სარბენი ბილიკები არ ექნება. ის მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ იქნება განკუთვნილი. გეგმა მოხაზულია, მაგრამ ის ჯერ არ დაუმტკიცებია შტუტგარტის მუნიციპალიტეტს. ამ საკითხზე ინტენსიური მოლაპარაკებები გრძელდება. „გოტლიბ-დაიმლერ შტადიონი" 2006 წლის მუნდიალის წინ განაახლეს. ახალი სტადიონი 2011 წელს უნდა გაიხსნას. მისი აშენება 93 მილიონი ევრო დაჯდება.

# ერთთვიანი დისკვალიფიკაცია იაროლიმს

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ "ჰამბურგის" ნახევარმცველ **დავიდ იაროლიმს** ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ბუნდესლიგის წინა ტურში, ჩეხი ნახევარმცველი ბილეფელდის "არმინიის" ფეხბურთელ **მარკუს შულერს** უხერხულ ადგილას სწვდა. "ჰამბურგის" შეფებს იმედი ჰქონდათ, რომ იაროლიმი მხოლოდ ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მიიღებდა, მაგრამ სპორტულმა სასამართლომ მას გაცილებით მძიმე სასჯელი - (ერთთვიანი იძულებითი პაუზა) გამოუტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იაროლიმი "შტუტგარტთან", "დუისბურგთან", "ჰერტასთან" და "შალკესთან" მატჩებს გამოტოვებს. დისკვალიფიკაციის გარდა მას 22 000 ევროს გადახდაც მოუწევს. აქედან, 10 000 გერმანიის საფეხბურთო კავშირის ანგარიშზე ჩაირიცხება, 12 000 კი კლუბისაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რობერტო ბაჯოსთან

# მესი რომ არა, ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნებოდა

## ბოკა ხუნიორსი რობის გატაცება და უკვდავი სიყვარულია

**იტალიური** ფეხბურთის ლეგენდა რობერტო ბაჯო რამდენიმე წელია პროფესიულ ფეხბურთს ჩამოშორდა და ბიზნესით არის დაკავებული. რობი იტალიაში დღემდე უზომოდ უყვართ. მას ახლაც ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ და უდიდეს პატივს სცემენ. გასაგები მიზეზების გამო, პენსიაში გასულ ვარსკვლავს ჟურნალისტები ხშირად აღარ აწუხებენ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც ხვდებიან და ინტერვიუს სთხოვენ. ამჯერადაც ასე მოხდა, ბაჯოს სახლში "ლა გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტები ეწვივნენ და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს.

**- რობი, პროფესიულ ფეხბურთს ჩამოშორდი. სამწუხაროდ, დრომ იტალიურ ფეხბურთს უდიდესი ვარსკვლავი წაართვა. საინტერესოა, ახლა როგორ ცხოვრობ, როგორია შენი ყოველდღიურობა?**

- კარიერის დასრულების შემდეგ თითქოს ახალი ცხოვრება დავიწყე. მთელ დროს ბიზნესსა და ოჯახს ვუთმობ. ჩემი ოჯახი ძალიან დაჩაგრული მყავდა. მათთან ყოფნისთვის დრო თითქმის არ მქონდა. ახლა ყველას ძალიან გვიხარია, რომ ურთიერთობისთვის ბევრი დრო გვრჩება. დილით ბავშვებს ვეთამაშები და ვცდილობ, ადრეინასაც არ მოვაკლო ყურადღება. ერთმანეთი 15 წლის ასაკში, სკოლაში გავიცანით და მას შემდეგ ერთად ვართ. სამწუხაროდ, ადრე ხშირად გვიწევდა ცალ-ცალკე ყოფნა, მაგრამ ცხოვრების დარჩენილ წლებს დიდ სიყვარულში გავატარებთ (იცინის).

**- არგენტინაში დაბრუნებას როდის აპირებ?**

- არგენტინით ჩემი გატაცების შესახებ ალბათ, ბევრმა იცის. ამ ქვეყანას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევ. ვცდილობ, ხშირად ჩავიდე ხოლმე. სანადირო სეზონზე მეგობრებს ჩემ სახლში ვეპატიჟები. მთავარია, დრო გამონახონ, თორემ ფულს არასოდეს ვახარჯინებ, თვითმფრინავის ბილეთებსაც მე ვყიდულობ და მანქანასაც ვქირაობ. მოკლედ, არგენტინაში შესანიშნავ დროს ვატარებთ.

**- ისიც ვიცით, რომ "ბოკა ხუნიორსის" დიდი ფანი ხარ.**

- ერთ ისტორიას მოგიყვები. 90-იან წლებში "ბოკა ხუნიორსის" შესახებ ცოტა რამ თუ მსმენოდა. ერთ დღეს სავარძელში მოვკალათდი, ტელევიზორი ჩავრთე და სპორტულ საკაბელო არხზე გადავრთე. "ბოკა ხუნიორსი" "რივერ პლეიტს" ეთამაშებოდა. "ლა ბომბონერაზე" ისეთი რამ ხდებოდა, გაოცებული დავრჩი. ჩემი აზრით, ასეთი გულშემატკივრები მსოფლიოს არც ერთ გუნდს არ ჰყავს. მთავარი სანახაობა, მე მგონი, არა მოედანზე, არამედ ტრიბუნებზე ხდებოდა. მართლაც ძალიან ლამაზი სანახავი გახლდათ. იმავე დღეს "ბოკა ხუნიორსზე" ამომწურავი ინფორმაციის მოძიება დავიწყე. წიგნი ვიყიდე და ისტორიას გავეცანი. მოკლედ, ეს გუნდი ასე შევიყვარე. ერთ მშვენიერ დღეს დიდი ოცნება ავისრულე და "ლა ბომბონერას" ტრიბუნაზე დავჯექი. მაშინდელ გრძნობებს სიტყვებით ვერ გადმოგცემ. ფეხბურთი ამხელა ვნებას თუ შეიცავდა, კიდევ არ ვიცოდი. "ბოკა ხუნიორსი" ჩემი დიდი გატაცება და უკვდავი სიყვარულია.

**- მარადონას ყოველთვის აღმერთებდი. ახლა თუ გაქვს მასთან ურთიერთობა.**

- დიეგო ფეხბურთის ღმერთია. შეუძლებელია, მისი თამაში ვინმეს ნანახი ჰქონდეს და არ დამეთანხმოს. სამწუხაროდ, ხშირი ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ, შიგა და შიგ, ტელეფონით ვსაუბრობთ ხოლმე. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ სრულიად შემთხვევით აეროპორტში შევხვდით ერთმანეთს. ჩემი შვილი გავაცანი. ძალიან მეჩქარებოდა, მაგრამ ყველა საქმე გადავდე და ერთ-ერთ ბარში საათზე მეტხანს ვისაუბრეთ.



რობერტო ბაჯო

**- რობი, როგორ ფიქრობ, კალჩო ძალიან მოსაწყენი გახდა?**

- იტალიის ჩემპიონატი ახლა უფრო გართულდა. 90-იან წლებში სერია A-ში თამაში ბევრად უფრო იოლი იყო. 80-იანებზე აღარაფერს ვამბობ. სიმარტივეში პრიმიტიულობას არ ვგულისხმობ. უბრალოდ, თანამედროვე იტალიური ფეხბურთი ძალიან სწრაფი, უხეში და პრაგმატული გახდა. თუმცა, მსოფლიო დონის ვარსკვლავებს პრობლემები მაინც არ ექმნებათ. ნიჭიერი ბიჭები არასოდეს დაიკარგებიან. სერია A-ს ვარსკვლავები ახლაც არ აკლია.

**- კარიერის დასრულების შემდეგ სხვა საქმეს მოკიდე ხელი. ფეხბურთში დაბრუნებას ხომ არ აპირებ?**

- ამ საკითხზე ძალიან ბევრს ვფიქრობ და იმ დასკვნამდე მივდივარ, ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო პატარა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა იქნება. მათ ფეხბურთის ანბანს ვასწავლიდი, საკუთარი შვილებივით მოვუვლიდი და გზაზე დავაყენებდი. ვნახოთ, ცხოვრება რას მოიტანს.

**- შენი კარიერა საკმაოდ კონტრასტული იყო. უამრავი დაუვიწყარი მატჩი ჩაგიტარებია, ხალხი გეთაყვანებოდა, მაგრამ რთული დღეებიც გამოგივლია. წლების განმავლობაში უამრავ მწვრთნელთან იმუშავე. ლიპი, ულივიერი, კაპელო, საკი... ყველაზე კარგად ვის უგებდი?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველა მწვრთნელისგან რაღაც ვისწავლე. ზოგთან უკეთესად ვთანამშრომლობდი, ზოგს კი ჩემი არ ესმოდა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ რობერტო ბაჯო ყოველთვის პირველი ვიოლინო იყო.

**- უფრო ამომწურავ პასუხს ველოდი. პირადად მე აზრი დღემდე არ შემიცვლია. მწვრთნელებმა თავიანთი კაპრიზების გამო შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნების შანსი არ მოგცეს. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ საკუთარ უფლებებს კარგად არ იცავდი.**

- (იცინის) იმით ვარ ბედნიერი, რომ ხალხს გულწრფელად ვუყვარდი. აპლოდისმენტები და სიყვარულით აღსავსე შეძახილები არასდროს მომკლებია. შეიძლება მართალიც იყო, ვინ იცის, იქნებ ჩემი მთავარი პრობლემა სიტყვაძუნწობა იყო. ვცდილობდი, პრობლემა არასოდეს შემექმნა და მწვრთნელებისთვის პატივი მეცა. არადა, ზოგჯერ მართლაც უსამართლოდ მეპყრობოდნენ. არა უშავს, ჩემი სათქმელი მაინც ვთქვი და მგონი, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაშიც შევედი. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა?!

**- 1994 წლის მუნდიალი მინდა გავიხსენო. ნორვეგიასთან მატჩში მსაჯმა პალიუკა გააგდო. საკიმ შოკისმომგვრელი გადაწყვეტილება მიიღო და შენ შეგცვალა. რა იგრძენი მაშინ?**

- როცა მსაჯმა წითელი ბარათი ამოიღო, ჩემ თავს ვუთხარი, არა უშავს, ამ სიტუაციიდან აუცილებლად გამოვძვრებით, თავს დავდებ და ისე ვითამაშებ, როგორც არასდროს-მეთქი. ერთ წამში კი დავინახე, რომ საკიმ ჩემი შეცვლა გადაწყვიტა. არ დაგიმალავ, გაოგნებული დავრჩი, მაგრამ ხომ იცი, არიგო რთულ ტაქტიკაზე შეყვარებული ადამიანი გახლავთ. მოედანი გაკვირვებულმა დავტოვე, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. ბიჭებს შევძახე, არ გატყდეთ, ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული-მეთქი. როგორც იცი, ის თამაში გადავარჩინეთ.

**- შენ რამდენიმე ფანტასტიკური თვისება გამოგარჩევდა. პასის უზადო კულტურა. გარდა ამისა, საჯარიმო მოედანში ძალიან სახიფათო იყავი...**

- სწორად აღნიშნე. როცა დავინახავდი, რომ თანაგუნდელი ხელსაყრელ პოზიციაზე იყო, პასს არ ვუგვიანებდი. ზოგჯერ ჩემი გადაცემა ამწვავებდა სიტუაციას. საჯარიმოში თამაშს რაც შეეხება, თუ ვხედავდი, რომ მცველის მოტყუების შემთხვევაში გოლის გატანის ალბათობა იზრდებოდა, ყოველთვის ცრუ მოძრაობაზე მივდიოდი. მაგრამ თუკი თანაგუნდელი დამიძახებდა, პასს ვაწვდიდი. ფეხბურთი გუნდური თამაშია. მთელი ჩემი კარიერა ამის დადასტურებაა.

**- თანამედროვე ფეხბურთში ყველაზე მეტად რომელი მოთამაშე მოგწონს?**

- ლეო მესი. ის გენიალური ბიჭია და დარწმუნებული ვარ, უდიდეს კარიერას გაიკეთებს. მესი რომ არა, ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნებოდა. როგორც კი ბურთს აიღებს, მაშინვე მიჩნდება გრძნობა, რომ რაღაც არაორდინარული მოხდება. ასევე რონალდინიოს გამოვყოფდი. მისი აწმყო ჩემ წარსულს მაგონებს. ბრაზილიელს ახლა პრობლემები აქვს და იმის ნაცვლად, რომ მხარში დაუდგნენ, მის განადგურებას ცდილობენ. ეჭვი არ მეპარება, რონალდინიო ყველაფერს გაუძლებს და ძველებურად ათამაშდება.

**- მესისა და რონალდინიოს გარდა არავინ მოგწონს?**

- როგორ არა, უბრალოდ, ჩემ ორ ფავორიტზე ვილაპარაკე. მათ გარდა კაკას, კრიასტიანო რონალდოს, იბრასა და ტოტის გამოვყოფდი. დღევანდელი ფეხბურთი სწორედ ამ ბიჭების წყალობით ცოცხლობს.

**- ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევ?**

- მარადონასა და ვან ბასტენს.

**- მოდი, გასული მუნდალი გავიხსენოთ.**

- ეს დაუვიწყარი დღესასწაული იყო. როგორც ყველა იტალიელმა, მეც უზომოდ გავიხარე. წარმომიდგენია, ფეხბურთელები რა დღეში იქნებოდნენ. მათ ადგილზე, ალბათ, სიხარულით გავგიჟდებოდი. ჩემპიონატის დაწყების წინ "ნაციონალეზე" არავინ ჩადიოდა ფსონს. მახსოვს, ექსპერტების უმრავლესობა ჯგუფში ჩარჩენას გვიწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ იტალია საფეხბურთო ერია.

**- ამ დიდი გამარჯვების შემოქმედი შენი მეგობარი მარჩელო ლიპი გახდა.**

- მარჩელოს მაშინვე დავურეკე. მობილური გამორთული ჰქონდა, მაგრამ თავი არ დავანებე და როგორც კი ჩართო, მაშინვე დაველაპარაკე. ორივე ვყვიროდით და ერთმანეთს ისტორიულ გამარჯვებას ვულოცავდით. ასეთი ემოციები ცხოვრებაში ერთხელ გეუფლება. მართალია, ამ გამარჯვებაში მე წვლილი არ შემიტანია, მაგრამ მსოფლიო თასის მოპოვება ისევე გამიხარდა, როგორც ფინალის მონაწილეებს.

**- დონადონის ნაკრებზე რას მეტყვი. მოგწონს ჩვენების თამაში?**

- რატომაც არა. რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხის გაზრდა არ გვაწყენდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გუნდი სწორად მუშაობს. პირლოზე ჭკუას ვკარგავ. მთელი გუნდი მასზეა დამოკიდებული. ანდრეა ყოველთვის მონოდების სიმაღლეზეა. შეიძლება, ცალკეული შეხვედრა ისე კარგად ვერ ჩაატაროს, როგორც მას შეეფერება, მაგრამ მთლიანობაში მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხოლმე.

**- დელ პიერო შენ მემკვიდრედ მიიჩნეოდა. ძალიან ბევრი მსგავსება გქონდათ. სიმაღლე, საფეხბურთო გემოვნება, საგოლე ალღო, ჯარიმების უზადოდ შესრულება. როგორ ფიქრობ, ალექსმა გაამართლა იტალიელების იმედი?**

- რა თქმა უნდა. ალე მსოფლიო ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. იტალიელებმა გერმანიის ნაკრების კარში მის მიერ გატანილი გოლი არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ. "იუვენტუსში" ძალიან ახალგაზრდა მოვიდა და უმოკლეს დროში გაითქვა სახელი.

**- "იუვენტუსში" მისი მოსვლის გამო, შენ გუნდის დატოვება მოგიხდა. გულწრფელად მითხარი, ნაწყენი ხომ არ იყავი?**

- არა. ალექსი იმდენად ნიჭიერი იყო, რომ სათადარიგოთა სკამზე მის დასმას ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გაბედავდა. სამწუხაროდ, ჩვენი ერთად თამაში არ მოხერხდა. ამიტომ "იუვენტუსი" დავტოვე. მიხარია, რომ დელ პიერო დღემდე ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

**- "იუვენტუსი" თუ "ფიორენტინა". შენთვის უფრო მნიშვნელოვანი რომელი გუნდია?**

- ჩემი გული ორად არის გაყოფილი (იცინის). რანიერი შესანიშნავად მუშაობს. ავადსახსენებელი სკანდალური ამბების შემდეგ ელიტაში დაბრუნება იოლი არ არის. მრავალი პრობლემის მიუხედავად, "იუვე" მშვენივრად გამოიყურება. დარწმუნებული ვარ, მაქსიმუმ ორ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. პრანდელის რაც შეეხება, მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ყველა დამეთანხმება, ფეხბურთი საკმაოდ კარგად იცის. მოკლედ, ორივე მწვრთნელს წარმატებას ვუსურვებ.

**- მოდი, ანიელიც გავიხსენოთ. მასთან ძალიან ბევრი რამ გაკავშირებს.**

- სინიორ ანიელი უდიდესი ადამიანი იყო. უამრავი საქმე ჰქონდა, მაგრამ ბაზაზე პირადად ჩემს სანახავად მოდიოდა ხოლმე. მეხუტებოდა და მამასავით მეპყრობოდა. ამ კაცმა "იუვენტუსისთვის" უამრავი რამ გააკეთა.

**- რონალდოს იტალიაში ისევ არ გაუმართლა. საინტერესოა, ერთმანეთი ხომ არ გინახავთ?**

- არა, შეხვედრის საშუალება არ მოგვეცა, მაგრამ ინტერვიუებში ხშირად მიწევს მასზე საუბარი. დარწმუნებული ვარ, იცის, რომ ძალიან ვგულშემატკივრობ. რონი არ უნდა გატყდეს. ცხოვრებამ სერიოზული გამოწვევა გამოუგზავნა. მან ბრძოლა უნდა განაგრძოს და დიდ ფეხბურთში დაბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. რონალდო უდიდესი პროფესიონალია და ყველაფერს ცივი გონებით გადახარშავს.

**- ევროპის ჩემპიონატზე "სკუადრა აძურას" შანსებს როგორ აფასებ?**

- "ნაციონალე" მსოფლიო ჩემპიონია და მისგან, რა თქმა უნდა, გამარჯვებას ველით, მაგრამ ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ ბიჭები ფსიქოლოგიურ წნეხში მოვაქციოთ. ფორტუნა თუ არ გაგვწირავს, დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატზეც სერიოზულ წარმატებას მივაღწევთ. მთავარია, ტრავმების გამო საკადრო პრობლემები არ შეგვექმნას. ჩვენს საუკეთესო შემადგენლობას ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაჭრა შეუძლია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ფედერერის მორიგი მარცხი

მოკლედ, **როჯერ ფედერერისთვის** ეს სეზონი დანავსულია. გლანდების ანთების გამო, სეზონისთვის რიგიანად მომზადება რომ ვერ შეძლო, ეს მის თამაშზე ახლაც აისახება და ახლაც, როცა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები კარგა ხნის მოგვარებული აქვს, მაინც ვერაფრით ახერხებს ჩვეულ ფორმაში შესვლას. იქნებ, ამჯერად ფსიქოლოგიური ბარიერი აქვს გადასალახი იმისთვის, რომ მიმდინარე სეზონში პირველი ტურნირი მოიგოს. ასეა თუ ისე, ვერც მაიამის მასტერსის ფინალში გასვლა შეძლო.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნახევარფინალში ამერიკელ **ენდი როდიკთან** დამარცხდა, იმ როდიკთან, ვისთანაც წინა 16 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წაეგო. თანაც, ეს ერთადერთი მარცხი ხუთი წლის წინ, მონრეალში ივნია.

*"ჩვენ უამრავჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის მე ვიგებდი, მან რამდენიმე შეხვედრის მოგების რეალური შანსი ვერ გამოიყენა. ახლა კი პირიქით მოხდა. ჩემის აზრით, თამაშის მოგება თავისუფლად შემეძლო, მაგრამ ამაში ხელი რაღაცამ შემიშალა. კონკრეტულად რამ, ამის თქმა ახლა გამიჭირდება. ფაქტი კი ერთია - ფინალში ის გავიდა"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც, ტურნირის მოგებას ვინ ჩივის, ამ სეზონში ფინალში ერთხელაც არ გასულა.

თამაში შვეიცარიელის უპირატესობით დაიწყო, თუმცა პირველ სეტში გამარჯვებული ტაიბრეიკზე გაირკვა, სადაც როდიკმა, თავისი ძლიერი მოწოდების ხარჯზე შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება. მეორე სეტი უფრო თანაბარი გამოდგა. ორივე იოლად ახერხებდა თავის სერვისზე ქულის აღებას. მეცხრე გეიმში კი ფედერერმა იმარჯვა და ბრეიკი მოიპოვა, რასაც თავისი სერვის-გეიმის მოგება მოაყოლა და სეტებში ანგარიშიც გათანაბრდა.

მესამე სეტში გადამწყვეტი მერვე გეიმი გამოდგა, რომელიც მეტოქის მოწოდებაზე ამერიკელმა მშრალად მოიგო. მეცხრე გეიმში კი, კვლავ თავისი ძლიერი მოწოდებით იხეირა და მართალია, პირველი ორი მატჩ პოინტის ქულად ქცევა ვერ შეძლო, მესამე შანსი კარგად გამოიყენა და გამარჯვებაც მას დარჩა.

*"მეორე და მესამე სეტებში როჯერი გაიხსნა. მე ვცდილობდი, ჩემს მომწოდებაზე სუფთად მეთამაშა და მისაზე ხელსაყრელ მომენტს დაველოდებოდი. როცა მის წინააღმდეგ მომლოდინე პოზიცია გიკავია, ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში ხარ, რადგან ის შანსებს ასე არ არიგებს. მაგრამ ამჯერად ჩემი მოლოდინი გამართლდა, რაც, რა თქმა უნდა, ჩემი დამსახურებაცაა და ვფიქრობ, ამაში გადამწყვეტი როლი ჩემმა წინასამატჩო განწყობამაც ითამაშა"*, - განაცხადა როდიკმა, ვისაც ნახევარფინალში რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** შეხვდება.



ფედერერი კორტს ამჯერადაც დალონებული ტოვებს

გუშინ, (ჩვენი დროით) გვიან ღამით, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** დაამარცხა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. დაძაბული გამოდგა შეხვედრის პირველი სეტი, რომელიც 73 წუთს გაგრძელდა და რომელშიც გამარჯვებული ტაიბრეიკზე გამოვლინდა. ნადალმა ექვსი სეტ პოინტი კი გაანიავა, მაგრამ მეშვიდეზე მიზანს მიაღწია.

სამაგიეროდ, მეორე სეტში უბადლოდ ითამაშა და გამარჯვებასაც იოლად მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ესპანელს მთელი სეტის განმავლობაში ერთი უნებლიე შეცდომაც არ მოსვლია, თავის მოწოდებაზე კი 17-დან მხოლოდ ერთი ქულა ვერ მოიგო. თანაც, მან ბურთის ბოლო 12 გათამაშება თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ქალთა ბადეში კი უკვე ორივე ფინალისტის ვინაობა ცნობილია. კი ბისკეინის ტურნირის მეხუთე ტიტულის მოსაპოვებლად, ამერიკელი **სერენა უილიამსი** სერბ **ელენა იანკოვიჩს** შეხვდება. ფინალის საგზურისთვის პაექრობაში სერენამ სამ სეტში აჯობა რუს **სვეტლანა კუზნეცოვას**, იანკოვიჩმა კი ორ სეტში ასევე რუსი, **ვერა ზვონარევა** დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ თუ სერენა მაიამის ტურნირს მეხუთედაც მოიგებს, ის ამით ლეგენდარული გერმანელის, **შტეფი გრაფის** მიღწევას გაიმეორებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 3 770 000 დოლარი**

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 6)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 7:6 (4), 4:6, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:2, 6:1.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

როდიკი (6)-დავიდენკო (4); რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 10) 7:6(6), 6:2

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 3 770 000 დოლარი**

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 3:6, 7:5, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ვერა ზვონარევა (რუს, 19) 6:1, 6:4.

კალათბურთი. ინტერვიუ კლაიდ დრექსლერთან

# ოდენი პორტლენდის მომავალია

**ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მსროლელი კლაიდ რექსლერი, დღეს აქტიურადაა ჩაბმული კოლეჯის კალათბურთის პოპულარიზაციაში. გარდა ამისა, ხშირად ჩნდება სხვადასხვა ტელეარხებზე ექსპერტის რანგში და ამ სფეროში საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია.**

**კლაიდმა მოკლედ შეაფასა მიმდინარე რეგულარული. თავისი ყოფილი გუნდის, "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" მომავალსა და ამ გუნდის რეკლამირებულ, მაგრამ დაშავებულ ახალბედა გრეგ ოდენზეც ისაუბრა.**

**- რეგულარული დასასრულს უახლოვდება და უკვე შეიძლება პლეი ოფში ფავორიტთა შანსებზე საუბარი.**

- აღფრთოვანებული ვარ იმ სამუშაოთი, რომელიც დოკ რივერსმა გასწია. ამ სპეციალისტმა ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტებისგან ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო "სელტიქსი" შექმნა, რომელიც ამ ეტაპზე ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია.

**- აღმოსავლეთში "ბოსტონის" გარდა, ვისი შანსებია უფრო მაღალი?**

- "ბოსტონი" ლიდერია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ "დეტროიტსაც", რომელიც ბოლო წლებში არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ მთლიანად ლიგაში ყველაზე სტაბილურად თამაშობს და ამას, შემადგენლობის რადიკალურად გადახალისების გარეშე ახერხებს. როგორ შეიძლება ლებრონის გარეშე ფავორიტებზე საუბარი? სადაც ჯეიმსია, იქ წარმატებაცაა, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ კაცს მთელი სერიის ბედის მარტო გადაწყვეტა შეუძლია. "კლივლენდს" შემადგენლობაც ძლიერი ჰყავს, ოღონდ შეთამაშება აკლია თუ მოთამაშეებმა საერთო ენა პლეი ოფამდე გამონახეს, მაშინ "ბოსტონსა" და "დეტროიტს" სერიოზული კონკურენტი ეყოლება.

**- "ლეიკერსი", "ნიუ ორლეანი", "სან ანტონიო", "ჰიუსტონი", "დალასი" - ვინ გავა სუპერფინალში დასავლეთიდან?**

- რთული სათქმელია, რადგან ამ ხუთ გუნდსა და აგრეთვე "დენვერს", "იუტასა" და "გოლდენ სტეიტს" ნებისმიერის დამარცხება შეუძლიათ. ასეთი ძლიერი დასავლეთი მაშინაც კი არ ყოფილა, როდესაც კონფერენციაში დევიდ რობინსონის "სპურსი", ჩარლზ ბარკლის "ფინიქსი", ჰაკიმ ოლაჯიუონის "ჰიუსტონი" და მეჯიქის "ლეიკერსი" იყვნენ. ნებისმიერ გუნდს ნებისმიერ წრეში სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია და დარწმუნებული ვარ, წლევანდელი პლეი ოფი ყველაზე ძნელად პროგნოზირებადი იქნება.

**- თქვენმა ყოფილმა გუნდმა, "პორტლენდმა" ისევ ჩააგდო სეზონი, მაგრამ გაისად, გრეგ ოდენის დაბრუნების შემდეგ, "ბლეიზერსი" შეიძლება ლიგის ერთ-ერთ გრანდად იქცეს...**

- ვერ გეტყვით, რამდენად წარმატებული იქნება როტაცია და რამდენად კარგად შეეწყობიან ოდენი პარტნიორები, მაგრამ ის, რომ გუნდის ხელმძღვანელებმა აქცენტი ოდენზე გააკეთეს, ნამდვილად მართებულია, რადგან ის "პორტლენდის" მომავალია და ახალი გუნდი, სწორედ ოდენის გარშემო უნდა აშენდეს.

**- ის "პორტლენდი", რომელიც ორჯერ გავიდა სუპერფინალში და ორივეჯერ დამარცხდა, გაცილებით ნიჭიერი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ჩემპიონი მაინც ვერ გახდა...**

- ჩემი დროის "პორტლენდი" მართლაც არაჩვეულებრივი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. ტერი პორტერი იმ წლების გამორჩეული გამთამაშებელი გახლდათ, ჯერომ კერსი სტაბილურად ასრულებდა თავის სამუშაოს, ხოლო კევინ დაკუორტი კი ყველაზე დაუფასებელი ცენტრი იყო. ორჯერ ფინალში გავედით, მაგრამ ჯერ "დეტროიტთან", მერე კი "ჩიკაგოსთან" დავმარცხდით. დღევანდელი და მაშინდელი გუნდების შედარება რთულია, მაგრამ იმ "ბლეიზერსს" არ ჰყოლია ბრენდონ როი, რომელიც ამ ეტაპზე ლიგის ათ საუკეთესოში ნამდვილად შედის. ჩვენი სუსტი წერტილი იყო დაცვა, დღევანდელ გუნდს კი ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. თანაც, მაშინდელი "პისტონზი" და "ბულზი", ყველა დროის საუკეთესო გუნდებში შედიოდნენ. მათ წინააღმდეგ იდეალურად უნდა გეთამაშა, საბოლოოდ წარმატება რომ მოგეპოვებინა. მოკლედ, შედარებისგან თავს შევიკავებ, თუმცა იმას კი ნამდვილად ვიტყვი, რომ ბრენდონ როისთან, გრეგ ოდენთან და ლამარკუს ოლდრიჯთან ერთად, დღევანდელი "პორტლენდი" ძალიან ბევრს მიაღწევს.

**ზურაბ თალაკვაძე**



კლაიდ დრექსლერი

# ჯოკოვიჩმა წერა დაიწყო

წლევანდელი სეზონის ლიდერმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მწერლობას მიჰყო ხელი. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა წიგნი დაწერა, რომელიც "დიდი სლემის" სერიის ტურნირზე თავის პირველ გამარჯვებას მიუძღვნა. როგორც ცნობილია, "ჯოკერმა" წელს, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ფრანგი **ჟოვილფრედ ცონგა** დაამარცხა - 4:6, 6:4, 6:3, 7:6.

წიგნის სახელწოდებაა - My First Grand Slam ("ჩემი პირველი დიდი სლემი") და ის ინგლისურ და სერბულ ენებზე გამოვიდა. მასში შესულია ჯოკოვიჩის ინტერვიუები, ექსკლუზიური ფოტოები და სხვადასხვა საინტერესო ინფორმაცია ჩოგბურთელის შესახებ. სერბის ნაშრომი 64-გვერდიანია. პრეზენტაცია დღეს, საფრანგეთში გაიმართება.

მანამდე კი, ჯოკოვიჩი კოსოვკა მიტროვიცაში ჩავიდა და კოსოვოელ სერბებს თავისი მხარდაჭერა დაუდასტურა. ვარსკვლავის შესახვედრად 10 ათასი სერბი შეიკრიბა.

*"ჩვენ კიდევ ერთხელ დავანახეთ ყველას, რომ ბევრნი ვართ და ბრძოლას ვაგრძელებთ. ყველა ჩემი გამარჯვება - თქვენი გამარჯვებაა. მინდა იცოდეთ, რომ ჯოკოვიჩების ოჯახი თქვენს გვერდით იქნება. ყველანი მიყვარხართ. ეს ადგილი ყოველთვის ჩემს გულში იქნება. შევეცდები აქ ხშირად დავბრუნდე და მეგობრებს დავეხმარო. მათ ეს ძალიან სჭირდებათ"*, - ასეთი სიტყვით მიმართა ნოვაკმა თანაგუნდელებს.

დიდი ხნის განმავლობაში, ამ ქალაქში ალბანელი და სერბი მოსახლეობის დაპირისპირება გრძელდება. აქ ხშირია მასობრივი შეტაკებები, რასაც მსხვერპლიც მოჰყვება ხოლმე.

**გია თვალაბეიშვილი**



ნოვაკ ჯოკოვიჩი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**კლივლენდი-ჩიკაგო 98:101**

26:26, 29:19, 30:32, 13:24

კ: ლ. ჯეიმსი (33), ილგაუსკასი (23+7 მოხსნა), უესტი (11+4 ჩაჭრა), შჩერბიაკი (10+8 მოხსნა).

ჩ: ჰიუზი (25+9 პასი+8 მოხსნა), გორდონი (24), დენგი (15), ნოჩიონი (15), ნოა (10+3 დაფარება).

**საკრამენტო-კლიპერსი 110:98**

20:25, 30:18, 34:27, 26:28

ს: კ. მარტინი (26), გარსია (17), მური (16), ჰოუზი (11), არტესტი (10).

კ: მაგეტი (28), ფაზეკასი (18), ბრენდი (15+9 მოხსნა), დიკაუ (11).

**პორტლენდი-ჰიუსტონი 86:95**

22:23, 21:29, 20:22, 23:21

პ: ოლდრიჯი (23), ჯეკი (19), ტ. აუთლო (14), ბლეიკი (12), ფრაი (12).

ჰ: მაკგრეიდი (35), ბრუქსი (12), ჰედი (11), მუტომბო (11+3 დაფარება), ბ. ჯექსონი (11).

## ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები

**ოლიმპიაკოსი-ცსკა 73:83**

27:15, 11:27, 18:28, 13:18

ო: ვუდსი (19+7 მოხსნა), პრინტეზისი (17+7 მოხსნა).

ც: შიშკაუსკასი (20), ლენგდონი (18), სმოდიში (17).

**სერია 1:1**

**პარტიზანი-ტაუ 76:55**

25:15, 11:16, 18:17, 22:7

პ: პეკოვიჩი (19), ველიჩკოვიჩი (18+12 მოხსნა), ტრიპკოვიჩი (14), ტეპიჩი (11).

ტ: რაკოჩევიჩი (15), ტელეტოვიჩი (9).

**სერია 1:1**

**ფენერბახჩე-მონტეპასკი 65:86**

15:25, 19:12, 11:25, 20:24

ფ: ასიქი (12), სოლომონი (11).

მ: ლავრინოვიჩი (18+6 მოხსნა), ტორნტონი (18), მაკინტაირი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), სატო (13+8 მოხსნა).

**სერია 0:2**

**ბარსელონა-მაკაბი 83:74**

23:22, 20:15, 21:21, 19:16

ბ: ბაზილე (34), გრიმაუ (11+5 პასი).

მ: კასპი (18+10 მოხსნა), მორისი (16+11 მოხსნა+3 დაფარება), ბინუმი (13+6 მოხსნა).

**სერია 1:1**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. დოპინგი

# პეტაკის არბიტრაჟი განსჯის

სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს იტალიელი ველომრბოლის, სპრინტის სპეციალისტ **ალესანდრო პეტაკის** დოპინგ-საქმეს და სამ-ოთხ კვირაში დაადგენს, მიუსაჯოს თუ არა ერთწლიანი დისკვალიფიკაცია, რასაც იტალიის ოლიმპიური კომიტეტი მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ შარშან, ჯიროს დროს ჩატარებულმა შემოწმებამ, პეტაკის სინჯში აკრძალულ პრეპარატ სალბუტამოლის მომეტებული შემცველობა დააფიქსირა. ამის შემდეგ, ველომრბოლმა იტალიის ველოსპორტის ფედერაციაში წარადგინა განმარტება, რომ აღნიშნულ პრეპარატს შეიცავს წამალი, რომელსაც ის ასთმის სამკურნალოდ იყენებს. ამაზე მას სპეციალური სერტიფიკატიც გააჩნია, რომელიც მკურნალი ექიმის მიერაა გაცემული.


ალესანდრო პეტაკი

ფედერაციამ გაითვალისწინა ეს გარემოება და პეტაკი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, თუმცა ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იტალიის ოლიმპიური კომიტეტი დარჩა, რომელმაც არბიტრაჟში აპელაცია აფრინა. სხვათა შორის, იმის გამო, რომ მისი საქმე გარკვეული არ იყო, პეტაკის შარშან ფრანგული ტურის გამოტოვება მოუხდა.

პეტაკი პირველი სახელოვანი ველომრბოლი არაა, რომელსაც იტალიის ოლიმპიური კომიტეტი დოპინგთან დაკავშირებით სდევნის. ჯიროს 2006 წლის ჩემპიონი, იტალიელი **ივან ბასო** ორწლიან დისკვალიფიკაციას იხდის იმის გამო, რომ ის დოპინგ-სკანდალ ოპერასიონ პუერტოში გარეული აღმოჩნდა. ბასომ უარყო აკრძალული პრეპარატების გამოყენება, თუმცა აღიარა, რომ დოპინგის მიღებას აპირებდა.

იტალიის ოლიმპიური კომიტეტის მიერ, ასევე დოპინგის გამო იდევნება ჯიროს შარშანდელი ჩემპიონი, იტალიელი **დანილო დი ლუკა**. შარშანდელი ჯიროს დროს აღებულ მის ერთ-ერთ სინჯში ზრდის ჰორმონის ჭარბი შემცველობა დაფქსირდა, რის გამოც მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. გარდა ამისა, დი ლუკამ შარშან სამთვიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო მოიხადა, რომ ახლო ურთიერთობა აქვს ექიმ **კარლო სანტუჩონესთან**, ვინც დოპინგსკანდალებითაა განთქმული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ოლიმპიზმი. დოპინგი

# პეკინში ყველა შემოწმდება

მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ (WADA) გამოაცხადა, რომ შემუშავებულია ზრდის ჰორმონის აღმომჩენი ტესტი, რომელსაც სააგენტო პეკინის ოლიმპიადის დროს აუცილებლად გამოიყენებს. უფრო მეტიც, წინასწარი მონაცემები მეტყველებს, რომ პეკინში შესაძლებელი იქნება უკლებლივ ყველა სპორტსმენის შემოწმება.

სააგენტოში არ აკონკრეტებენ კომპანიას, რომლის სპეციალისტებმაც ტესტი შეიმუშავეს. თუმცა, ამბობენ, რომ ეს კომპანია ევროპაში მდებარეობს. "ნიუ იორკ ტაიმსის" ინფორმაციით, WADA-მ სისხლის სინჯის ასაღები რამდენიმე ათასი კომპლექტი შეიძინა, რომელთა გამოყენებასაც პეკინში აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ზრდის ჰორმონზე სინჯები WADA-ს სპეციალისტებმა ათენისა და ტურინის ოლიმპიადების დროსაც აიღეს. მართალია, იმ დროს ტესტი ჯერ შემუშავებული არ იყო, მაგრამ სინჯები გაიყინა და ისინი მოგვიანებით შემოწმდება.

*"ჩვენ უკვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პეკინში ზრდის ჰორმონზე სპორტსმენების მასობრივად შემოწმებას შევძლებთ. ტესტი უკვე მზად გვაქვს და მის გამოყენებაზე ჩვენი სპეციალისტები მზადებას უკვე გადიან"*, - ამბობს WADA-ს გენერალური დირექტორი **დევიდ ჰოუმენი**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი–რეინჯერსი 0:3**
0:2, 0:0, 0:1
**გოლები:** 0:1 იაგრი-22 (ბეკმენი-14, სტრაკა-14), 0:2 იაგრი-23 (დუბინსკი-25, როჟსივალი-24), 0:3 სტრაკა-14 (დუბინსკი-26, როჟსივალი-25).

**ვაშინგტონი–ტამპა ბეი 4:1**
1:1, 0:0, 3:0
**გოლები:** 0:1 კუბა-6 (ი. იოკინენი-26, სენტ ლუისი-58), 1:1 ოვეჩკინი-64 (ვიქ. კოზლოვი-37, მ. გრინი-36), 2:1 ოვეჩკინი-65 (მ. გრინი-37, ბექსტრიომი-54), 3:1 გორდონი-7 (ბრედლი-11, კუკი-13), 4:1 პოტი-2 (ფიოდოროვი-29, ვიქ. კოზლოვი-38).

**ტორონტო–ოტავა 2:8**
1:2, 0:3, 1:3
**გოლები:** 1:0 ბელი-3 (ტაკერი-15), 1:1 ჰიტლი-40 (ალფრედსონი-48, სპეცა-57), 2:1 სპეცა-34 (ალფრედსონი-49), 3:1 ბასი-2 (ფილიპსი-13, ვერმეტი-29), 4:1 ვერმეტი-21 (მუბერტი-16, რედენი-32), 5:1 ვერმეტი-22 (სტილმანი-41, დონოვანი-6), 6:1 მაკამონდი-9, 7:1 ვერმეტი-23 (ბასი-2, ლი-1), 7:2 მური-5 (ტაკერი-16, კუბინა-29), 8:2 ჰიტლი-41 (სპეცა-58, მ. ლაპოინტი-7).

**მონრეალი–ბაფალო 3:1**
2:0, 1:0, 0:1
**გოლები:** 1:0 ჰიგინსი-25 (მტრაიტი-48, ჰამრლიკი-21), 2:0 სმოლინსკი-7 (ბიგინი-5, ო'ბირნი-5), 3:0 სმოლინსკი-8, 3:1 კოტალიკი-23 (დ. რუა-47, შპაჩეკი-23).

**დეტროიტი–კოლამბუსი 3:2**
0:0, 1:1, 2:1
**გოლები:** 0:1 ჰეინსი-8 (ფერდიოვი-35, ნეში-30), 1:1 ჰერტიგანი-2 (დოუნი-3, კრონვალი-27), 1:2 როუმი-1 (პეკა-26, ჩიმერა-17), 2:2 ფრანცენი-27 (ლიდსტრიომი-60, დაციუკი-65), 4:2 ზეტერბერგი-43 (დაციუკი-66, ჩელიოსი-9).

**ნეშვილი–სენტ ლუისი 3:2**
1:0, 1:2, 1:0
**გოლები:** 1:0 სმიტსონი-7 (პლავაჩი-21), 1:1 მაკლემანი-9 (სტემპნიაკი-24), 1:2 ბექსი-12 (ე. მაკდონალდი-32, ე. ჯონსონი-27), 2:2 დუმონი-29 (პლავაჩი-22, არნოტი-44), 3:2 დე ვრისი-4 (დუმონი-42, პლავაჩი-23).

**მინესოტა–კალგარი 3:1**
1:1, 0:0, 2:0
**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-30 (იგინლა-46, ა. ოკუანი-25), 1:1 ფედორუკი-6 (დემიტრა-36, გაბორიკი-41), 2:1 გაბორიკი-41 (დემიტრა-37, კარნი-10), 3:1 გაბორიკი-42 (კ. იონსონი-23, პილი-7).

**ვანკუვერი–ედმონტონი 1:2**
0:0, 0:2, 1:0
**გოლები:** 0:1 რისონერი-11 (პიზანი-9, პენერი-9), 0:2 სტოლი-14 (პუიო-6, პიტკანენი-18), 1:2 ბაროუზი-12 (ბიეკსა-10, კესლერი-16).

**ფინიქსი–დალასი 2:4**
0:0, 0:3, 2:1
**გოლები:** 0:1 ნისკანენი-7 (ბუშე-12, ლ. ერიქსონი-17), 0:2 რობიდასი-9 (ლუნდკვისტი-10, მოროუ-40), 0:3 მოროუ-32, 1:3 ლისინი-4 (ნ. კაპანენი-18, კარჩილო-11), 2:3 ბალარდი-6 (დოუნი-50, ვინიკი-15), 2:4 მოდანო-21.

**ლოს ანჯელესი–სან ხოსე 4:2**
0:1, 2:0, 2:1
**გოლები:** 0:1 ჯ. ტორნტონი-29 (კავენახი-1, რიონიკი-19), 1:1 ვილსი-3 (კამალერი-28), 2:1 ივანანსი-6 (ფროლოვი-44, დ. არმსტრონგი-27), 2:2 პაველსკი-19 (მარლო-26, ჯ. ტორნტონი-67), 3:2 კოპიტარი-31 (დ. ბრაუნი-26, ს. ტორნტონი-3), 4:2 კოპიტარი-32 (დ. ბრაუნი-27).

## TV სპორტი

### 5 აპრილი. შაბათი

**I არხი**

19:05 თავისუფალი. ევროპის ჩემპიონატი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი (LIVE).

**მზე**

15:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვიტ ჯორჯია-მერანი (LIVE).

**RenTV**

14:50 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. ბაჰრეინის გრან-პრი. კვალიფიკაცია. სეპანგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 გერმანიის ჩემპიონატი. დუისბურგი-კოტბუსი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:35 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიბერტადი (პარაგვაი).
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი (LIVE).
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ბორდო (LIVE).
21:20 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
22:05 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ბირმინგემი.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
08:47 ფეხბურთი. Barca TV.
08:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:10 სპორტდოსიე.
09:39 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ფენერბაჰჩე-მონტეპასკი.
11:17 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
13:51 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:20 სპორტის სამყარო.
14:46 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
15:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული (LIVE).
17:45 სპორტის ისტორია.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-რედინგი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-სანდერლენდი.
22:16 სპორტის ისტორია.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი (LIVE).
00:28 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ამადორა.
02:14 სპორტდოსიე.
02:42 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
04:20 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ფენერბაჰჩე-მონტეპასკი.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-კალგარი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
13:30 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. I რბოლა. ბაჰრეინი (LIVE).
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
16:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. I დღე. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
19:30 რალი. IRC-ის სერია. I დღე. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
22:00 პროფესიული კრივი. ნახევარადმძიმე კატეგორია. რ. ჯონსი (აშშ)-ფ. ტრინიდადი (პუერტო რიკო). ნიუ იორკი. აშშ.
00:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვეიცარია. აშშ (LIVE).
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ფრისტაილი. მსოფლიო ტური. შვეიცარია.
13:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
14:45 ახალი ამბები.
15:00 ახალი ამბები. ოლიმპიური სპეცგამოშვება.
15:15 მოტორბოლა. პორშეს სუპერთასი. I რბოლა. ბაჰრეინი.
16:00 რალი. IRC-ის სერია. I დღე. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
16:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ბაჰრეინი (LIVE).
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.
19:45 ახალი ამბები. ოლიმპიური სპეცგამოშვება.
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. მურსია (ესპანეთი)-ოდინცოვო (რუსეთი) (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. პერუჯა (იტალია)-ნოვარა (იტალია) (LIVE).
00:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. მექსიკა (LIVE).
10:30 რალი. IRC-ის სერია. I დღე. სტამბოლი. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.

### 6 აპრილი. კვირა

**I არხი**

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ავიამშენი-ვითა (LIVE).
17:00 თავისუფალი. ევროპის ჩემპიონატი.
18:15 თავისუფალი. ევროპის ჩემპიონატი (LIVE).

**მზე**

21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**RenTV**

15:15 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. ბაჰრეინის გრან-პრი. სეპანგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. არსენალი-ლივერპული.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
14:15 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი (LIVE).
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-პსჟ.
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი (LIVE).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 სპორტდოსიე.
09:08 სპორტის სამყარო.
09:37 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
10:07 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიბერტადი (პარაგვაი).
11:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი.
13:43 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
14:44 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-კალგარი.
16:31 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
00:04 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ალმერია.
01:49 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბოავიშტა-ბენფიკა.
03:34 სპორტდოსიე.
04:01 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-რეალი.
05:46 ფეხბურთი. Barca TV.
05:54 სპორტის სამყარო.
06:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მძლეოსნობა. პარიზის მარათონი (LIVE).
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. I რბოლა. ბაჰრეინი.
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ესპანეთი (LIVE).
15:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ფლანდრიის ტური (LIVE).
19:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შოტლანდია-ნორვეგია. აშშ (LIVE).
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მექსიკა (LIVE).
22:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:15 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. II დღე. საფრანგეთი.
00:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მექსიკა (LIVE).
01:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
01:15 ავტოსპორტი.
01:30 რალი. IRC-ის სერია. II დღე. სტამბოლი. თურქეთი.
02:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-გერმანია. აშშ.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
10:30 რალი. IRC-ის სერია. I დღე. სტამბოლი. თურქეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
12:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი (LIVE).
13:15 მოტორბოლა. პორშეს სუპერთასი. II რბოლა. ბაჰრეინი.
14:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბაჰრეინი (LIVE).
14:45 ახალი ამბები.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. პოლანდია (LIVE).
16:00 რალი. IRC-ის სერია. II დღე. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
16:30 ახალი ამბები.
16:45 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
17:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. მექსიკა (LIVE).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
18:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი (LIVE).
20:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. პოლანდია.
21:15 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი.
23:30 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ჩიკაგო.
00:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი.
02:30 ახალი ამბები.
01:30 რალი. IRC-ის სერია. II დღე. სტამბოლი. თურქეთი.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი — II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-დაგენჰემი | 1:0 |
| ლინკოლნი-მილტონი | 1:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დუისბურგი-კოტბუსი | 0:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფიურტი-მიუნხენი | 3:1 |
| კაიზერი-ჰოფენჰაიმი | 0:2 |
| კობლენცი-ოფენბახი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| კოტბუსი A-ბრაუნშვაიგი | 3:2 |
| ვუპერტალი-ერფურტი | 3:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ოგერშაიმი-უნტერჰახინგი | 1:2 |
| ზიგენი-პფიულენდორფი | 1:0 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრესტი-გინგამი | 1:1 |
| შატორუ-ამიენი | 1:1 |
| კლერმონი-მონპელიე | 3:2 |
| გენიონი-ბულონი | 0:1 |
| ლიბურნი-დიჟონი | 2:0 |
| ნანტი-ნიორი | 1:1 |
| რეიმსი-სედანი | 3:1 |
| ჰავრი-ანჟერსი | 3:2 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| როდა-ნიიმეგენი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ვოლენდამი | 3:6 |
| კამბური-დენ ჰააგი | 2:1 |
| ემენი-დორდრეხტი | 1:0 |
| დენ ბოში-როსენდალი | 2:0 |
| იგლზი-ვეენდამი | 0:1 |
| ჰელმონდი-ფორტუნა | 1:1 |
| მაასტრიხტი-ეინდჰოვენი II | 4:1 |
| ვაალვიკი-ცვოლე | 2:0 |
| ტელსტარი-ომნივორლდი | 0:1 |
| ტოპ ოსი-ჰაარლემი | 4:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| გენტი-სტ. ტრუიდენი | 2:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ფერეირა-გიმარაეში | 2:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| პაშინგი-ალტახი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შვადორფი-პარნდორფი | 1:0 |
| ავსტრია (ლ)-გრატკორნი | 2:2 |
| ავსტრია II-ლუშტენაუ | 1:0 |
| ზალცბურგი II-ლეობენი | 1:0 |
| ბად ოსი-კერნტენი | 1:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| არაუ-ტუნი | 3:0 |
| ძსამაქსი-სტ. გალენი | 1:0 |
| სიონი-ციურიხი | 3:3 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კიასო-ვინტერტური | 1:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-დენიზლი | 2:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| კორკი-უნივერსიტი | 1:0 |
| დროგედა-გალვეი | 1:0 |
| სტ. პატსი-დერი | 0:1 |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 0:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნიუი-ქერნარფონი | 5:1 |
| პორტ ტელბოტი-კარმარტენი | 2:0 |
| უელშპული-ნიუთაუნი | 2:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| შენეცი-ნიტრა | 1:0 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მოსკოვი-ხიმკი | 2:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ტავრია-არსენალი | 1:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| გურნიკი-გროცლინი | 0:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-მტკ | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| პოლიტეხნიკა-უნირეა | 2:3 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ტულონი-პსჟ | |
| რუანი-ვილერბანი | |

### ჰოკეი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-აისბერენი | 4:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სლოვანი | 0:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-კარლოვი ვარი | 4:5 |

### ჩოგბურთი

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ნადალი-ბერდიხი | 7:6, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. ექსპერტის აზრი

# მასას შეცდომის უფლება აღარ აქვს


ნიკი ლაუდა ფერარისა და მაკლარენის ბრძოლას წინასწარმეტყველებს

**კვირას გასამართი ბაჰრეინის გრან-პრის წინ, წლევანდელი სეზონის მსვლელობას აფასებს და მომავალი რბოლის შესახებ პროგნოზს აკეთებს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდა.**

**- როგორ აფასებთ სიტუაციას მესამე გრან-პრის წინ?**

- კუალა-ლუმპურში "ფერარის" გამარჯვების შემდეგ, "მაკლარენში" თავმოყვარეობამ უნდა გაიღვიძოს და ღირსეული პასუხი გასცეს სკუდერიას. ასე ფიქრის საშუალებას შარშანდელი სიტუაციაც მაძლევს, როცა ჯერ ერთი დიდი გუნდი იმარჯვებდა და შემდეგ მეორეს ჯერი დგებოდა. ახლაც დაახლოებით იგივე ხდება. ისევე როგორც მალაიზიაში, ამჯერადაც დაძაბულ ბრძოლას მოველი. ბაჰრეინის ეტაპი დაძაბულობის მხრივ, ხუთი პროცენტით ჩამორჩება მალაიზიისას. ამ რბოლებისთვის კონკურენციის გაწევა მხოლოდ ბარსელონას შეუძლია. საქმე ისაა, რომ ამ სამ ტრასაზე ერთი მოსახვევის მეორეთი სწრაფი ცვლისას, რთულია ბოლიდის ოპტიმალური ბალანსის მონახვა.

**- ბაჰრეინის ტრასაზე რა აზრის ხართ?**

- როცა ამ ადგილებში ჩამოვდივარ, საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებ: შუა უდაბნოში აშენებულია არა ავტოდრომი, არამედ ტექნიკური პროგრესის სასწაული.

**- აქ ქვიშის გრიგალის საშიშროება არსებობს. ეს პილოტებს საფრთხეს ხომ არ უქმნის?**

- ხიფათი? ისინი ხომ პროფები არიან! მსოფლიოს 22 საუკეთესო პილოტი! ეს ბიჭები ნებისმიერ სირთულეს უნდა გაუმკლავდნენ.

**- ბაჰრეინი მეხუთედ მასპინძლობს მსოფლიო ავტოსპორტის ელიტას: აქ ორჯერ ალონსომ "რენოთი" გაიმარჯვა, ორჯერ "ფერარით" - შუმახერმა და მასამ. ამჯერად ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

- ჩემი აზრით, საუკეთესო სტრატეგიას "ფერარი" და "მაკლარენი" მოიფიქრებენ. დღეს ისინი საუკეთესოები არიან.

**- მაგრამ ბოლო დროს, არც BMW გამოიყურება ცუდად. ამ საჯინიბოს წარმომადგენლებსაც ხომ შეუძლიათ გამარჯვებაზე ფიქრი?**

- ფორმულა 1-ში ასე სწრაფად ლიდერების ცვლა არ ხდება ხოლმე. ჩემი აზრით, გერმანო-შვეიცარიულ გუნდს, ბაჰრეინის ეტაპიდან სამი-ოთხი რბოლის შემდეგ შეეძლება გრან-პრის მოგებაზე ფიქრი.

**- წინა ეტაპებზე ბევრი საეჭვო მანევრი ვიხილეთ. ეს რისი ბრალია?**

- იმიტომ, რომ ჯარიმებია ლმობიერი. სასჯელი უნდა გამკაცრდეს. ჩემი აზრით, მალაიზიაში რაც ხდებოდა, დასჯის უფრო მკაცრ ზომებს ითვალისწინებს. იდეაში მათ არა ხუთი, არამედ ათი ადგილით უნდა დაწიონ უკან.

**- შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ "რენოში" დაბრუნების შემდეგ, ალონსო არც ისე დამაჯერებლად გრძნობს თავს საკუთარი შედეგების გამო. რა უნდა გააკეთოს ესპანელმა სიტუაციის გამოსასწორებლად?**

- უნდა იმუშაოს, მანქანის ტესტირება გააგრძელოს, ცვლილებები შეიტანოს. როცა სხვა გუნდში გადადიხარ, ჩავარდნა ნორმალური მოვლენაა. სხვათა შორის, პირადად მე, მის ამჟამინდელ სიტუაციას რთულს სულაც არ ვუწოდებ.

**- ფელიპე მასას მომავალს როგორ უყურებთ?**

- მან ძალიან ყურადღებით უნდა იმოქმედოს. რაც არ უნდა იყოს, უკვე ორჯერ გამოეთიშა ბრძოლას, ეს კი, ასპროცენტიანი ნეგატიური შედეგია. ამ სეზონში მასას შეცდომის უფლება აღარ აქვს. მგონია, რომ ბრაზილიელს შეუძლია ამ ამოცანის გადაჭრა.

**- არ გეჩვენებათ, რომ იმ პირობებში, როცა ტრექშნ-კონტროლი აღარ არსებობს, პილოტთა პროფკავშირების როლი უნდა გაიზარდოს, რადგან წვიმიან ამინდში ავტომრბოლებს ძალიან ბევრი ხიფათი ელით?**

- ამ ორგანიზაციას, რომელიც პილოტებს აერთიანებს, ყველაფერი წესრიგში არ აქვს. მაგალითად, მას სათავეში უდგას პედრო დე ლა როსა, რომელიც არა ძირითადი, არამედ ტესტ-პილოტი გახლავთ. ჩემი აზრით, ასეთ სერიოზულ პოსტზე უფრო პოპულარული პილოტი უნდა მუშაობდეს. მეორეს მხრივ, ფორმულა 1-ის პროფკავშირი თავის გავლენას იმის გამოც კარგავს, რომ ბოლო წლებში უსაფრთხოება ისედაც გაიზარდა და ეს ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა. ამიტომაც, ამ პრობლემაზე ბევრი უკვე აღარ ფიქრობს.

**გია თვალაბეიშვილი**

ბაჰრეინის დიდი პრიზი

# მასა უსწრაფესია



ჰემილტონის მაკლარენი ავარიის შემდეგ

გუშინ, ბაჰრეინის დედაქალაქ მანამას მახლობლად მდებარე, სახირის ავტოდრომზე სტარტი აიღო ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპმა - ბაჰრეინის დიდმა პრიზმა. გაიმართა პირველი ორი თავისუფალი პრაქტიკა, რომლებზეც საუკეთესო შედეგები "ფერარის" ბრაზილიელმა პილოტმა, **ფელიპე მასამ** აჩვენა.

თავისუფალი პრაქტიკის მთავარი მოვლენა კი "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტის, **ლუის ჰემილტონის** სერიოზული ავარია გახდა. მეორე სესიის დასრულებამდე რომ ცხრა წუთი რჩებოდა, მან ტრასის შუა ნაწილში, ერთ-ერთ მოსახვევში, საჭეზე კონტროლი დაკარგა და ძველი საბურავებისგან შექმნილ დამცავ ზოლში შევარდა.

შეჯახებამ ბოლიდი მნიშვნელოვნად დააზიანა, თუმცა საბედნიეროდ, პილოტი არ დაზარალებულა - 23 წლის ჰემილტონმა კოკპიტი სხვისი დახმარების გარეშე დატოვა.

*"ამგვარი ავარიები რბოლების თანმდევი ნაწილია. სანამ საჭეზე კონტროლს დავკარგავდი, ვიგრძენი, რომ უკანა საბურავები მოცურდა. მერე კი რაც მოხდა, იმაში ჩემი ხელი არ ურევია. მანქანა ძლიერ დაზიანდა, მაგრამ ბიჭებმა კარგად იმუშავეს და ის ალადგინეს. ვიმედოვნებ, ჩემზე ძალიან გაბრაზებულები არ იქნებიან ზედმეტი სამუშაოს გამო. მათ მაინც უწევდათ ძრავისა და კოლოფის გამოცვლა. ავარიის შემდეგ კი ოდნავ მეტი საქმის გაკეთება მოუხდათ"*, - განაცხადა ჰემილტონმა, ვინც ავარიის მიუხედავად, სესია მაინც მეოთხე შედეგით დაასრულა. მასზე სწრაფები ორივე "ფერარი" და ფინელი თანაგუნდელი **ჰეიკი კოვალაინენი** იყვნენ.

რაც შეეხება მასას, ვისაც ორი ეტაპის შემდეგ ერთი ქულაც არ აქვს, მეორე სესიაზე მან თანაგუნდელს, მსოფლიოს ფინელ ჩემპიონსა და მალაიზიის დიდი პრიზის გამარჯვებულ **კიმი რაიკონენს** თითქმის წამით (ზუსტად 0.907 წამით) აჯობა.

*"პირველივე სესიაზე მანქანა იდეალურად დავარეგულირეთ, რაც მეორე სესიაზე ძალიან გამოგვადგა. ვფიქრობ, კვალიფიკაციისთვის კარგად მომზადებული ვარ და ვიმედოვნებ, რომ ეს შედეგზეც აისახება. რბოლაში კი აუცილებლად გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ"*, - განაცხადა მასამ, ვინც შარშან, ბაჰრეინის რბოლა პოულიდან დაიწყო და ფინიშთანაც პირველი მივიდა.

აღსანიშნავია, რომ "ფერარიმ" სახირის ტრასაზე წინასასეზონო ტესტირების რამდენიმე სესია გამართა. იტალიური საჯინიბოს მსგავსად, ბაჰრეინში ივარჯიშეს "ტოიოტას" პილოტებმაც. თუცმა, ამის მიუხედავად, იაპონური გუნდის პილოტები პრაქტიკაზე კარგი შედეგებით ვერ დაიკვეხნიან - იტალიელმა **იარნო ტრულიმ** და გერმანელმა **ტიმო გლოკმა** შესაბამისად, მე-14-15 შედეგები აჩვენეს.

სამაგიეროდ, თავი გამოიჩინეს "უილიამსის" გერმანელმა პილოტმა **ნიკო როსბერგმა** და "ბეემვე ზაუბერის" პოლონელმა **რობერტ კუბიცამ**. პირველ სესიაზე როსბერგს მესამე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი მეექვსე შედეგით დაკმაყოფილდა. კუბიცას პირველ სესიაზე მეშვიდე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი ორი საფეხურით წინ წაიწია.

რაც შეეხება ალონსოს, ვისაც ბაჰრეინის დიდი პრიზი ორჯერ აქვს მოგებული, ის საბოლოოდ მხოლოდ მე-12 შედეგს დასჯერდა. თანაც, პრაქტიკის მიწურულს, "ფორს ინდიას" გერმანელ პილოტ **ადრიან სუტილს** დაეჯახა, თუმცა ინციდენტს მათი ბოლიდები ძლიერ არ დაუზიანებია.

აღსანიშნავია, რომ პირველ სესიაზე პილოტებს საქმე უამინდობამ გაურთულა. ქარმა ტრასაზე ქვიშა გადმოყარა, რის გამოც, ბორბლების გზის საფართან ჩაჭიდება გაუარესდა. ამან თითქმის ყველა პილოტს შეუქმნა პრობლემა, თუმცა სერიოზული ავარიები (ჰემილტონის შემთხვევის გარდა) არ მომხდარა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ფორმულა ახალგაზრდებისაა

2008 წელს, ფორმულა 1 ისევ გაახალგაზრდავდა. პირველი ეტაპის, ავსტრალიის გრან-პრის ჩატარების დღეს, პილოტების საშუალო ასაკმა 28 წელი და 9 დღე შეადგინა - ეს კი ჩემპიონატის ისტორიაში მესამე მაჩვენებელია.

რეკორდამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი - 2004 წელს, პირველი გრან-პრის მონაწილეთა საშუალო ასაკი 27 წელი და 241 დღე იყო. ხოლო 1950 წლის რეკორდი სავარაუდოდ, არასოდეს მოიხსნება. მაშინ, ბრიტანეთის "სილვერსტოუნზე" შეკრებილების ასაკი თითქმის 40 წელს აღწევდა - 39 წელი და 321 დღე.

ფორმულას ისტორიაში ყველაზე "ასაკოვანი" გრან-პრი 1951 წელს, ბელგიაში ჩატარდა - 42 წელი და 285 დღე. ყველაზე "ახალგაზრდა" 1997 წელს, საფრანგეთში - 27 წელი და 153 დღე.

ფორმულა 1-ის ყველაზე "ახალგაზრდა" სეზონების პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. 2004 | 27 წელი, 241 დღე |
| 2. 2001 | 27 წელი, 321 დღე |
| 3. 2008 | 28 წელი, 9 დღე |
| 4. 1998 | 28 წელი, 22 დღე |
| 5. 2007 | 28 წელი, 88 დღე |
| 6. 2005 | 28 წელი, 186 დღე |
| 7. 2003 | 28 წელი, 197 დღე |
| 8. 2000 | 28 წელი, 204 დღე |
| 9. 1994 | 28 წელი, 219 დღე |
| 10. 2002 | 28 წელი, 219 დღე |



სებასტიან ფეტელი

წლევანდელი სეზონის ყველაზე "ბებერი" გუნდი, ისევე როგორც ერთი წლის წინ, "რედ ბული" გახლავთ. ავსტრალიის გრან-პრის დროს **დევიდ კულტჰარდისა** და **მარკ უებერის** საშუალო ასაკმა 34 წელსა და 95 დღეს მიაღწია. გაიზარდა "რედ ბულის" შვილობილის, "ტორო როსოს" ასაკი. შარშან, ეს გუნდი **სპიდითა** და **ლიუცით** ყველაზე "ახალგაზრდებს" შორის მეორე ადგილს იკავებდა, **სებასტიან ბურდეს** მიწვევის შემდეგ კი, მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

**რაიკონენისა** და **მასას** დუეტმა ჯერ კიდევ გასულ წელს დაარღვევინა "ფერარის" ტრადიციული მაჩვენებელი - 2007 წლამდე, ბოლო 30 სეზონის განმავლობაში, სკუდერიას პილოტების საშუალო ასაკი 31 წელს ჭარბობდა. ყველაზე ახალგაზრდა წყვილი "ფერარის" 1968 წელს ჰყავდა - **ჟაკი იქსი და კრის ეიმონი** (23 წელი და 263 დღე).

შარშან, ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გუნდი "მაკლარენი" იყო, 2008 წელს კი, ეს სტატუსი "უილიამსთან" გადავიდა.

| | |
|---|---|
| Williams | 22 წელი, 346 დღე |
| Renault | 24 წელი, 233 დღე |
| McLaren | 24 წელი, 291 დღე |
| Toro Rosso | 24 წელი, 320 დღე |
| BMW Sauber | 27 წელი, 22 დღე |
| Ferrari | 27 წელი, 238 დღე |
| Toyota | 29 წელი, 305 დღე |
| Super Aguri | 30 წელი, 7 დღე |
| Force India | 30 წელი, 63 დღე |
| Honda | 31 წელი, 360 დღე |
| Red Bull | 34 წელი, 95 დღე |

2008 წლის სეზონის ყველაზე ახალგაზრდა პილოტი გერმანელი **სებასტიან ფეტელია**, ყველაზე ასაკოვანი - დევიდ კულტჰარდი.

| | |
|---|---|
| სებასტიან ფეტელი | 20 წელი, 257 დღე |
| ნელსონ პიკე | 22 წელი, 234 დღე |
| ნიკო როსბერგი | 22 წელი, 262 დღე |
| კაზუკი ნაკაჯიმა | 23 წელი, 64 დღე |
| ლუის ჰემილტონი | 23 წელი, 68 დღე |
| რობერტ კუბიცა | 23 წელი, 99 დღე |
| ადრიან სუტილი | 25 წელი, 64 დღე |
| ტიმო გლოკი | 25 წელი, 363 დღე |
| ჰეიკი კოვალაინენი | 26 წელი, 148 დღე |
| ფერნანდო ალონსო | 26 წელი, 230 დღე |
| ფელიპე მასა | 26 წელი, 325 დღე |
| ჯენსონ ბატონი | 28 წელი, 57 დღე |
| კიმი რაიკონენი | 28 წელი, 151 დღე |
| ენტონი დევიდსონი | 28 წელი, 333 დღე |
| სებასტიან ბურდე | 29 წელი, 16 დღე |
| ნიკ ჰაიდფელდი | 30 წელი, 310 დღე |
| ტაკუმა სატო | 31 წელი, 47 დღე |
| მარკ უებერი | 31 წელი, 201 დღე |
| იარნო ტრული | 33 წელი, 246 დღე |
| ჯანკარლო ფიზიკელა | 35 წელი, 61 დღე |

**გია თვალაბეიშვილი**